# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 27 სექტემბერი 2000 №186 (1208) | ფასი 50 თეთრი


# დიდი ამბები ჩვენთვის

## აკაკი ჩაჩუა ბრინჯაოს დააჯერეს, ვლადიმერ ჭანტურია მეტს შეიძენებს

Sydney 2000




REUTERS სიდნეიდან

ვლადიმერ ჭანტურია (მარცხნივ) უზბეკ რუსლან ჩაგაევს მორიგ დარტყმას უმზადებს

## გუშინ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ

**ველორბოლა**

ქალები. ჯგუფური რბოლა
ლეონტიენ ზაილაარდი (ჰოლანდია)

**წყალში ხტომა**

ვაჟები. 3მ. ტრამპლინი
სიონგ ნი (ჩინეთი)

**სოფტბოლი**

აშშ
(დოტ რიჩარდსონი, ლაურა ბერგი, ლისა ფერნანდესი, კრისტლ ბასტოსი, ჯენიფერ ბრენდეჯი, მიშელ სმიტი, შეილა დასტი, სტეისი ნიუვემანი, ჯენიფერ მაკფოლსი, ლეა ობრაიენ-ამიკო, კრისტი ამბროსი)

**სინქრონული ცურვა**

წყვილები
ოლგა ბრუსნიკინა — მარია კისელიოვა (რუსეთი)

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

54 კგ
სიმ კვონ ჰო (კორეა)

63 კგ
ვარტარეზ სამურგაშევი (რუსეთი)

76 კგ
მურატ კარდანოვი (რუსეთი)

97 კგ
მიკაელ ლიუნგბერგი (შვედეთი)

**პლაჟის ფრენბურთი**

ვაჟები
დეინ ბლენტონი — ერიკ ფონიომოანა (აშშ)

**ძალოსნობა**

ვაჟები. მძიმე წონა
ჰოსეინ რეზაზადე (ირანი)




REUTERS სიდნეიდან

აკაკი ჩაჩუა

**ელგუჯა ბერიშვილი**

*სიდნეიდან*



სიდნეი. 26 სექტემბერი. დღეს ოლიმპიადის დედაქალაქში დიდი ამბები მოხდა. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და სასიხარულო. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე აკაკი ჩაჩუამ (63 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო მოკრივე ვლადიმერ ჭანტურია (91 კგ) ნახევარფინალში გავიდა და მინიმუმ ბრინჯაო განაღდებული აქვს.

ფალავანთა ტურნირის დილის პროგრამაში სამი ქართველი გამოდიოდა. მუხრან ვახტანგაძემ (85 კგ) ყირგიზ რაატბეკ სანათბაევს ქულებით აჯობა (2:1), ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და დღეს მეოთხედფინალში ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს, ბელარუს ვალერი ცილენტს ხვდება. გენადი ჩხაიძემ (97 კგ) ბოლო შეხვედრა ყაზახ სერგეი მატვიენკოს მოუგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. სხვათა შედეგები ასეთია: ალექსანდრე ცერცვაძე — მე-15 ადგილი; კობა გულიაშვილი — მე-14; ტარიელ მელელაშვილი — მე-8; მირიან გიორგაძე — მე-20.

ბრწყინვალედ იჭიდავა აკაკი ჩაჩუამ და მსაჯთა არნახული უნამუსობა რომ არა, ალბათ ჩემპიონი გახდებოდა. საერთო აღიარებით, აკაკი ყველაზე ტექნიკური მოჭიდავე იყო ამ ტურნირზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა მისი გამარჯვება შვეიცარიელ ბეატ მოტცერთან. ჩაჩუამ წუთსა და 57 წამში ბეჭებზე გააკრა მეტოქე და ბრინჯაო ირგუნა.


იხილეთ მეშვიდე გვერდი




REUTERS სიდნეიდან

„ბეშიქთაშისა“ და ნევიო სკალას შერცხვენა ლი ბოვიერმა დაიწყო და მანვე დაასრულა

CHAMPIONS LEAGUE

# შეუყარა და იყარა

*თურქების ხუთთვიანი ბოლმა „ლიდსმა“ გუშინ ამოანთხია, ჯავრი ნევიო სკალას „ბეშიქთაშზე“ იყარა და თან ჩემპიონთა ლიგის რეკორდიც გაიმეორა: აწი სადაც 1993 წელს „მარსელისგან“ მოსკოველი არმიელების 6:0 ძლევას გავისხენებთ, იქ „ლიდსისაც“ ვთქვათ. ამასობაში „მანჩესტერმა“ წააგო, ისევე, როგორც „ბარსამ“ და „ბაიერნმა“.*

*ზიდანი კი... გააძევეს. და, რაც მთავარია, ორი გოლი, ორივე ჩინებული გიორგი დემეტრაძემ გაიტანა.*

**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 0 |
| დეპორტივო | 0 |
| ჰამბურგი | 0 |
| პანათინაიკოსი | 1 |

**G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 3 |
| მანჩესტერი | 1 |
| დინამო | 4 |
| ანდერლეხტი | 0 |

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პარი სენ ჟერმენი | 1 |
| ბაიერნი | 0 |
| რუსენბორგი | 6 |
| ჰელსინბორგი | 1 |

**H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ლიდსი | 6 |
| ბეშიქთაში | 0 |
| ბარსელონა | 0 |
| მილანი | 2 |

# გუშინ ჩემპიონთა ლიგის მესამე ტური



ალექს ფერგიუსონის ექსპერიმენტი უგიგზო და უბექემო „მანჩესტერს“ გაოგნებად და მარცხად დაუჯდა

REUTERS

### E ჯგუფი

**იუვენტუსი 0:0 დეპორტივო**

იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, იულიანო, ბირინდელი (მარამატი 74), დავიდსი, ტაკინარდი (კონტე 60), პესოტო, ზიდანი, ტრეზეგე ფ. ინძაგი (დელ პიერო 65)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, დონატო, რომერო, მაურო სილვა, ფრანი (ფერნანდო 69), სეზარ სამპაიო, სკალონი (ვიქტორი 80), პანდიანი, ტური ფლორესი (ემერსონი 57)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაძევება: ზიდანი (68)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
50 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:1 პანათინაიკოსი**

0:1 ნასიოპულოსი (37)
ჰამბურგი: ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, კინცი (კეტლაერი 46), ტოფტინგი, ნ. კოვაჩი, ჰოლერბახი, კარდოზო (პრეგერი 46), მაჰდავიკია, ბარბარესი, ჰაინცი (იებოა 46)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
პანათინაიკოსი: კალკისი, ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, ოლივარესი, ფისასი, ბასინასი, გუმასი, კარაგუნისი, გალეტი (კოლა 46), ლიბეროპულოსი, ნასიოპულოსი (სარიჩი 46)
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
მსაჯი: დერმოტ გალაჰერი (ინგლისი)
46 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| დეპორტივო | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ჰამბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:7 | 1 |

### F ჯგუფი

**პარი სენ ჟერმენი 1:0 ბაიერნი**

1:0 ლეროა (90)
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ალფერინო, დეუ რაბესანდრატანა, მენდი, დალმა, ლუქსენი, ბენარბია (დიუკრო 68), რობერი, ანელკა, კრისტიანი (ლეროა 79)
მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო
ბაიერნი: კანი, სანიოლი (სანტა კრუზი 78), პ. ანდერსონი, ტარნატი, ლინკე, ჯისინგერი (შტრუნცი 78), სფორცა, ფინკი, შოლი, იანკერი (ელბერი 84), სალიჰამიჯიჩი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
45 000 მაყურებელი

**როზენბორგი 6:1 ჰელსინგბორგი**

1:0, 2:0 ფ. იონსენი (20, 29), 3:0, 4:0 სტრანდი (50, 51), 5:0 ს. იოჰანსენი (64ს.კ.), 6:0 ფ. იონსენი (78), 6:1 პრიკა (91)
როზენბორგი: იამტფალი, ბასმა (ბელსვიკი 82), ბ. იონსენი, ჰოფტუნი, სტენსაასი, ვინსნესი (სტორვიკი 86), სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, ფ. იონსენი, რ. სტრანდი (კნუტსენი 75)
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
ჰელსინგბორგი: ს. ანდერსონი, ლინდბერგი (კ. ანდერსონი 59), ო. ნილსონი, მატოვაცი, პერსონი, ი. იანსონი, უ. იანსონი (ს. იოჰანსენი 35), ეკლუნდი, იოჰანსენი, ალვარო (პრიკა 70), ჰანსონი
მწვრთნელი: ბანე ბერგსტადი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
13 702 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:5 | 6 |
| პსჟ | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:13 | 0 |

### G ჯგუფი

**პსვ ეინდჰოვენი 3:1 მანჩესტერი**

0:1 სქოულზი (33), 1:1 ბუმა (17), 2:1 ვან ბომელი (38), 3:1 კეჟმანი (64)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, ნიკოფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი, ვან დერ დულენი (ლუსიუსი 77), ბუმა (რომედალი 80), კეჟმანი (კოლკა 84), ბრუგინკი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, ბრაუნი, გ. ნევილი, სილვესტრი (გიგზი 70), ფ. ნევილი, კინი, სქოულზი (უოლვორკი 70), ბათი, გრინინგი (ბექჰემი 70), იორკი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
33 500 მაყურებელი

**დინამო 4:0 ანდერლეხტი**

1:0 გუსინი (52), 2:0 შაცკიხი (80), 3:0, 4:0 დემეტრაძე (89, 90)
დინამო: შოვკოვსკი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ძალაძე (კუზმიჩევი 64), ბელკევიჩი, შაცკიხი, დემეტრაძე, გუსინი, ფიოდოროვი (ბოდნარი 47), ნესმაჩნი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ანდერლეხტი: დე ვილდე, ვანდერეიკე, დე ბოეკი (სტოიკა 59), სტალენსი, გოორი (იულა 79), კოლერი, დეედენი, ბასეჯიო, რაძინსკი, ვან დიემენი, კრასონი (იაშჩუკი 62)
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ანდერლეხტი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:9 | 3 |

### H ჯგუფი

**ბარსელონა 0:2 მილანი**

0:1 კოკო (45), 0:2 ბირჰოფი (71)
ბარსელონა: დუტრუელი, რაიციგერი, აბელარდო (დანი 79), ფ. დე ბური, სერხი, კოკუ, ხერარდი (ოვერმარსი 63), სიმაო, დე ლა პენია (ლუის ენრიკე 46), რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
მილანი: დიდა, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო (გული 90), ალბერტინი, ჯუნტი, კოკო, ამბროზინი (შელვეგი 84), შევჩენკო, ბირჰოფი (კომანდინი 75)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
90 000 მაყურებელი

**ლიდსი 6:0 ბეშიქთაში**

1:0 ბოიერი (7), 2:0 ვიდუკა (12), 3:0 მატეო (22), 4:0 ბაკე (65), 5:0 ჰაკერბი (90), 6:0 ბოიერი (90)
ლიდსი: მარტინი, კელი, რადებე, მილსი, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, დაკური (მაკფაილი 75), მატეო, ვიდუკა, სმიტი (ჰაკერბი 81)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ბეშიქთაში: შორუნმუ, ხლესტოვი, ბოზკურტი, ერმანი, ნიჰათი, ტაიფური, კარჰანი, იბრაჰიმი, მიუნხი, დურსუნი, ნუმა (ულუსალი 72)
მწვრთნელი: ნევიო სკალა
მსაჯი: მელო პერეირა (პორტუგალია)
34 485 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 4:10 | 3 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |

# ყბაში არ გაარტყათ, თორემ...

## დღეს ჩემპიონთა ლიგის მესამე ტური

„**ჩვენი** ძალა ჩვენს სულშია — ამბობს არსენ ვენგერი — წაგებული მატჩის შემობრუნება შეგვიძლია“. მან სხვა რამეც თქვა: „არსენალის“ მთავარი ნაკლი ისაა, რომ გოლებს ვუშვებთ და მერე გადარჩენისთვის ვიბრძვით“. ფრანგი მწვრთნელის ეს სიტყვები „შახტართან“ მატჩის შემდეგაა ნათქვამი. გავბედავთ და მასში ეჭვს შევიტანთ.

ვენგერი ფაქტს სწორად აღწერს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მისი გუნდი კაცნაკლულ ლიგის აუტსაიდერ „შახტარს“ ეთამაშა. წარმოვიდგინოთ, რომ „არსენალს“ „ლაციოსთვის“ უნდა გაექვითა ორი ბურთი. შეძლებდა? ვეჭვობთ. სვენ გორან ერიკსონი და მისი გუნდი არ არიან ისეთი გამოუცდელნი, დონბასელთა მსგავსი შეცდომა დაუშვან, ამიტომ ვენგერს ვურჩევთ: უტეხი სულის დასამტკიცებლად ორ გოლს ნუ გაუშვებს, ისედაც გვჯერა.

ამ მცირედი გადახვევის შემდეგ იმ ფეხბურთელებს გადავხედოთ, რომელთაც დღეს ღამით ტელევიზორებთან მიმსხდართ „შესანიშნავი მატჩი“ (ერიკსონის სიტყვებია) უნდა გვაჩუქონ, მათთან ერთად კი ისინიც მოვიხსენიოთ, მიზეზთა გამო თამაშს ჩვენსავით მაყურებლის სტატუსით რომ შეხვდებიან.

ლონდონელთა და ინგლისის ნაკრების კაპიტანი ტონი ადამსი არც „შახტართან“ მატჩში გამოჩენილა და არც „იფსვიჩთან“ პრემიერლიგის მორიგ ტურში. ზურგის ტკივილმა იგი ორად მოხარა, მაგრამ მომჯობინებულა და იქნებ მისტერ დევიდ სიმენისგან კაპიტნის სამკლაურიც დაიბრუნოს.

„იფსვიჩთან“ მატჩის მიწურულს დენის ბერხკამპმა გოლი გაიტანა, რითაც „არსენალი“ მარცხს გადაარჩინა. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელს იქამდე 13 პრემიერლიგური შეხვედრა ჩაეტარებინა უგოლოდ. ვითომ გოლების გატანას მოუხშირებს? ეგებ ასეც იყოს, თუმცა ვენგერი დღეს ლუკა მარკეჯანის კარის დალაშქვრას მას არ ანდობს, რაკი ამ საქმისთვის ტიერი ანრი და ნვანკვო კანუ ეყოლება გამწესებული.

ლუკა მარკეჯანი იმიტომ ვახსენეთ, რომ რომაელებს ამ ზაფხულს ნაყიდი ანჯელო პერუცი თითმოტეხილი ჰყავთ და ხელთათმანებს ვერ იცვამს. „ლაციოს“ სხვა დანაკარგი ორიოდე კვირით მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი ერნან კრესპოა. არგენტინელს კუნთი აქვს ნატკენი. თუმცა ერიკსონის წუხილს სიმონე ინძაგის ჩინებულ ფორმაში ყოფნა ანელებს. აბა, როგორ არ შევაქოთ უმცროსი ინძაგი, როცა წინა ტურში „სპარტას“ თავისი მეთერთმეტე და მეთორმეტე სალიგო გოლები შეუგდო.

აქამდე სინიშა მიხაილოვიჩს მაისურის აწეული საყელოთი და ჯადო საჯარიმოებით ვცნობდით. დღეს „ჰაიბერიზე“ მას ერთი განმასხვავებელი ნიშანიც ექნება — შეხვეული ყბა: გასულ უქმეებზე იტალიის თასზე „სამპდორიას“ ძლევა (5:2) რომაელებს სერბი მცველის ყბის მოტეხვად დაუჯდათ.

მტკივანი ფეხი მოირჩინა კლაუდიო ლოპესმა, თუმც ვეჭვობთ, ამ ამბავს სალასი დიდად გაეხარებინოს, რადგან ინძაგის არგენტინელი შეუწყვილდება, ჩილელი კი სათადარიგოდ იქნება.

**გიორგი დარჯანია**

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
### საპასუხო მატჩები. 26 სექტემბერი

UEFA CUP

*მიუნხენ 1860 (გერმანია)* 1:0 დრნოვიცე (ჩეხეთი) (0:0)
1:0 კურცი (74)

*გრაცერი (ავსტრია)* 0:0 კოშიცე (სლოვაკეთი) (3:2)

*ინტერი (სლოვაკეთი)* 2:1 როდა (ჰოლანდია) (2:0)
1:0 ბაბნიჩი (38), 2:0 ნემეტი (43), 2:1 ჩუტანგი (54)

*უდინეზე (იტალია)* 2:0 პოლონია (პოლონეთი) (1:0)
1:0 ბერტოტო (32), 2:0 მუცი (90)

*ბორდო (საფრანგეთი)* 5:1 ლიერსი (ბელგია) (0:0)
1:0, 2:0 პაულეტა (24, 47), 3:0 ფეინდუნო (58), 3:1 კავენსი (61), 4:1 ფეინდუნო (73), 5:1 პაულეტა (90)

*ვიბორგი (დანია)* 1:0დ.დ.(0:0) ცსკა (რუსეთი) (0:0)
1:0 კაერგაარდი (100)

## იტალია

### სერია B. VI ტური

**ტერნანა 2:0 ემპოლი**
1:0, 2:0 ბორგობელო (8, 20)

**კროტონე 0:2 კიევო**
0:1 ერიბერტო (58), 0:2 კორინი (68)

**პესკარა 1:2 მონცა**
0:1 ლანტინიოტი (16), 0:2 ბრანკა (54), 1:2 პალუმბო (65)

**პისტოიეზე 0:1 ჩიტადელა**
0:1 ბაიკუ (85)

**ჯენოა 1:1 რავენა**
0:1 ბილიოტი (50), 1:1 ფრანკიოზო (55)

**სალერნიტანა 2:1 კალიარი**

ანკონა — სამპდორია; პიაჩენცა — სიენა; ტრევიზო — ტორინო; ვენეცია — კოზენცა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალიარი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| პიაჩენცა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| კიევო | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| სიენა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| სამპდორია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| ვენეცია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| ჩიტადელა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| კოზენცა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| მონცა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ტერნანა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ანკონა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| პისტოიეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| სალერნიტანა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ემპოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| კროტონე | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 3 |
| ჯენოა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| რავენა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ტორინო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ტრევიზო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| პესკარა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | 0 |

### C1/A

მე-4 ტური: ალძანო — ბრეშელო 1:0; არეცო — ალბინოლეფე 0:1; ჩეზენა — მოდენა 0:2; კომო — ლუკეზე 1:0; ლივორნო — კარარეზე 3:2; ლუმეცანე — ლეკო 3:0; რეჯანა — ვარეზე 1:1; სპალ — ალექსანდრია 2:2; სპეცია — პიზა 3:0

### C1/B

მე-4 ტური: ასკოლი — პეზარო 0:0; ბენევენტო — ფერმანა 1:3; კატანია — აკილა 0:1; ფ. ანდრია — ვიტერბეზე 1:2; მესინა — ატლეტიკო 2:1; ნოჩერინა — დი სანგრო 0:0; პალერმო — აველინო 1:0; ტორესი — ჯულიანოვა 2:1; სავოია — ლოდიჯანი 1:0

### თასის მერვედფინალი

საპასუხო მატჩები

**ლაციო 5:2 სამპდორია (1:1)**
0:1 ვაზარი (16), 1:1, 2:1 ლომბარდო (39, 41), 3:1 რავანელი (48), 4:1 სესინი (64), 4:2 ფლაკო (73), 5:2 რავანელი (82პ)

**უდინეზე 2:1 პიაჩენცა (1:1)**
1:0 ვალემი (9), 1:1 ძერბინი (23), 2:1 ბერტოტო (87)

**პარმა 5:1 ვენეცია (1:1)**
1:0 მიკუ (17), 2:0 ამოროზო (40), 3:0 მილოშევიჩი (48პ), 4:0 ამოროზო (51პ), 4:1 დე ფრანჩესკო (54), 5:1 დი ვაიო (89)

**ლეჩე 1:3 ინტერი (1:1)**
1:0 ლუკარელი (10პ), 1:1 კორდობა (67), 1:2 კინი (71), 1:3 რეკობა (76)

**მილანი 0:1 ტორინო (3:1)**
0:1 შოკი (15პ)

**ატალანტა 4:2 რომა (1:1)**
1:0 განცი (9), 1:1 მონტელა (23), 2:1 განცი (57), 3:1 ბელინი (63), 3:2 ტოტი (91პ), 4:2 პინარდი (93)

**ფიორენტინა 3:1 სალერნიტანა (5:0)**
1:0 მიატოვიჩი (9), 2:0 ვანოლი (47), 2:1 გვიდონი (88), 3:1 კიეზა (90პ)

**იუვენტუსი 1:2 ბრეშა (0:0)**
1:0 კონტე (22), 1:1, 1:2 უბნერი (48, 74)

## შვედეთი

21-ე ტური: ნორჩიოპინგი — სუნდსვალი 0:0; იორგრიტე — ჰალმსტადი 1:2; გაის — ჰელსინგბორგი 0:4; ელფსბორგი — ფრიოლუნდა 3:1; ჰაკენი — ტრელებორგი 0:0; იორებრო — გიოტებორგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 21 | 13 | 4 | 4 | 38:20 | 43 |
| აიკ | 21 | 12 | 4 | 5 | 33:24 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 12 | 2 | 7 | 41:23 | 38 |
| ელფსბორგი | 21 | 12 | 2 | 7 | 37:29 | 38 |
| გიოტებორგი | 21 | 8 | 8 | 5 | 32:26 | 32 |
| იორგრიტე | 21 | 9 | 3 | 9 | 27:25 | 30 |
| იორებრო | 21 | 8 | 5 | 8 | 35:31 | 29 |
| ნორჩიოპინგი | 21 | 6 | 10 | 5 | 27:23 | 28 |
| ჰამარბი | 21 | 7 | 6 | 8 | 24:29 | 27 |
| ტრელებორგი | 21 | 6 | 8 | 7 | 19:22 | 26 |
| სუნდსვალი | 21 | 5 | 7 | 9 | 26:33 | 22 |
| ჰაკენი | 21 | 3 | 11 | 7 | 29:36 | 20 |
| გაის | 21 | 2 | 8 | 11 | 18:35 | 14 |
| ფრიოლუნდა | 21 | 2 | 6 | 13 | 15:45 | 12 |

## ინგლისი

### ლიგის თასის II ეტაპი
### საპასუხო მატჩები

ბრედფორდი — დარლინგტონი 7:2 (1:0); ბირმინგემი — უიკომბი 1:0 (4:3); ქრიუ — ბარნსლი 0:3 (0:4); კრისტალ პალასი — ბარნლი 1:1 დ.დ. (2:2); ჯილინგემი — სიტი 2:4 დ.დ. (1:1); იფსვიჩი — მილუოლი 5:0 დ.დ. (0:2); ლეიტონი — ნიუკასლი 1:1 (0:2); ლუთონი — სანდერლენდი 1:2 (0:3); მაკლსფილდი — მიდლსბრო 1:3 (1:2); მენსფილდი — საუთჰემპტონი 1:3 (0:2); პორტსმუთი — ბლეკბერნი 1:1 (0:4); სუინდონი — ტრანმერი 0:1 (1:1); ტოტენჰემი — ბრენტფორდი 2:0 (0:0); უოტფორდი — ნოთსი 0:2 დ.დ. (3:1); ვესტ ბრომვიჩი — დერბი 2:4 (2:1); უიგანი — უიმბლდონი 1:2 (0:0); ჩარლტონი — სტოკი 4:3 დ.დ. (1:2); ბლექპული — ნორვიჩი გადაიდო
პირველი მატჩი: გრიმზი — ვულვერჰემპტონი 3:2

### II დივიზიონი

**ბორნმუთი 1:2 რედინგი**

## ნორვეგია

გადადებული მატჩი: ლილესტრიომი — სტაბეკი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 23 | 15 | 4 | 4 | 49:23 | 49 |
| ვიკინგი | 23 | 12 | 5 | 6 | 46:36 | 41 |
| სტაბეკი | 23 | 11 | 5 | 7 | 54:28 | 38 |
| ბრანი | 23 | 11 | 5 | 7 | 45:38 | 38 |
| მოლდე | 23 | 10 | 7 | 6 | 43:39 | 37 |
| ტრომსიო | 23 | 10 | 5 | 8 | 39:41 | 35 |
| ლილესტრიომი | 22 | 9 | 7 | 6 | 35:23 | 34 |
| ოდ გრენლანდი | 23 | 9 | 5 | 9 | 34:29 | 32 |
| მოსი | 23 | 7 | 7 | 9 | 35:41 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 23 | 6 | 9 | 8 | 44:51 | 27 |
| ბრინი | 23 | 6 | 6 | 11 | 31:48 | 24 |
| ვოლერენგა | 23 | 4 | 8 | 11 | 27:38 | 20 |
| სტარტი | 22 | 5 | 5 | 12 | 33:54 | 20 |
| ჰაუგესუნდი | 23 | 4 | 4 | 15 | 29:55 | 16 |

### თასის ნახევარფინალი

**ოდ გრენლანდი 4:0 ბოდიო გლიმტი**
**ვიკინგი 4:0 სტარტი**

## დანია

მე-10 ტური: ბრონდბიუ — ოლბორგი 2:1; მიდტიულანდი — აკადემისკი 1:1; ოდენსე — ჰერფიოლგე 3:1; სილკებორგი — კოპენჰაგენი 0:0; ლიუნგბიუ — ვიბორგი 1:0; ორჰუსი — ჰადერსლევი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიუნგბიუ | 10 | 7 | 0 | 3 | 18:15 | 21 |
| ბრონდბიუ | 10 | 6 | 2 | 2 | 27:9 | 20 |
| მიდტიულანდი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:10 | 18 |
| კოპენჰაგენი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:7 | 17 |
| სილკებორგი | 10 | 4 | 5 | 1 | 12:14 | 17 |
| ოდენსე | 10 | 5 | 1 | 4 | 17:8 | 16 |
| ვიბორგი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:8 | 13 |
| ოლბორგი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:16 | 13 |
| აკადემისკი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:15 | 10 |
| ორჰუსი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:20 | 10 |
| ჰერფიოლგე | 10 | 3 | 1 | 6 | 13:23 | 10 |
| ჰადერსლევი | 10 | 0 | 2 | 8 | 10:30 | 2 |

**დღევანდელ „სარბიელში“ საფეხბურთო გვერდებია** 2, 3, 4, 5, 6, 11

ნამდვილად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში კანტიკუნტად შემორჩნენ ფეხბურთელები, რომელთა გამოც გულშემატკივარს უღირს და ეხალისება სტადიონზე წასვლა. ასეთები ცოტანი არიან, ძირითადად მრავალნაცადი, უკვე სახელდაგდებული მოთამაშეები.

...კახა გოგიჩაიშვილი ახლა თბილისის „ლოკომოტივის" გამოკვეთილი ლიდერია და ამ ცოტა ხნის წინ ეროვნულ გუნდშიც დააბრუნეს, როცა ჩვენი ნაკრები „ფრაიბურგს" ამხანაგურად გაეჯიბრა. მწვრთნელები მას ლატვია — იტალიისთვისაც მოუხმობენ. მანამდე კი ერთი პერიოდი „გოგიჩა" კარგა ხნით გაუჩინარდა. მოიარა ისრაელი, რუსეთი, მერე შინ დაბრუნდა... ბევრს აღარ სჯეროდა, რომ ოცდაათ წელს გადაცილებული კაცი ისევ მოიკრეფდა ძალას, კვლავ კარგად ათამაშდებოდა და ადრინდელივით თავმომწონედ გაირჯებოდა მინდორზე...

შაბათს კი მისი „ლოკომოტივი" „დინამოს" დაუპირისპირდა, გუნდს, სადაც ჯერ კიდევ საბჭოთა ჩემპიონატის დროს დატოვა კვალი კახა გოგიჩაიშვილმა და 3:0 მოუგო...



კახა გოგიჩაიშვილი (ბურთით) თსუ-სთან ამასწინანდელ მატჩში

# გულდაწყვეტილი ლიდერი

**— ორი წლის წინ „დინამო" დატოვე, მაგრამ შენი უცხოური კარიერა ვერ შედგა...**

— უკეთესი ვარიანტი არ მქონდა, ამიტომაც მივაშურე აშქელონის „ჰაპოელს". თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო, კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ მერე ჯანმრთელობა გამიუარესდა. შემდეგ კი შევცდი — ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში" არ უნდა წავსულიყავი, რადგან ჰეპატიტის ნიშნები აღმომაჩნდა.

**— შინ დაბრუნებულებმა ერთი ხანობა კვლავ „დინამოს" მაისური მოირგე, თუმცა მერე „ლოკომოტივი" არჩიე.**

— ამ ნაბიჯისკენ წინა სეზონის დასაწყისში „ლოკომოტივის" მაშინდელმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ მიბიძგა, თანაც „დინამოში" საქმეები მეტად აირ-დაირია.

**— არადა, ყველას კარგად გვახსოვს, რომ შენით მოსკოვის „ტორპედო" და პრემიერლიგის „საუთჰემპტონი" რეალურად დაინტერესდნენ. ალბათ, ძალიან გწყდება გული, რომ ყველაფერი უკუღმა შემოტრიალდა.**

— რა თქმა უნდა, შემეძლო კარგ გუნდში მოხვედრა, ამის შანსი ნამდვილად მქონდა, მაგრამ რატომღაც არ გამოვიდა. უფრო სწორად, ყველაფერს თავის მიზეზები აქვს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა აღარ ღირს. გული კი ნამდვილად მწყდება.

**— ახლა თბილისის „ლოკომოტივის" ლიდერი ხარ. როგორ გრძნობ თავს ამ როლში?**

— მოგეხსენებათ, „ლოკომოტივის" ბირთვს ახალგაზრდა ფეხბურთელები შეადგენენ და მეც, როგორც შემიძლია გვერდში ვუდგევარ მათ. ვცდილობ, გუნდსაც გამოვადგე და მის ახალგაზრდა მოთამაშეებსაც. მგონი, ამ მცდელობას შედეგი მოაქვს.

**— დაგვიანებული შეკითხვა კია, მაგრამ მაინც — უეფას თასზე „სლოვანთან" „ლოკომოტივის" ასეთ უღიმღამო თამაშს რას დააბრალებდი? ნუთუ „ლოკომოტივს" იმის პოტენციაც კი არ გააჩნია, რომ „სლოვანის" დარ გუნდს ორ თამაშში ერთი გოლი გაუტანოს?**

— „სლოვანთან" მატჩისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდით. ყველამ ნახა, რომ საგოლე მომენტებიც შევქმენით, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გავიტანეთ. აშკარად შეგვეძლო, უფრო კარგად გვეთამაშა, მაგრამ არ გამოვიდა.

**— ამ სეზონისთვის რევაზ ძოძუაშვილმა ამპლუა შეგიცვალა და მარადჟამს ფლანგებზე მოთამაშე პლეიმეიქერად გაგამწესა. როგორ ფიქრობ — ასეთი კახა გოგიჩაიშვილი უფრო ეფექტურად თამაშობს?**

— რახან ასე იყო საჭირო, ფლანგიდან ცენტრში გადავინაცვლე და მგონი, ამ პოზიციაზეც გამომდის თამაში. ერთი მხრივ, ჩემთვის სულერთია, სად ვითამაშებ, თუმცა ახალ ადგილზე თავს უფრო შეუზღუდავად, თავისუფლად ვგრძნობ, სამოქმედო არეც გამიფართოვდა.

**— „ლოკომოტივი" ამჯერადაც, ალბათ, მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. მის მთავარ კონკურენტად „ტორპედოს" მიიჩნევენ, რომელთანაც შინ დამარცხდით. ამაზე რას იტყოდი?**

— გუნდის ხელმძღვანელობამ მართლაც სერიოზული მიზნები დაგვისახა. ისე კი ვთვლი, რომ „ტორპედო" ახლა ჩვენში ყველაზე კარგი გუნდია. მასთან შეხვედრაში „ლოკომოტივმა" თავისი თამაში ვერ აჩვენა, მეც არ წამივიდა თამაში და ჩემი თავით ძალიან უკმაყოფილო ვიყავი. „ლოკომოტივთან" შედარებით „ტორპედო" უფრო ჩამოყალიბებული, სტაბილური გუნდია. „ლოკომოტივი" კი სეზონისთვის საგრძნობლად გადახალისდა, მის ბირთვს ახალგაზრდები შეადგენენ, თუმცა ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.

**— „დინამო" გაანადგურეთ...**

— „დინამო", როგორიც არ უნდა იყოს, მაინც „დინამოა" და მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის დამატებითი სტიმულია. მჯერა, რომ მალე იგი კვლავ თავის თავს დაემსგავსება.

**— დაბოლოს, რას ნიშნავს შენთვის ის რომ კვლავ ეროვნული ნაკრების წევრი ხარ?**

— სიმართლე რომ გითხრათ, ნაკრებში გამოძახებას აღარ ველოდი. ეს ჩემთვის ბოლო შანსია.

**დავით თავართქილაძე**

# რევაზიშვილი გორში გამოიზამთრებს



გიორგი რევაზიშვილი

**გორის** საფეხბურთო სკოლის აღზრდილთაგან თუკი ვინმეს უთქვამს თავის სიტყვა ქართულ ფეხბურთში, ერთ-ერთი გიორგი რევაზიშვილიცაა. ნიჭიერ მცველს ხშირად იწვევდნენ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, შარშან კი ოცნება აუხდა და საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურაც მოირგო ესტონელთა წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში.

რევაზიშვილმა კარიერის გაგრძელება მოლდოვურ „შერიფში" ირჩია. იქ გორელი ფეხბურთელი ილია კოკაიას („შერიფის" მენეჯერია) ხელშეწყობით მოხვდა და სისტემატურად თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში. ცოტა ხნის წინ „შერიფმა" რევაზიშვილი მოლდოვურ „ჰაიდუკში" გაანათხოვრა. ახალი გუნდის შემადგენლობაში რევაზიშვილმა სამიოდ მატჩში მიიღო მონაწილეობა და... გასულ კვირას მშობლიური გორის „ცენტრალურზე" „დილა" — „ტორპედოს" მატჩს დაესწრო. მოლდოვიდან საბოლოოდ წამოვედი — გვითხრა მან, როცა ჩვენი გაოცება შენიშნა — ჩემმა მენეჯერმა უკეთესი ვარიანტები შემომთავაზა, უცხოეთის სერიოზულ გუნდებზეა ლაპარაკი. წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ეს ვარიანტები საბოლოოდ დამუშავდება და ჩემს ახალ კლუბზეც მერე ვისაუბროთ".

სამიდან ერთ-ერთ უცხოურ გუნდში გადასვლას გიორგი მხოლოდ ზამთრის შემდეგ შეძლებს. იქამდე ჯერაც დიდი დროა, სათამაშო ფორმას კი შენარჩუნება სჭირდება, ჰოდა, რევაზიშვილმაც მარტივ გამოსავალს მიაგნო და პირველი წრის ბოლომდე მშობლიურ „დილას" შეეშველება.

გიორგის „ტორპედოს" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ განაცხადში ვერ შევიყვანეთ, „სიონთან" შეხვედრაში კი მისი იმედი გვაქვს, რევაზიშვილი სასტარტო შემადგენლობაში იქნებაო — გვითხრა „დილას" პრეზიდენტმა გურამ ნოზაძემ.

**ბაადა ძმანდალიანი**

# გარიგება არ იქნება!

„თქვენ კორუმპირებულები ხართ" — მეხივით გაისმა გურამ რუხაძის ეს სიტყვები სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის პასუხმაც არ დააყოვნა და შეკონსნებმა სამართლის დადგენა ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას მოსთხოვეს.

გუშინ კი: „მე მუდამ გვერდში დავუდგები მსაჯებს და მხარს დავუჭერ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასა" და ანატოლი მილჩენკოს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ არაფერი ვიცი და არც საერთო წერილისთვის მომიწერია ხელი" — სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ყოფილმა წევრმა ალბერტ ბარუკაშვილმა თავისი პოზიცია დააფიქსირა.

დღეს საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას" საპასუხო წერილს გთავაზობთ:

გასაკვირი და მეტად გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ რაც უფრო უარესისკენ მიდის საქმე, საფეხბურთო ჩინოვნიკების ერთი ნაწილი მით მეტი სიამაყით საუბრობს მსაჯობის დონის ამაღლების შესახებ. მეორე ნაწილი კი ისე ოსტატურად გამოხატავს გაოცებას კორუფციისა და ფეხბურთის ერთად ხსენებისას, ნებისმიერი თეატრალური ხელოვნების კორიფეს შეშურდებოდა.

ფეხბურთის ფედერაცია სამსაჯო სისტემაში ტოტალური კორუფციის არსებობის ფაქტს არ აღიარებს, სფფ-ის პრეზიდენტი კი სეზონის წინ კლუბების პრეზიდენტებთან მართავს შეხვედრას და ბინძურ თამაშებსა თუ მსაჯებზე „გასვლას" კრძალავს. განა ფაქტობრივად ეს უკვე აღიარება არაა, თუმც სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეცვლილა — პირდაპირ თუ ირიბად მსაჯები მაინც თავისას ელიან.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, აღარც ის იქნება გასაკვირი, რომ ყველაფერი ტრადიციულად დაბალ ლობეებს დაბრალდეს, მთავარი როლის შემსრულებლებმა კი ისევ გამხმარი ბუჩქის ჩრდილს შეაფარონ თავი. ასე იყო თუ ისე, სფფ მხოლოდ კლუბების გაფრთხილებით შემოიფარგლა და ყველაფერი ისევ თვითდინებაზე მიუშვა.

ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობისას მომხდარი დარღვევებიდან დღემდე არც ერთი გამოუძიებიათ სრულფასოვნად — სადისციპლინო კომიტეტს ამის საშუალებას სფფ-ის წესდება არ აძლევს. ასე რომ, ზედაპირული განხილვის იქით საქმე არასდროს წასულა.

ადმინისტრაციული სასჯელის განმხორციელებლები, როგორც წესი, კონკრეტული ფაქტების სიმცირეს უჩივიან, სამხილების ლანგრით მირთმევის დიდი „სურვილი" აქვთ.

თუმცა ბოლო დროს მსაჯთა მიერ მატჩების აშკარად მიკერძოებით განსჯა იმდენად გახშირდა, რომ ამ თემაზე ხმამაღლა საუბარს თითქმის არავინ ერიდება. მოწმეები, შემკვეთები და შემსრულებლები ღიად ასახელებენ კონკრეტულ ფაქტებს, პიროვნებებს და გადახდილი თანხის ოდენობას. ერთი სიტყვით, მთავარია სურვილი, თორემ სამხილების მოპოვებას ნებისმიერი საშუალო შესაძლებლობების მქონე დეტექტივიც მოახერხებს.

სიტყვიერი დაპირებების მიუხედავად, კორუმპირებული მსაჯთა კორპუსის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო ფეხბურთის მმართველმა უწყებამ.

სფფ-ის ხელმძღვანელობა უკვე კარგა ხანია, პირში წყალს იგუბებს მსაჯობის პრობლემასთან დაკავშირებით, რაც სერიოზული ეჭვის გამოთქმის საბაბს ქმნის.

სფფ-ის ხელმძღვანელობა ნაკლებად დაინტერესდა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში მომხდარი განხეთქილებით. ბატონ ნიკა ამირეჯიბის განცხადებაა: „ისეთი დასკვნა გამომაქვს, რომ არვის აწყობს ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. რამდენი ხანია, ვსაუბრობ სამსაჯო კომიტეტში არსებულ მანკიერებებზე, ერთხელაც არ დაუძახიათ და არ უკითხავთ, იქნებ მართალს ვამბობ. ალბათ უკვე თავის დაცვაც აღარ შეუძლიათ".

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წარმომადგენელთა გარდა, ფეხბურთის სპეციალისტები ერთხმად აცხადებენ, რომ ჩვენს მსაჯებში „სიბინძურემ" კულმინაციას მიაღწია. სფფ-ის ხელმძღვანელობის მხრიდან რეაგირებას კი ყველა ამაოდ ელის, ხოლო ბატონი ანატოლი მილჩენკო განსხვავებული აზრის მქონეებს თავიდან იცილებს და პოსტს კვლავ ინარჩუნებს. მილჩენკომ პრაქტიკულად თავისი სამსახურის სრული მონოპოლიზირება მოახდინა და თანმიმდევრულად დაითხოვა ისეთი ავტორიტეტული პიროვნებები, როგორებიცაა შოთა ხინჩაგაშვილი, ნიკა ამირეჯიბი, მევლუდ მიმინოშვილი.

რამდენიმე დღის წინ მსაჯთა კორპუსს ძველი, „ტკბილი" სისტემის ნოსტალგია შემოაწვა და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცისა და ჩემპიონატის მომსახურე მსაჯთა თუ დელეგატთა კორუმპირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტები მოითხოვა.

დღეს ჩვენ გვთხოვენ ა/წ 1 ოქტომბრამდე სფფ-ის წარვუდგინოთ ჩვენს ხელთ არსებული მსაჯთა კორუმპირებულობის დამადასტურებელი მასალები. პირდაპირ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თქვენ ითხოვთ იმას, რაც თქვენთის დიდი ხანია დეტალურად ცნობილია და ისიც კარგად უწყით, რომ ამ ფაქტების გამოქვეყნებით მთლიანად ჩირქი მოეცხება ისედაც ავტორიტეტდაკარგულ ქართულ ფეხბურთს.

ჩვენ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადეთ და ვამხილეთ, რომ სამსაჯო კორპუსში კორუფციას ღრმად აქვს ფესვები გადგმული და აქედან გამომდინარე მოვითხოვეთ ამ უწყების ხელმძღვანელის პოსტიდან გადადგომა.

მიუხედავად ამისა, ერთ-ორ ზედაპირულ ფაქტს მაინც მოგახსენებთ:

რა უნდოდა პირველი ტურის წინ ალექსანდრე მეშკოვს, მსაჯთა კენჭისყრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ჩვენს ოფისთან რომ ტრიალებდა?

იმ მომენტში ჩვენს მიერ გამოჩენილი „უყურადღებობა" ხომ არ იყო ძირითადი მიზეზი იმ უმსგავსობისა, რაც მსაჯმა ჩაიდინა ცოტა მოგვიანებით, მეოთხე ტურში ჩვენს თამაშზე „დინამოს" კარში პენალტის დანიშვნას მოვერიდეო, შემდეგ კი აღიარა, მაგრამ წინა ტურში თსუ-ს კარში ორ წუთში ორი პენალტის დანიშვნას რომ არ მორიდებია?!

თუ ასე სწამთ თავისი სიმართლის და დიდი გულით წერილს გვწერენ, სად არის ჩვენი კორუმპირებულობის ფაქტებიო, მაშინ ჩუმ-ჩუმად ხალხს რად გვიგზავნიან, თუ შეიძლება, ჩავფარცხოთ ეს საქმეო.

ჯერ იყო და, თსუ-ს აღმასრულებელ დირექტორს სთხოვეს ჩვენთან „შერიგება". ამან რომ არ გაჭრა, თავად ალიკ ღურსუნიში გვეწვია ოფისში იმავე მისიით. სულ იმას ცდილობდა, გაეგო, გვქონდა თუ არა კონკრეტული ფაქტები ბატონ ანატოლი მილჩენკოს კორუმპირებულობის შესახებ.

რატომ გაათავისუფლეთ სამსახურიდან საკმაოდ კვალიფიციური მსაჯი იოსებ კახიანი? სარჩულად ის თამაში დაუდეთ, რომელშიც ინსპექტორი ანატოლი მილჩენკო იყო, ხოლო კახიანმა უმაღლესი შეფასება 8,5 ბალი მიიღო. ხომ არ გეგონათ, რომ ჩვენ კახიანი მოვქრთამეთ?! თუ ასეა, მოქრთამულმა მსაჯმა როგორ მიიღო ასეთი შეფასება?

რატომ დაითხოვეთ სამსახურიდან გურამ ასკაროლი? იმიტომ ხომ არა, პირდაპირ რომ გამხილაო, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი კორუმპირებულობაში?

საგანგებო კომიტეტით რომ გვემუქრებით, რას ნიშნავს ეს?! თუ სფფ-ის ხელმძღვანელობას ჩვენთან შეხვედრა უნდა, ამის შესახებ მათ კონფლიქტის მეორე დღესვე ჩვენ თვითონ ვთხოვეთ, მაგრამ უარი მივიღეთ...

დაბოლოს, გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ფეხბურთში წრფელი გულით და სუფთა ხელებით მოვედით, გვჯერა, რომ ერთ აგურს მაინც დავდებთ ქართული ფეხბურთის შენების საქმეში; ვიწყებთ უკომპრომისო ბრძოლას ქართულ ფეხბურთში მანკიერებების აღმოსაფხვრელად და კატეგორიულად ვაფრთხილებთ ყველას, ვინც შეეცდება, წინ აღუდგეს და გააგრძელოს ზეწოლა ქართული კლუბების ბინძურ თამაშში ჩასათრევად.

*საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება*

*25 სექტემბერი, 2000 წელი*

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
6 ტური
მიმოხილვა

# მწირგოლიანი და უღიმღამო

## სადაურია იბერია?

**ჩაიარა** მეთორმეტე ჩემპიონატის მეექვსე ტურმა. კიდევ ერთხელ შეცბა ქომაგი, გაგვიცრუვდა იმედები. პრობლემები ძველებურია, ფეხბურთის დაბალი დონე, არაობიექტური მსაჯობა და ამათან დაკავშირებული განხეთქილება და კონფლიქტები.

ქართული ფეხბურთისთვის საკითხი დღეისთვის ასე დგას — ოღონდ ტურმა უსკანდალოდ ჩაიაროს და სხვას დიდი მნიშვნელობა არც ენიჭება.

ასე თუ ისე, მეექვსე ტურში მშვიდობა სუფევდა. ორიოდ მწვრთნელმა ისევ უსამართლო მსაჯებზე დაიჩივლა. არსად არავის მისდევდნენ მოსაკლავად და არც არავინ დაუშინებიათ. არა, უწინდელთან შედარებით პროგრესი აშკარაა.

ტურის ცენტრალური მატჩი ეროვნულზე ჩატარდა. „ლოკომოტივმა" ისე მოუგო „დინამოს", მისთვის ერთი შანსიც არ მიუცია. თითქმის უბრძოლველად დანებდა ათგზის ჩემპიონი, მეორედ წააგო სამი უპასუხო ბურთით. ასეთი რამ აქამდე არასდროს დამართნია „დინამოს".

„პირველი გოლის ფაქტორმა გაგვტეხა, თორემ მანამდე დიდი ანგარიშით წასაგები არაფერი გვჭირდა" — „დინამოს" გულდაწყვეტილმა თავკაცმა რევაზ არველაძემ კლუბში არსებულ სიძნელეებზეც ისაუბრა.

საქართველოს ყველაზე ტიტულიანი კლუბის პრობლემები საფეხბურთო სამყაროსა და ქომაგთათვის თვალნათელია. ცდილობს „დინამო" და მისი მწვრთნელი, როგორმე მდგომარეობა გამოასწოროს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ საქმეები სულ უკან-უკან მიდის.

რევაზ არველაძეს, რაც „დინამოს" მწვრთნელია, თავისი ფეხბურთელების მისამართით სამდურავი არ დასცდენია. პირიქით, ყოველი თამაშის შემდეგ მათ მადლობას ეუბნება მხარდაჭერისთვის. არც თავისი შეცდომების აღიარება ავიწყდება „დინამოს" ახალგაზრდა თავკაცს, მაგრამ პირველი გოლის ფაქტორის გასასამართლებლად მოშველიება მაინც არასერიოზულია. ამაზე დღეს საფეხბურთო მსოფლიოში არავინ ლაპარაკობს.

ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ ფეხბურთელებს თამაშის ხალისი არა აქვთ. მათ თითქოს ერთბაშად დაკარგეს ყველა დადებითი და გამორჩეული თვისება. „დინამოს" დღეს ყველა ტოლ-სწორად ეთამაშება, არადა, სულ ცოტა ხნის წინ იმ ფეხბურთელთა უმეტეს ნაწილს ეროვნულ ჩემპიონატში თავისი სიტყვა ეთქმოდა.

დღეს უკვე უტოპიად ჩანს რევაზ არველაძის ნათქვამი სიტყვები — „დინამო" ჩემპიონი გახდებაო. ჩემპიონობას ვინ ჩივის, ახლა ექვსეულიც სანატრელია.

„ლოკომოტივმა" კი მორიგი თამაში მოიგო დიდი ანგარიშით. რევაზ ძოძუაშვილის ჩანაფიქრს, ვეტერანი გოგიჩაიშვილი ნახევარდაცვის ფლანგიდან შუაში შეეწია, ჯერჯერობით სიკეთის მეტი არაფერი მოჰყოლია. კახას თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო, გუნდისთვის ძალიან სასარგებლოდ ირჯება.

მომზადებული და მოფერიანებული დაუბრუნდა თურქეთიდან „ლოკომოტივს" ლევან სილაგაძე და მერაბ ძოძუაშვილი. პირველმა დაცვა გაამაგრა, მეორე კი მართალია, მეორე ტაიმში გამოჩნდა მინდორზე, მაგრამ იაქტიურა და თავისიც გაიტანა. დაუღალლები იყვნენ ხიზანიშვილი, ბალიაშვილი და კვარაცხელია. 3:0 ლოგიკური შედეგი გახლდათ.

დუნედ ითამაშა გორში ქუთაისის „ტორპედომ". არა, ჩემპიონებმა სასურველ შედეგს ზედმეტი დაძაბულობის გარეშეც მიაღწიეს, მაგრამ დღეს რიონისპირელებისგან ყველა გაცილებით მეტს ელის. ეს არც არის გასაკვირი. ქუთაისში ხომ ეროვნული ჩემპიონატის მთელი ელიტა შეყრილა.

„დილას" ჯერაც ვერ უპოვია თავისი თამაში. მართალია, გორის „ცენტრალური" ჯერაც მოუხერხებელი ადგილია სტუმართათვის, მაგრამ არც ისე საშიში, ადრე რომ იყო. გორში სამი ქულის ადვილად მოპოვება უკვე არც ისე ძნელია და ეს ჩემპიონატის არა ერთმა და ორმა გუნდმა შეძლო. „დილას" კრიზისი უფრო სიღრმისეული გამოდგა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

ბათუმში ახალი ერა იწყება, ოღონდ უცნობია, ვისი. „ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ ზღვისპირული გუნდი ერთბაშად ოთხმა ხელმძღვანელმა გამოიყვანა. ამათგან არც ერთი იყო მთავარი, მაგრამ „ბათუმმა" მაინც თავდადებით ითამაშა, იბრძოლა და მცხეთაში თავი არ შეურცხვენია.

„ვიტ ჯორჯიას" ნამეტანი დასვენება გამოსვლია, თანაც ზედმეტმა თავდაჯერებულობამ კინაღამ დაღუპა ვიცე-ჩემპიონი. საგოლე მომენტი, ასპროცენტიანი რომ ეთქმის, ორიოდეჯერ გააცუდეს ვეტერინარებმა. მათდა სასიხარულოდ, ლევან მელქაძე საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და...

ფოთში წარმატებული დაბრუნება მოიწყო სოსო ფილიამ. „კოლხეთმა" ერთი გოლი იკმარა „სიონთან" და მთლად სასურველი გამარჯვება არ გამოვიდა, მაგრამ, მწვრთნელის აზრით, მოთამაშეთა დისციპლინა და ტაქტიკა დამაკმაყოფილებელი იყო.

ბოლნისელებმა ისევ მათ კარში დანიშნული პენალტის (მათი აზრით არასწორი) წყალობით წააგეს. სპარტაკ არჩვაძემ კი აღიარა, მეტოქემ ტაქტიკურად დაგვჯაბნაო.

კოლხები უკვე სერიოზულად ფიქრობენ ექვსეულზე, მერე, წრეებს შორის შესვენებისას, სასურველ ფეხბურთელებს დაიმატებენ და...

შინიდან გამოგდებული „იბერია" რუსთაველებს ზესტაფონში დაუხვდა. შესაშური მასპინძლობა გამოიჩინეს ზესტაფონელებმა. ის კი არა, ალალად თქვეს, შემდეგშიც დავეხმარებით „იბერიასო".

ახლა ერთიღა დარჩა გასარკვევი, სადაური გუნდია „იბერია"? პასუხი, ალბათ, ერთია — საქართველოსია.

სანამ სოსო ფრუიძის გუნდი თავის წარმომავლობას გაარკვევდეს, მანამ ახალგაზრდულმა კლუბმა სიმშვიდეში თავი დაიგულა და პირველი ქულაც მოიპოვა. თავიდან „იბერია" აქტიურობდა, მერე უთავდამსხმელო გორდამაც გამოიღო ხელი, თუმცა მეტოქეებმა ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს და ორივე გუნდის მწვრთნელს ისღა დარჩენოდა, ეღიარებინა, ფრე ლოგიკური შედეგი იყოო.

არ შემცდარა ის, ვინც ფეხბურთის სანახავად ავჭალაში წასვლა არჩია. სწრაფი, საგოლე მომენტებით მდიდარი, დაძაბული ბურთაობა იხილეს „სინათლეზე" შეკრებილმა ქომაგებმა.

ვარგობდნენ მეკარეები, ცდილობდნენ თავდამსხმელები და დრო გადიოდა. თსუ-ს პენალტი დაურტყეს, მაგრამ გოლს მეკარემ გადაარჩინა სტუდენტები. მერე კაცნაკლული დარჩნენ სტუმრები, „მერანმაც" მოინდომა და გამარჯვებისა ბოლოსკენ მაინც გაიტანა.

სტუმართა თავკაცმა თავისი და შეგირდების შეცდომა აღიარა, მაგრამ არც მსაჯებზე აუგის თქმას მორიდებია: „სვანაძეს ბურთი მკერდზე მოხვდა, კვარაცხელიამ კი ამისთვის პენალტი დანიშნა. მინდორი დაატოვებინა მიხეილ მესხს, ხოლო მერანელის გინებაზე რეაგირება არ მოუხდენია."

ეს არ მარტო თსუ-ს, არამედ სამსაჯო კომიტეტის პრობლემაცაა დავნახოთ რას იტყვის კვალიფიციური კომისია. მეექვსე ტური მწირგოლიანი და უღიმღამო სანახავი იყო. ოთხჯერ მასპინძლებმა იხეირეს, ერთხელ სტუმრებმა ივარგეს, ერთხელაც მშვიდობით გაიყარნენ მეტოქეები. ექვს მატჩში შვიდი გოლი კი ვერაფერით დაამშვიდებს ფეხბურთს დანატრებულ ქომაგს. დაველოდოთ მეშვიდე ტურს. იქნებ ის იყოს უკეთესი. ყოველ შემთხვევაში, იმედს მაინც ნუ დავკარგავთ.

**გამუკა ძგანტალიანი**



ლოკომოტიველებს „დინამოს" დიდი ანგარიშით ძლევა უხარიათ

# სამიდან ერთი თამაშობს

**თბილისის** „დინამოში" კლუბის სამი ყოფილი მოთამაშე — კახა ცხადაძე, მურთაზ შელია და გიორგი კიკნაძე რომ უნდა მობრუნებულიყო, ამაზე უკვე ვწერდით. მწვრთნელებსაც ეიმედებოდათ მათი, გუნდი ერთიორად გაძლიერდებოდაო.

დაბრუნებით მხოლოდ შელია დაბრუნდა. მურთაზმა „ლოკომოტივის" წინაალმდეგაც ითამაშა, თუმცა „დინამოს" ვერაფრით შეეწია.

რკინიგზელებთან ცხადაძის „დინამოში" ხელმეორე დებიუტი უნდა შემდგარიყო, მაგრამ კახას ისევ ექიმთა დახმარება დასჭირვებია.

არველაძის თქმით, 22 სექტემბერს ცხადაძე მენისკმა შეაწუხა და იმ დღესვე ოპერაცია გაიკეთა. მოკლედ, ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა უიღბლობათა სერიას თავი ვერაფრით დააღწია. უკვე არც კი ვიცით, რომდენი ოპერაცია გადაიტანა ბოლო წლებში ცხადაძემ.



კახა ცხადაძე: ისევ ოპერაცია

რაც შეეხება გიორგი კიკნაძეს, მისი ამბავი ისევ გაურკვეველია. ჩვენებური ჯერაც თურქული „სამსუნსფორის" საკუთრებაა და თურქები მასში 90 ათას დოლარს ითხოვენ. ვინ მისცა „დინამოს" ამდენი ფული? თანაც ჩვენებურ კლუბს სატრანსფერო საქმიანობა აკრძალული აქვს, ამიტომ გიორგის იძულებითი დასვენება კიდევ მოუწევს.

**გამუკა ძგანტალიანი**

# სკონტოს 400 ათასი უნდა

**რიგის** „სკონტოდან" ვლადიკავკაზურ „ალანიაში" გადაბარგებული და მერე თბილისურ „ლოკომოტივში" გამონათხოვრებული მცველი ლევან სილაგაძე თურქულ „ბურსასფორში" ისინჯებოდა და მის დაბრუნებასაც ბევრი არ ელოდა.

ბოლო ინფორმაცია ასეთი იყო, ლევანი თურქებს მოეწონათ და მზად არიან, ბალტიისპირელებთან მოლაპარაკებაც დაიწყონო. ამიტომაც იყო სილაგაძის „ლოკომოტივის" რიგებში გამოჩენა მოულოდნელი. ლევანმა შაბათს „დინამოს" წინააღმდეგაც ითამაშა.

როგორც შევიტყვეთ, „ბურსას" ხელმძღვანელობა თანახმა ყოფილა, ჩვენებურის სანაცვლოდ 250 ათასი დოლარი გაეღო, მაგრამ „სკონტოს" თურმე 400 ათასისთვის ცენტიც არ ჩამოუკლია და გარიგებაც ჩაშლილა.

ფეხბურთელი ჯერჯერობით საქართველოს ჩემპიონატში გააგრძელებს თამაშს და ახალ წინადადებებს დაელოდება.

**გამუკა ძგანტალიანი**

# 0:3 და ბევრი გინება

**ორშაბათს** ფიზკულტურის აკადემიის რექტორის კაბინეტში სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის რიგით მეოთხე სხდომა გაიმართა. დისციპლინარებს ექვსი დღის ინტერვალში მეორედ მოუხდათ შეკრება და შინაურ პირველობებზე მომხდარ დარღვევებზე მსჯელობა. წესით და რიგით ორშაბათს გარჩეული საკითხები მესამე სხდომაზე უნდა განეხილათ, მაგრამ მაშინ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძის სკანდალურ განცხადებას დიდი დრო და ემოციები ემსხვერპლა.

სტკ-ზე გადაწყდა, რომ ზესტაფონის „მეტალურგს" 0:3 დამარცხება ჩაეთვალა „სამგურალთან". გეხსომებათ, პირველი ლიგის ამ შეხვედრამ რა დიდი აურზაური გამოიწვია წყალტუბოში. საერთო ჯამში დისციპლინარებმა სტუმრები დაადანაშაულეს, „მეტალურგის" ფეხბურთელ ქურციკიძეს მსაჯის ცემისთვის 12 თვით აეკრძალა თამაში და 1000 ლარით დაჯარიმდა. დაისაჯნენ მასპინძელი გუნდის — „სამგურალის" მესვეურნიც. გუნდის პრეზიდენტ გრიგოლ ქათამაძეს და მთავარ მწვრთნელ იასონ ბზიკაძეს სტკ-მ სასტიკი საყვედური გამოუცხადა და 100-100 ლარის გადახდა დააკისრა.

დარღვევების გარეშე პირველი ლიგის კიდევ ერთ მატჩს — „შუქურა" — „გურიასაც" არ ჩაუვლია. სტკ-მ ამ მატჩში მომხდარ ექსცესებზეც იმსჯელა და „ზედმეტი აქტიურობისთვის" „შუქურას" მეორე მწვრთნელი ანანიძე 200 ლარით აზარალა. ანანიძეს მსაჯები არ მოსვლია თვალში და თავისი გუნდის მომდევნო ოთხ მატჩს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. ანანიძის პოზიცია „გურიას" ფეხბურთელ გეწაძესაც გაუზიარებია (ორცეცხლს შუა მოხვედრილან მსაჯები). გეწაძის გინება 500 ლარად შეაფასა სტკ-მ და ფულად ჯარიმასთან ერთად ფეხბურთელს მკაცრი განაჩენიც გამოუტანა — გეწაძე 2000 წლის ბოლომდე დაისვენებს.

ზედიზედ მეორედ არ გაიმართა ბოლნისში მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია. სტკ-მ „სიონი" მკაცრად გააფრთხილა და 200-ლარიანი ჯარიმა გამოუწერა.

ორ-ორ მატჩს გამოტოვებენ და 100-100 ლარით შეითხელებენ ჯიბეს თსუ-ელი მესხი და იბერიელი მუმლაძე. ცხინვალელი ხაჭაპურიძე კი ნამატჩევს მსაჯის გინებისთვის ოთხ ტურს გამოტოვებს და 200 ლარსაც გადაიხდის.

**ბაათა ძგანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე
6 ტური

24 სექტემბერი, კვირა

**თორი 1:0 ივერია**
**მეტალურგი 1:0 ცხინვალი**
**თბილისი 1:0 ხობი**
**სამგურალი 4:2 ოკეანე**
**შუქურა 2:0 ზუგდიდი**
**გურია - მილანი**

„მილანის" ბაზაზე ჩამოყალიბებული კახეთის ნაკრები ბოსნიაში რეგიონთა თასის შესარჩევ ტურნირში სათამაშოდ იმყოფებოდა და მატჩი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:5 | 13 |
| შუქურა | 6 | 4 | 1 | 1 | 8:1 | 13 |
| მეტალურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:5 | 11 |
| ზუგდიდი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| სამგურალი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| თორი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:6 | 9 |
| გურია | 5 | 2 | 1 | 2 | 4:9 | 7 |
| თბილისი | 6 | 2 | 0 | 4 | 3:10 | 6 |
| ოკეანე | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 2:5 | 5 |
| მილანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ივერია | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი პირველი წრე

# 6 ტური სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 6 |
| მატჩი | 35 |
| გოლი | 89 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,54 |
| მასპინძელთა მოგება | 19 (54%) |
| ფრეები | 4 (11%) |
| სტუმართა მოგება | 12 (35%) |
| საერთო დასწრება | 54 800 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 565 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 6 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | III: 300 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 92 | 15,35 |
| სტუმარი | 70 | 11,65 |
| სულ | 162 | 27,00 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 31 | 5,15 |
| სტუმარი | 21 | 3,50 |
| სულ | 52 | 8,65 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 33 | 5,50 |
| სტუმარი | 29 | 4,85 |
| სულ | 62 | 10,35 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 33 | 5,50 |
| სტუმარი | 23 | 3,85 |
| სულ | 56 | 9,35 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 3,15 |
| სტუმარი | 24 | 4,00 |
| სულ | 43 | 7,15 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### დილა 0:1 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 13 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 2 | კარში დარტყმა | 8 |
| 2 | თამაშგარე | 10 |

### ლოკომოტივი 3:0 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 13 |
| 7 | კუთხური | 8 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 11 | კარში დარტყმა | 6 |
| 2 | თამაშგარე | 2 |

### ვიტ ჯორჯია 1:0 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 11 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 4 | კარში დარტყმა | 2 |
| 7 | თამაშგარე | 3 |

### კოლხეთი 1:0 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 14 |
| 7 | კუთხური | 1 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 4 | კარში დარტყმა | 1 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

### მერანი 1:0 თსუ

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 17 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 7 | კარში დარტყმა | 6 |
| 4 | თამაშგარე | 4 |

### იბერია 0:0 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 2 |
| 2 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 5 | კარში დარტყმა | 6 |
| 3 | თამაშგარე | 3 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 6 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 4 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 3 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| ფუფუნაშვილი | თსუ |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| ფანჩულიძე | კოლხეთი |
| შავგულიძე | კოლხეთი |
| გონჩაროვი | ლოკომოტივი |



შაბათს ეროვნულზე: „ლოკომოტივი" — „დინამო" 3:0. თემურ გადელია, ვალერი აბრამიძე (ბურთით) და კახა გოგიჩაიშვილი

**გორი, 23 სექტემბერი, 17 საათი, ცენტრალური, 1 300 (ტევადობა 8 230)**

### დილა 0:1 ტორპედო

0:1 შალამბერიძე (21)
დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ტულუში 30), კოტორაშვილი, ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე (ფეხუაშვილი 41, ოლგაშვილი 87)
სათადარიგონი: მეღვინე; ცინცაშვილი, საყვარელიძე, დ. მაისურაძე
ტორპედო: ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია (ჩხეტიანი 63), ვათიბერაძე (ჩხაიძე 77), შალამბერიძე, გუჩუა, იმედაძე (ასათიანი 53), ხვადაგიანი
სათადარიგონი: ტოგონიძე, თურმანიძე, თავბერიძე, ახვლედიანი
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

**თბილისი, 23 სექტემბერი, 17 საათი, ეროვნული, 2 000 (ტევადობა 70 900)**

### ლოკომოტივი 3:0 დინამო

1:0 გოგიჩაიშვილი (35პ) 2:0 გონჩაროვი (37) 3:0 ძოწიაშვილი (88)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, ლევან სილაგაძე, ხიზანიშვილი, კვარაცხელია, გოგიჩაიშვილი, გონჩაროვი (გილაური 78), რეხვიაშვილი (მარტინოვი 66), თოდუა, ქიქნაძე (ძოწიაშვილი 71)
სათადარიგონი: ივარდავა; ხურიძე, სალუქვაძე, დეკანოსიძე
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე (ზამთარაძე 46), შელია, მაშიაშვილი, ა. სახვაძე, ჯინჭარაძე, სიჭინავა, გადელია, გ. ვ. მიქაძე (ზირაქიშვილი 46), მაზიაშვილი (დათუაძე 46)
სათადარიგონი: ჩიხრაძე; რეხვიაძე, კანდელაკი, კ. გოგოლაძე
გაფრთხილება: შელია (16), თოდუა (44)
მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქობულეთი); მ. ჭურუმაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დოლიძე

**მცხეთა, 23 სექტემბერი, 17 საათი, არმაზი, 800 (ტევადობა 3 000)**

### ვიტ ჯორჯია 1:0 ბათუმი

1:0 მელქაძე (48)
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ქანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე (გვაზავა 57), სულთანიშვილი (ხაჭაპურიძე 78), გიორგი ქორიძე (დ. დოლიძე 88), ლ. მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა; ინწკირველი
ბათუმი: ბედიაშვილი, სიხარულიძე, მინდაძე, პაპიძე, მგალობლიძე, დარჩიძე, რომანაძე (ქაცარავა 70), გელა ქორიძე, აფხაზავა, ა. მუჯირი (თედორაძე 75), ფულეჯიშვილი (ბეჟანიძე 80)
სათადარიგონი: ბალაძე, კაკაბაძე, ჩოხელი, ბახტაძე
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

**ფოთი, 23 სექტემბერი, 17 საათი, ფაზისი, 1 500 (ტევადობა 6 000)**

### კოლხეთი 1:0 სიონი

1:0 შავგულიძე (54)
შავგულიძემ ვერ გაიტანა პენალტი (54, მეკარე)
კოლხეთი: მ. გვასალია, ქუნთელია, ტორჩინავა, პაპავა, კედელაშვილი (კრასოვსკი 46), ფანჩულიძე, ხუჭუა, ღლონტი, კვირკველია (მაღლაკელიძე 75), ე. გვასალია, შავგულიძე (თედეევი 82)
სათადარიგონი: ჩემია; გ. ჩიტაია, ქანტურიძე, ბ. ჩიტაია
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ბარნოვი, დიმიტრიშვილი, თ. სამხარაძე (კ. მეტრეველი 78), მ. სამხარაძე (ჯაფარიძე 78), სოლოღაშვილი, ისიანი, მოსეშვილი, წიკლაური (ხაჩიკლიშვილი 80)
სათადარიგონი: დოლაქიშვილი
გაფრთხილება: ვოლკოვი (18), პაპავა (70)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი), მ. ელიკაშვილი, ზ. ჯავარიძე; ლ. რაზმაძე (სამივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**თბილისი, 23 სექტემბერი, 17 საათი, სინათლე, 1 000 (ტევადობა 3 000)**

### მერანი 1:0 თსუ

1:0 დევაძე (82)
გოდერძიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (78, მეკარე)
მერანი: დევაძე, ოდიშარია (თოლორდავა 84), გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევაძე, დ. გოდერძიშვილი, ჭინჭარაული, მინაშვილი, მუხინი, ბაჯელიძე (გ. კვეტენაძე 61), ბოლქვაძე (ივანიშვილი 74)
სათადარიგონი: ნაჭყებია; გ. ილურიძე, კობიაშვილი, კოშკაძე
თსუ: გუგუნავა, ზვ. ლაბაძე, ხარებავა (კვიციანი 35), ებრალიძე, ადამია, სვანაძე, რ. გოცირიძე, ახალაძე (ჯ. ალადაშვილი 80), მესხი, ერაძე, ბოკერია (ფუფუნაშვილი 62)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ბ. ნოზაძე, მორჩილაძე, ვადაჭკორია
გაფრთხილება: ცქიფურიშვილი (16), დევაძე (45), გოდერძიშვილი (64), კვიციანი (64), სვანაძე (78)
გაძევება: მესხი (75)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, ზ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

**ზესტაფონი, 23 სექტემბერი, 17 საათი, მეტალურგი, 500 (ტევადობა 10 000)**

### იბერია 0:0 გორდა

იბერია: ჩომახიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, გიორგაძე (მუმლაძე 44), ლ. ხმალაძე, ბინაძე, ოდიკაძე, ზ. მეტრეველი (ჩიმაკაძე 85), გოგიაძე
სათადარიგონი: ყარდანიძე, ყურაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ონიანი
გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, დ. ბერიძე, ა. ბურნაძე, ბექაური, ზ. ლაბაძე, მელაძე, კიტეიშვილი, მიშველიძე, კ. ალადაშვილი (ბაჩილავა 33), ოსკანაშვილი (მ. სახვაძე 53)
სათადარიგონი: გონგაძე, მჭედლიძე, ფოჩხუა, გ. მიქაძე
გაფრთხილება: სახვაძე (54), გაბელაია (68), ბაჩილავა (70), მუმლაძე (75), ლაბაძე (85)
გაძევება: მუმლაძე (88)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ვ. ჩოჩიშვილი, ს. შალამბერიძე; ა. კრიჟაშვილი (სამივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

## სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| ოლეგარ გვასალია | კოლხეთი |
| გოჩა გონჩაროვი | ლოკომოტივი |
| იაკობ დევაძე | მერანი |
| კახა გოგიჩაიშვილი | ლოკომოტივი |
| ვალტერ გუჩუა | ტორპედო |
| მიხეილ კვარაცხელია | თსუ |
| გიორგი ბალაშვილი | ლოკომოტივი |
| ჯონი შალამბერიძე | ტორპედო |
| გიორგი ტანიობაძე | ვიტ ჯორჯია |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ლოკომოტივი |
| ბაკაი დევაძე | მერანი |

გუნდი: ლოკომოტივი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 6 | 6 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 9 |
| 2 ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | 17:3 | 14 | 15 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:1 | 8 | 6 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 7 |
| 4 მერანი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 3 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 5 დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 5:8 | -3 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 6 |
| 6 გორდა | 6 | 2 | 3 | 1 | 8:11 | -3 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:8 | -6 | 2 |
| 7 დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | -4 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 8 ბათუმი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | -7 | 0 |
| 9 თსუ | 6 | 2 | 0 | 4 | 9:13 | -4 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 |
| 10 კოლხეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | -2 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 0 |
| 11 სიონი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:8 | -4 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 12 იბერია | 6 | 0 | 1 | 5 | 1:10 | -9 | 1 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | -5 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |



სტუდენტი ზვიად ლაბაძე და „მერანის" უკრაინელი ანდრეი მუხინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეფამ ჰაჯი შეიწყალა



ამნისტირებული გეორგე ჰაჯი

**თურქული** „გალათასარაის“ რუმინელი ლეგიონერი გეორგე ჰაჯი შეიწყალეს.

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა სტამბოლური კლუბის ლიდერი თავდაპირველად ძალიან მკაცრად დასაჯა. პირველ ტურში საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოსთან“ ფეხბურთელმა მორიგი წითელი ბარათი მიიღო — მსაჯმა მას მეტოქისთვის იდაყვის განზრახ ჩარტყმა არ აპატია. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამაც ჰაჯის უმალ ძველი ცოდვები გადმოულაგა, უეფას თასის ფინალსა და ევროპის ჩემპიონატზე ჩადენილი უდისციპლინობებიც გაუხსენა და ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

გუნდის ლიდერის მკაცრმა დასჯამ „გალათასარაის“ ხელმძღვანელობა ალაშფოთა. თურქებმა განაჩენი უსამართლოდ მიიჩნიეს და უეფაში იჩივლეს — ერთი გაძევებისთვის რომ კაცს ხუთი თამაშით გვისჯით, ეგ სადაური წესიაო.

სარჩელმა გაჭრა: უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ამ საკითხზე ხელმეორედ იმსჯელა და ჰაჯის დისკვალიფიკაცია ორ მატჩამდე შეუმცირა.

ერთი შეხვედრა რუმინელმა ვეტერანმა უკვე გამოტოვა. „გალათასარაი“ უჰაჯოდ ავსტრიაში „შტურმთან“ შერცხვა — 0:3 წააგო. „გალას“ არც დღეს ეყოლება თავისი ლიდერი და შოტლანდიელებს უმისოდ უმასპინძლებს, სამ კვირაში კი ჰაჯი „აიბროქსის“ სტადიონზე ყვითელ-წითელ მაისურას ისევ მოირგებს და იმავე „რეინჯერსთან“ გასვლით შეხვედრაში თავის გუნდს კვლავაც დაეხმარება.

რუმინელს სასჯელი კი შეუმსუბუქეს, მაგრამ ფულადი ჯარიმა უცვლელი დაუტოვეს. იგი ჯიბეს 9 ათასი დოლარით შეითხელებს. ასევე ძალაში დარჩა „გალათასარაის“ ქომაგების უსაქციელობისთვის გამოწერილი ჯარიმაც — თურქები უეფას 20 ათასი დოლარით გაამდიდრებენ.

**განო ოქროპირიძე**

# ძველი დაბრუნდა

**დინო ძოფი** „ლაციოს“ მმართველთა ამალაშია — წარსულში რომაული კლუბის მწვრთნელმა და პრეზიდენტმა ახლა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ჩაიბარა. დიდი ხანი არ გასულა, რაც პაპა დინომ იტალიის ნაკრების თავკაცის სავარძელი დატოვა და ერთ-ერთ უდინურ უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო, თუმცა იტალიის ჩემპიონთა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ არ აცალა და განაცხადა, ძოფისთვის „ლაციოს“ კარი ყოველთვის ღიაა, ნებისმიერ დროს შეეძლება დაბრუნებაო.

ძოფს ბევრი არ უფიქრია, კრანიოტიც კმაყოფილი დარჩა: „იტალიის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ მოველოდი, რომ ძოფი კვლავ დაგვიბრუნდებოდა.“

ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონის კონტრაქტი სამწლიანია, მას გუნდში დიდი ძალაუფლება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლება ექნება. „კლუბის განვითარებასა და კიდევ უფრო გაძლიერებაში ძოფი უდიდეს როლს შეასრულებს“ — დასძინა კრანიოტიმ.

„ბევრი სამუშაოა და ერთი სული მაქვს, როდის შევუდგები ჩემი მოვალეობის შესრულებას“ — განაცხადა თავად ძოფმა. რამდენიმე თვის წინ, როცა „სკუადრა აძურადან“ წახვედით, თუ გიფიქრიათ, რომ ისევ „ლაციოს“ მიაშურებდითო — ჰკითხეს პაპა დინოს. მან კი უპასუხა: „ჩემს გადაწყვეტილებას რომში დაბრუნების შესახებ არაფერი აქვს საერთო იტალიის ნაკრებიდან წასვლასთან. ამ ორ ფაქტს ნურავინ დაუკავშირებს ერთმანეთს.“

ვარსკვლავური გუნდის მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ძოფს გულღიად შეხვდა: „ძველი მეგობარი დაბრუნდა“ — აღნიშნა შვედმა.



დინო ძოფი „ლაციოს“ ვიცე-პრეზიდენტია


მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

პერსონალური კომპიუტერის

შემსწავლელ ჯგუფებში

მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები

ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორია)

☎ 29-48-60. 23-53-17




ჯერარდ ლავინი: მინუს 1300

# ვინ არის დამნაშავე?

**მარკ სტივენსი** ინგლისურ რედინგში ცხოვრობს. იქაური გუნდი მეორე დივიზიონში თამაშობს და თუმცა კუნძულებზე ბევრი უკეთესი გუნდია, მარკ სტივენსი „რედინგის“ თავგადაკლული ქომაგია. რა ქნას, მშობლიური გუნდი ყველა გრანდს ურჩევნია. ცხადია, სეზონური აბონემენტიც ჯიბეში უდევს.

ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, წინა სეზონში მოხდა. კვირა იყო — ფეხბურთის დღე. მარკ სტივენსმა თავისი აბონემენტი აიღო და ბრისტოლის „მემორიალ გრაუნდს“ მიაშურა.

რა უნდა ქომაგს? ბუნებრივია, საყვარელი გუნდის გამარჯვება. მაგრამ მას სხვა რამეც სურს. კერძოდ ის, რომ ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯონ, რათა თავი მოტყუებულად არ იგრძნოს. ბოლოს და ბოლოს, აბონემენტი ხომ კარგი ფეხბურთის სანახავად შეიძინა და არა ფეხბურთელთა გასამდიდრებლად.

მივიდა მარკ სტივენსი სტადიონზე, მოკალათდა თავის ადგილზე და თამაშიც დაიწყო. ჯობდა, არ დაწყებულიყო. რას ხედავს? ზოგი გულიანად იბრძვის, ზოგიც კევის ღეჭვით ერთობა. აი, თუნდაც ჯერარდ ლავინი, ბრისტოლური მასშტაბის ვარსკვლავი. აშკარად ეტყობა, რომ თამაშის გუნებაზე არაა. მაგრამ რა ქნას მარკ სტივენსმა და „მემორიალ გრაუნდზე“ შეკრებილმა სხვა ცხრა ათასმა მაყურებელმა? წინასწარ ხომ არ დარეკავენ კლუბის ოფისში და იკითხავენ: „უკაცრავად, როგორ ხასიათზეა დღეს ჯერარდ ლავინი (არ რომელიმე სხვა ფეხბურთელი)?“

ერთი სიტყვით, მოტყუებულმა გულშემატკივრებმა ჯავრი იმით იყარეს, რომ ფეხბურთელს შეაგინეს, მათ შორის ჩვენი ამბის გმირმაც.

მარკ სტივენსი პირველ რიგში იჯდა, ჯერარდ ლავინი მისგან შვიდ მეტრში იდგა. შეგინებულმა ბურთი აიღო და გააკეთა ის, რაც მინდორზე თამაშისას არ გაუკეთებია — უძლიერესად დაარტყა. დანარჩენი ელვის სისწრაფით მოხდა. ბურთი სტივენსის გვერდით მჯდომ ბავშვს ხვდებოდა და მარკმა მას სახეზე ხელი აიფარა. შედეგად მაჯამოტეხილ ქომაგს საავადმყოფოში თაბაშირი დაადეს.

გილფორდ კროუნის სასამართლომ განაჩენი გუშინწინ გამოიტანა — ჯერარდ ლავინი დაჯარიმდეს ათასი გირვანქით, მასვე დაეკისროს მარკ სტივენსისთვის კომპენსაციის სახით სამასი გირვანქის გადახდა.

მორალი: ბიჭებო, თუ ნაბახუსევი ხართ, კაზინოში ფული წააგეთ, გზად შავმა კატამ გადაგირბინათ ან ვარსკვლავური სენი შეგეყარათ და ამიტომ თქვენი თამაშის სანახავად მოსული ქომაგების გაბითურება არაფრად გიღირთ, ჯობს, სულ ნუ ითამაშებთ: გინებას ხომ მაინც გადაურჩებით.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელმა მცველმა იორგ ჰაინრიხმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „შალკეს“ წინააღმდეგ მატჩში, ტრავმა მიიღო და გერმანიის ნაკრებს ინგლისის წინააღმდეგ 7 ოქტომბერს ვეღარ დაეხმარება. „ბორუსიას“ ფეხბურთელს კუნთი დაეჭიმა. კლუბის ექიმის განცხადებით, იგი დაახლოებით სამ კვირას ვერ ითამაშებს. „უემბლიზე“ ინგლისელთა წინააღმდეგ ვერც ალექსანდრ ციგლერი გამოვა. ესპანეთთან ამხანაგურ მატჩში ორი გოლის ავტორსაც ტრავმა აქვს.**

**ესპანეთის** მეორედივიზიონელი „მურსიას“ მწვრთნელი რაფაელ ალჩიდე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მართალია „მურსიამ“ ბოლო ტურში შინ „ალბასეტე“ 2:0 დაამარცხა, მაგრამ რაფაელს ამან ვერ უშველა. „გაოცებული ვარ, არ ვიცი, კლუბიდან რატომ გამიშვეს. „მურსიაში“ რვა თვის წინ მოვედი და მას შემდეგ მხოლოდ სამი მატჩი წავაგეთ, შარშან კი მეორე დივიზიონშიც ავზევდით“ — განაცხადა ალჩიდემ. ახალ სეზონში „მურსიამ“ ოთხ ტურში ოთხი ქულა დააგროვა და 22-გუნდიან ცხრილში მეთოთხმეტე ადგილზეა.

**ინგლისურმა „ლივერპულმა“ ხორვატ იგორ ბიცკანთან შეთანხმებას მიაღწია და მასთან წინასწარი კონტრაქტიც გააფორმა. ნახევარმცველის ხელში ჩაგდებას „ბარსელონა“, მიუნხენის „ბაიერნი“ და „იუვენტუსიც“ ცდილობდნენ. იუწყებიან, რომ მერსისაიდულმა კლუბმა ზაგრების „დინამოს“ ბიცკანის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ფეხბურთელი ინგლისის სამუშაო ვიზას ელოდება, ახალ გუნდს კი დეკემბრიდან შეუერთდება, მას შემდეგ, რაც ხორვატიის ჩემპიონატში პირველი წრე დასრულდება.**

**ინგლისურ** „ჩელსის“ მომავალი სეზონიდან ახალი სპონსორი ეყოლება — ავიაკომპანია „ემირატსი“. ამჟამინდელ დამფინანსებელ „აუტოგლასს“ კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს უმთავრდება. ახალი კონტრაქტის ღირებულება 20 მილიონი გირვანქაა. ლონდონურ კლუბთან პარტნიორობას სატელეფონო კომპანია „კელნეტიც“ ცდილობდა, მაგრამ „ემირატსმა“ აჯობა.

**ფრანგული „სენტ ეტიენის“ მწვრთნელი რობერ ნუზარე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისმა გუნდმა ჩემპიონატის ბოლო ტურში „სტრასბურთან“ 2:3 წააგო და ახლა ცხრილის ქვედა საფეხურებზე იმყოფება. 56 წლის ნუზარეს ადრე „ბორდოში“, „გენიონში“, „მონპელიესა“ და „ლიონში“ უთამაშია. შემდეგ მწვრთნელობა დაიწყო და ერთხანს კოტ-დივუარის ნაკრებს ავარჯიშებდა, 1998 წლის მაისში კი პოსტი დატოვა, საფრანგეთს მიაშურა და „სენტ ეტიენს“ ჩაუდგა სათავეში. აღსანიშნავია, რომ ნუზარეს კლუბში კიდევ სამი სეზონი უნდა ემუშავა.**

**რუსი** ნახევარმცველი ანდრეი ტიხონოვი „სპარტაკიდან“ დროებით გაუშვეს, თუმცა მოსკოვური კლუბის პრეს-ატაშემ აღნიშნა, რომ ფეხბურთელს არ ყიდიან. „ანდრეი ფსიქოლოგიურად გადაიღალა და დასვენება სჭირდება“ — განაცხადა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა — „სამწუხაროა, რომ სეზონის დარჩენილ ნაწილს უმისოდ გავატარებთ“. თავად ფეხბურთელმა კი განაცხადა: „ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვიტე, დავისვენო.“ ტიხონოვი „სპარტაკში“ 1992 წლიდან თამაშობს. მას შემდეგ მოსკოვური კლუბი შვიდჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი, ხოლო წლეულს ტიტულის მერვედ მოპოვების შანსი აქვს.

**ინგლისური „სანდერლენდის“ კაპიტანმა სტივ ბოულდმა ტრავმის გამო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 37 წლის ფეხბურთელს ეს ექიმებმა ურჩიეს, რადგან ჩათვალეს, რომ თამაშის გაგრძელება მისი ჯანმრთელობისთვის ერთობ სახიფათოა. აღსანიშნავია, რომ ექს-არსენალელმა ბოულდმა წლევანდელ სეზონში ერთი შეხვედრა ჩაატარა — იგი „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ გამოჩნდა მინდორზე.**

**ბერძენმა** ნიკოს დაბიზასმა შესაძლოა დარჩენილი სეზონი გამოტოვოს. ეს მაშინ მოხდება, თუ ექიმები დაადგენენ, რომ მას ოპერაცია ესაჭიროება. „ნიუკასლის“ თავკაცმა ბობი რობსონმა უკვე იმედი დაკარგა: „ვგონებ, დაბიზასის გარეშე მოგვიწევს თამაში. საეჭვოა, იგი ოპერაციას გადაურჩეს.“ ნიკოსი საბერძნეთის ნაკრების წევრია და ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებშიც დააკლდება.

**თურქული გაზეთების ცნობით, „გალათასარაის“ „ბარსელონას“ ფინელი ფორვარდის, იარი ლიტმანენის შეძენა სურს. ამით ერთობ მოწადინებული მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ფინელი კატალონიაში „აიაქსიდან“ მოხვდა, თუმცა „ბარსელონაში“ თავი ვერაფრით გამოიჩინა. „ბარსას“ ახალი ხელმძღვანელობა ფორვარდის გაყიდვას ისედაც აპირებს, ლიტმანენის აგენტი კი ირწმუნება, რომ ფეხბურთელს ბევრი სხვა კლუბიც ეპატიჟება.**

# ჯანლუკა, შენ გენუას ახსოვხარ

**„ჩელსიდან“** წასულ ჯანლუკა ვიალის „სამპდორიას“ მწვრთნელობას სთავაზობენ. ყოველ შემთხვევაში, ირწმუნებიან, რომ გენუელებს თავხოტორა იტალიელის მიწვევა ძლიერ სურთ. „თუ ჯანლუკა ჩვენთან გადმოსვლას ისურვებს, მწამს, კლუბში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. აქაურ ქომაგებს ვიალი არასდროს დაავიწყდებათ. იგი გენუელთა კუმირია. ამას ისიც ემატება, რომ ჯანლუკა და „სამპდორიას“ პრეზიდენტი ენრიკო მანტოვენი მეგობრები არიან“ — აცხადებს „სამპდორიას“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მოხელე. შეგახსენებთ, რომ გენუური კლუბი ახლა სერია B-ში თამაშობს, ვიალი კი „სამპდორიის“ ღირსებას 1984-დან 1992 წლამდე იცავდა.

თავად ვიალი გადაწყვეტილების მიღებას ჯერჯერობით არ ჩქარობს, „სტემფორდ ბრიჯი“ ხომ მან რამდენიმე დღის წინ დატოვა. იმასაც ეჭვობენ, ეგებ ჯანლუკა მალე რომელიმე იტალიურ სუპერკლუბსაც ჩაუდგეს სათავეშიო — სერია A-ს წამყვან კლუბებში, ჩემპიონატის დაწყებასთან ერთად, მწვრთნელთა დიდი ცვლილებებია მოსალოდნელიო. თუ მართლაც ასე მოხდა, იქნებ ერთი ადგილი ვიალისთვისაც გამოთავისუფლდეს.



ჯანლუკა ვიალი

# Sydney 2000

26 სექტემბერი

დღე XI

## ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე

Sydney 2000

26 სექტემბერი

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: აკაკი ჩაჩუა (63კგ) — მე-3 ადგილი; გენადი ჩხაიძე (97კგ) —მე-5 ადგილი; მუხრან ვახტანგაძე (85კგ) — გავიდა მეოთხედფინალში; კობა გულიაშვილი (58კგ) — ჯგუფიდან ვერ გავიდა. კრივი: ვლადიმერ ჭანტურია (91კგ) — გავიდა ნახევარფინალში. ძალოსნობა: ვალერი სარავა (მძიმე წონა) — მე-17 ადგილი.**

დასაწყისი პირველ გვერდზე

ეს ინტერვიუ იქვე, დაჯილდოების ცერემონიალის დამთავრებისთანავე ჩავიწერე:

**— გილოცავ ოლიმპიურ მედალს. ახლა რამდენიმე ცნობილ მოჭიდავეს ვესაუბრე და ყველა ამბობს, ჩაჩუა ფინალის ღირსი იყოო.**

— რა თქმა უნდა, აჯობებდა, მაგრამ რას იზამ. რაც ავილე, ის უნდა ვიკმარო. ნახევარფინალში, თუ გახსოვთ, რუს სამურგაშევთან ცდა არ დამიკლია, მაგრამ მაინც წავაგე. ცოტას მსაჯებიც წაეხმარნენ.

**— ცოტას კი არა, მეტისმეტი აგადრეს, თანაც აქ, ოლიმპიადაზე, მთელი მსოფლიოს თვალწინ.**

— ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ჩვენი მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩიაც მაფრთხილებდა — დღეს მეტოქეს და მსაჯს უნდა აჯობოო. ექვსი წუთი ვიჭიდავეთ და ჩოქბჯენში ერთხელაც არ ჩააყენეს. როგორც კი ილეთს წამოვიწყებდი, მსაჯი მაჩერებდა. მოკლედ, მეტოქეს, მგონი, ვაჯობე, მსაჯს — ვერა.

**— მესამე ადგილისთვის შეხვედრასაც ალბათ უფრთხოდი. ფილა-ს მსაჯთა საბჭოს თავმჯდომარე ხომ შვეიცარიელია...**

— კიდევ კარგი, ყველაფერი მალე დამთავრდა. ისე, მედალს იოლად არავის გავატანდი. სპორტული კარიერის მიწურულს სერიოზული შედეგის მიღწევის შანსი მომეცა და საომრად მზად ვიყავი.

**— კისრული მართლაც ეფექტური გამოგივიდა. მომენტს უცდიდი თუ...**

— ფანდს იშვიათად ვამზადებ, უფრო სიტუაციის შესაბამისად ვჭიდაობ. მომენტს ალღოთი ვგრძნობ და ვცდილობ, ხელიდან არ გავუშვა. აქაც ასე იყო: მეტოქემ ხელი „დამითმო", დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო.

**— სიდნეიში რომ მოდიოდი, რა შედეგს ვარაუდობდი?**

— ერთი რამ ვიცოდი, მედალი აუცილებლად უნდა ამეღო. სხვებიც კარგად მოემზადნენ, მაგრამ სპორტში ყველაფერი ხდება, მით უმეტეს, ოლიმპიადაზე. ვინ იფიქრებდა, რომ მელელაშვილი ჯგუფიდან ვერ გავიდოდა, ან გულიაშვილი. ამჯერად იღბალი ჩემს მხარეს იყო. ისე, მერწმუნეთ, ამ მედალში დიდი შრომაა ჩადებული. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც გვერდში მედგა. განსაკუთრებული მადლიერებით პირად მწვრთნელ ოთარ ტატიშვილს მოვიხსენიებ.

# დიდი ამბები ჩვენთვის



REUTERS

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 63-კილოგრამიანთა კვარცხლბეკი: კუბელი ხუან ლუის მარენი (ვერცხლი), რუსი ვარტარეზ სამურგაშევი (ოქრო) და ქართველი აკაკი ჩაჩუა (ბრინჯაო)

მოგვიანებით, აქაური დროით საღამოს 10 საათზე, მოკრივეთა ტურნირზე სენსაციის მოწმენი გავხდით და მისი ავტორი ვლადიმერ ჭანტურია, ახალგაზრდა ქართველი მოკრივეა. მეოთხედფინალში მისმა გამარჯვებამ, ცხადია, ყველანი გაგვახარა, დარბაზში მოსული მაყურებელი კი გააკვირვა. ჭანტურიამ იშვიათი შეუპოვრობით, ბოლომდე კაცურად იბრძოლა და ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტს, უზბეკ რუსლან ჩაგაევს აჯობა. ჩაგაევი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი და სახელოვანი ფელიქს სავონის ერთადერთი დამმარცხებელია. ამით ჭანტურიას ოლიმპიური სიურპრიზი სპორტული გმირობის მნიშვნელობასაც იძენს. ჩვენს მოკრივეს ოთხივე რაუნდში თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდა.

„თავიდან ვფრთხილობდი, მაგრამ არ შემშინებია. პირიქით, საოცრად აღგზნებული და ბრძოლის ჟინით შეპყრობილი ვიყავი. მეორე რაუნდში საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბრძოლას მოვიგებდი. ძლიერი დარტყმები კი ჰქონდა, მაგრამ მეც არ დამიკლია... ახლაც არ მჯერა, თავი სიზმარში მგონია".

ჭანტურია ამაზე გაჩერებას არ აპირებს და ახალ სიურპრიზებს გვპირდება. ნახევარფინალში რუსეთის წარმომადგენელი, სულთანახმედ იბრაგიმოვი ელის. ეს ბრძოლა 28 სექტემბერს შედგება.

მერე კი ფინალია. ვინ იცის...

## ქვეყანათა მონაგარი

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 25 | 15 | 23 |
| ჩინეთი | 22 | 14 | 14 |
| რუსეთი | 17 | 14 | 20 |
| ავსტრალია | 12 | 20 | 12 |
| საფრანგეთი | 12 | 13 | 7 |
| იტალია | 11 | 6 | 11 |
| რუმინეთი | 10 | 4 | 4 |
| ჰოლანდია | 8 | 5 | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 6 | 8 | 5 |
| გერმანია | 5 | 11 | 16 |
| კორეა | 5 | 6 | 8 |
| იაპონია | 5 | 6 | 4 |
| პოლონეთი | 4 | 4 | 1 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 2 |
| შვედეთი | 4 | 3 | 1 |
| უკრაინა | 3 | 7 | 5 |
| კუბა | 3 | 6 | 2 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 2 |
| საბერძნეთი | 2 | 4 | 1 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 |
| ლიტვა | 2 | 0 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 |
| ირანი | 2 | 0 | 0 |
| შვეიცარია | 1 | 5 | 2 |
| ინდონეზია | 1 | 3 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 |
| მექსიკა | 1 | 2 | 0 |
| ბელარუსი | 1 | 1 | 8 |
| კანადა | 1 | 1 | 5 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 3 |
| ეთიოპია | 1 | 0 | 2 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 |
| მოზამბიკი | 1 | 0 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 4 | 2 |
| ბელგია | 0 | 2 | 2 |
| დანია | 0 | 2 | 1 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 1 | 2 |
| ტაივანი | 0 | 1 | 2 |
| ჩრდილოეთ კორეა | 0 | 1 | 2 |
| იამაიკა | 0 | 1 | 2 |
| ნორვეგია | 0 | 1 | 1 |
| კენია | 0 | 1 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 0 |
| ურუგვაი | 0 | 1 | 0 |
| ტრინიდადი | 0 | 1 | 0 |
| ნიგერია | 0 | 1 | 0 |
| მოლდოვა | 0 | 1 | 0 |
| ირლანდია | 0 | 1 | 0 |
| არგენტინა | 0 | 1 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 3 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 2 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 2 |
| სომხეთი | 0 | 0 | 2 |
| ტაილანდი | 0 | 0 | 1 |
| ყატარი | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ისლანდია | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| ალჟირი | 0 | 0 | 1 |
| ბარბადოსი | 0 | 0 | 1 |

## ჩემპიონები და პრიზიორები

### 26 სექტემბერი

#### პლაჟის ფრენბურთი

ვაჟები

1. დეინ ბლენტონი — ერიკ ფონოიმოანა (აშშ)
2. მარკო დე მელო — რიკარდო სანტოსი (ბრაზილია)
3. იორგ აჰმანი — აქსელ ჰაგერი (გერმანია)

#### ველორბოლა

ქალები. ჯგუფური რბოლა

1. ლეონტიენ ზაილაარდი (ჰოლანდია)
2. ჰანკა კუპფერნაგელი (გერმანია)
3. დიანა ზილიუტე (ლიტვა)

#### სინქრონული ცურვა

წყვილები

1. ოლგა ბრუსნიკინა — მარია კისელიოვა (რუსეთი)
2. მია ტაჩიბანა — მიჰო ტაკედა (იაპონია)
3. ვირჟინ დიდო — მირიამ ლიგნო (საფრანგეთი)

#### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

54 კგ

1. სიმ კვონ ჰო (კორეა)
2. ლაზარო რივასი (კუბა)
3. კანგ იონგ გიუნი (ჩრდილოეთ კორეა)

63 კგ

1. ვარტარეზ სამურგაშევი (რუსეთი)
2. ხუან ლუის მარენი (კუბა)
3. აკაკი ჩაჩუა (საქართველო)

76 კგ

1. მურატ კარდანოვი (რუსეთი)
2. მეტ ჯეიმს ლინდლენდი (აშშ)
3. მარკო ილი-ჰანუკსელა (ფინეთი)

97 კგ

1. მიკაელ ლიუნგბერგი (შვედეთი)
2. დავით სალდაძე (უკრაინა)
3. გარეთ ლოუნი (აშშ)

#### წყალში ხტომა

ვაჟები. 3მ. ტრამპლინი

1. სიონგ ნი (ჩინეთი)
2. ფერნანდო პლატასი (მექსიკა)
3. დმიტრი საუტინი (რუსეთი)

#### ძალოსნობა

ვაჟები. მძიმე წონა

1. ჰოსეინ რეზაზადე (ირანი)
2. რონი ველერი (გერმანია)
3. აშოტ დანიელიანი (სომხეთი)

#### სოფტბოლი

1. აშშ
(დოტ რიჩარდსონი, ლაურა ბერგი, ლისა ფერნანდესი, კრისტლ ბასტოსი, ჯენიფერ ბრენდეჯი, მიშელ სმიტი, შეილა დასტი, სტეისი ნიუვემანი, ჯენიფერ მაკფოლსი, ლეა ობრაიენ-ამიკო, კრისტი ამბროსი)
2. იაპონია
3. ავსტრალია

კრივი

# ადრე ჩაგაევმა სავონი, გუშინ ჭანტურიამ ჩაგაევი...



კუბელმა ფელიქს სავონმა (მარჯვნივ) ამერიკელ მაიკლ ბენეტს ასე ბევრჯერ შემოკრა

REUTERS

**ამერიკული** სამოყვარულო კრივისთვის წარუმატებელი და რუსთათვის მშვენიერი ოლიმპიური დღე ქართველობისთვისაც არანაკლებ კარგი გამოდგა. იანკებმა გუშინდელ მეოთხედფინალებში ორი კაცი დაკარგეს, რუსებმა ოთხი მინიმუმ ბრინჯაოს მედალი დაიბევეს და ერთიც — ქართველებმა, ოღონდ ამ ბრინჯაოს ფასი რუსულებზე ბევრად მეტია. ჯერ ერთი, მედლები თავსაყრელად არა გვაქვს და მეორეც, ვლადიმერ ჭანტურიამ ნახევარფინალში მიმავალი გზა უზბეკ რუსლან ჩაგაევზე გადაიარა, ჩაგაევი კი, აგერ მესამედ უნდა გავიმეოროთ, ერთადერთი კაცია, ვინც რინგზე დიდებული ფელიქს სავონი დაამარცხა. სავონის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ჭანტურია — ჩაგაევი:

პირველმა რაუნდმა ფრთხილად ჩაიარა. მეტოქენი მუშტებს ზომიერად ხმარობდნენ და ქართველის ორიოდე ზუსტმა დარტყმამ მისი მინიმალური უპირატესობა განაპირობა 2:1. მერე კი ჭანტურიამ აიწყვიტა, მეორე რაუნდში ჩაგაევს რამდენიმე ისეთი აჭამა, უზბეკმა შესვენებამდე ძალ-ღონის მოკრება ველარ მოასწრო და მხოლოდ მესამე რაუნდში გამოიღო ხელი, ქართველის 8:3-ზე, მაგრამ ჭანტურია მეტოქის გამოხტომებს მძაფრი კონტრშეტევებით პასუხობდა და ბოლო ორწუთეულის წინ ხუთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა — 12:7.

როგორც კი გონგზე დასკვნითი რაუნდის დაწყებისა შემოჰკრეს, უზბეკი ღია თავდასხმაზე გადავიდა. ახლა მას ქულები ჰაერივით სჭირდებოდა და წინ მოურიდებლად მიიწევდა. მძლავრი ცაცია ერთხანს კარგად ამუშავა და წამით ბრძოლის შემოტრიალება შეძლო — 12:10, მაგრამ მხოლოდ წამით, ჭანტურია დაიქოქა და მისმა ქულათა მაჩვენებელმა ელექტროსაათის წამების ინდიკატორის სიჩქარით იწყო მატება. სულ მცირე ხანში ქართველი სოლიდურად დაწინაურდა და მართალია, შემდეგ ჩაგაევი ორიოდე ქულას კიდევ გამორჩა, მაგრამ ეს კარის გაჯახუნებას უფრო ჰგავდა. საქართველოს მეოთხე, გარანტირებული ბრინჯაოს მედალი ერგო და მისი ფერ-ხარისხის შეცვლა ახლა ჭანტურიას მუშტებზე ჰკიდია. ხელსაყრელმა კენჭისყრამ მას ნახევარფინალში სავონი აარიდა და რუსეთის მოკრივე, სულთანახმედ იბრაგიმოვი შეახვედრა, რომელმაც მეოთხედფინალში ფრანგ ჯეკსონ შანეს ზუსტად ჭანტურიასებური ანგარიშით მოუგო — 18:13.

სავონის მეტოქე ამერიკელი მაიკლ ბენეტი გახლდათ. სიდნეის რინგი ხალხით გაივსო და მათში უხვად პრომოუტერების ნახვა შეიძლებოდა. ბენეტის პროფესიონალებში გადასვლა მოსალოდნელი ამბავია და უპირველეს მოყვარულთან საქმეში მისი ხილვა დიახაც საჭირო იყო. ბენეტმა იომა, მაგრამ ამაოდ: სავონის დასაგდებად ძალები აშკარად არ ეყო. კუბელი რინგზე სულ დომინირებდა. ამერიკელი მისკენ თავგანწირვით მიიწევდა, მაგრამ მას სავონის შემმუსვრელი მარჯვენა აოკებდა. პირველი ქულა ბენეტმა მიითვალა, თუმც მერე რაუნდის ბოლომდე სულ კუბელმა ურტყა და 7:2 დაწინაურდა. რინგის კუთხეში სკამზე გაწოლილ ბენეტს მწვრთნელმა ურჩია ემოძრავა, თავი ჩაეღუნა და საჯონის მარჯვენა აეცილებინა, მისი კუნძულელი კოლეგა კი ჩუმად იყო, სავონმა უმისოდაც კარგად იცოდა თავისი საქმე. მეორე რაუნდში კუბელმა მეტოქეს სულაც ცხვირ-პირი მიუშვირა, მოდი, დამარტყიო. ბენეტმა რომ ერთი დაარტყა, სავონმა სამით უპასუხა და საერთოდ, ბრძოლის ნახევრის ამოწურვისას მისი უპირატესობა აშკარა იყო — 17:6.

მეოთხე რაუნდი აღარ გახდა საჭირო, მესამის დასრულებამდე სამი წამით სავონის ადრეულმა დარტყმამ ანგარიში 23:8 გახადა. ამ დროს კი სამოყვარულო კრივის წესებით ჩამორჩენილი ბრძოლიდან იხსნება. ბენეტის ბანაკიდან დრტვინვა გაისმა და ბრძოლის შემდგომაც მრავალი გადამწყვეტ რაუნდად მეოთხეს მიიჩნევდა. „მეოთხე რაუნდში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო" — ამტკიცებს პროფესიონალი მენეჯერი და პრომოუტერი შელი ფინკელი, რომელსაც, წაგების მიუხედავად, ბენეტი ერთობ თვალში მოსვლია.

ნახევარფინალში სავონი გერმანელ სებასტიან კობერს ხვდება და ამ წყვილში ყველაფერი ბევრად უფრო ცხადია, ვიდრე მეორეში, ჩვენ რომ გვალელვებს. ჭანტურიას მეტოქე იბრაგიმოვი ერთი იმ ოთხი რუსთაგანია, რომელთაც გუშინ ბრინჯაო გაინაღდეს. რაიმკულ მალახბეკოვი (54), ალექსანდრ მალეტინი (60) და ოლეგ საიტოვი (67) ასევე ნახევარფინალში არიან. ამათგან მალეტინმა თურქეთის სახელით მოკრივე ქართველი, სელიმ ფალიანი (რამაზ ფალანის ძმა) დაამარცხა და საერთოდ, სიდნეის 26 სექტემბერი საქართველოდან წასული მოკრივეებისთვის უიღბლო გამოდგა. ფალიანის წონაში კუბელ მარიო კინდელანთან წააგო ტიგრან უზლიანმაც (საბერძნეთიდან), ხოლო 75 კგ-ში თურქეთის სახელით აქამდე მშვენივრად მებრძოლმა აკინ კაკაურიძემ აზერბაიჯანელ ვუღარ ალეკპეროვს ქულებით 8:18 დაუთმო.

**დავით გულუა**

მეოთხედფინალი

**48 კგ.** მაიკრო რომერო (კუბა) — ვალერი სიდორენკო (უკრაინა) 12:5; ბრაჰიმ ასლუმი (საფრანგეთი) — კიმ კი სუკი (კორეა) 12:8; კიმ უნ ჩოლი (ჩრდილოეთ კორეა) — ივან სტაპოვიჩი (ლიტვა) 22:10; რაფაელ ლოსანო მუნიოსი (ესპანეთი) — სულეიმან ვანჯაუ ბილალი (კენია) 11:10

**54 კგ.** კლარენს ვინსონი (აშშ) — გეორგე ოლტეანუ (რუმინეთი) 26:19; რაიმკულ მალახბეკოვი (რუსეთი) — ალიშერ რაჰიმოვი (უზბეკეთი) 16:10; სერგეი დანილჩენკო (უკრაინა) — ჯასტინ კეინი (ავსტრალია) აშკარა უპირატესობა, გილერმო ორტისი (კუბა) — ალასი ალალულოღლუ (თურქეთი) 14:5

**60 კგ.** კრისტიან ბენიტესი (მექსიკა) — ალმაზბეკ რაიმკულოვი (ყირგიზეთი) 14:12; ანდრიი კოტელნიკი (უკრაინა) — ნურჟან ქარიმჟანოვი (ყაზახეთი) აშკარა უპირატესობა; ალექსანდრ მალეტინი (რუსეთი) — სელიმ ფალიანი (თურქეთი) აშკარა უპირატესობა; მარიო კინდელანი (კუბა) — ტიგრან უზლიანი (საბერძნეთი) აშკარა უპირატესობა

**67 კგ.** ვიტალი გრუშაჩი (მოლდოვა) — ბიულენთ ულუსოი (თურქეთი) 19:10; სერგეი დოცენკო (უკრაინა) — დანიყარ მუნეიტბასოვი (ყაზახეთი) 8:7; დორელ სიმიონი (რუმინეთი) — სტივენ კიუპლერი (გერმანია) 26:14; ოლეგ საიტოვი (რუსეთი) — რუსლან ხაიროვი (აზერბაიჯანი) 10:10 (55:47)

**75 კგ.** ვუღარ ალეკპეროვი (აზერბაიჯანი) — აკინ კაკაურიძე (თურქეთი) 18:8; ხორხე გუტიერესი (კუბა) — ადრიან დიაკონუ (რუმინეთი) ნოკაუტი; გაიდარბეკ გაიდარბეკოვი (რუსეთი) — ჯეფ ლეისი (აშშ) აშკარა უპირატესობა; ჟოლტ ერდეი (უნგრეთი) — ალექსანდრ ზუბრიხინი (უკრაინა) 14:9

**91 კგ.** სულთანახმედ იბრაგიმოვი (რუსეთი) — ჯეკსონ შანე (საფრანგეთი) 18:13; ფელიქს სავონი (კუბა) — მაიკლ ბენეტი (აშშ) აშკარა უპირატესობა; ვლადიმერ ჭანტურია (საქართველო) — რუსლან ჩაგაევი (უზბეკეთი) 18:13; სებასტიან კობერი (გერმანია) — მარკ საიმონსი (კანადა) აშკარა უპირატესობა



## დღის გმირი

### აკაკი ჩაჩუა

**საქართველო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**



გორისა და საჩხერის შემდეგ დედამიწის ქვედა ბოლოდან ძვირფასი ლითონის ბრწყინვალებამ სამტრედიაც გაანათა — მესამე ბრინჯაო საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე აკაკი ჩაჩუამ მოუტანა.

აკაკის ვაჟკაცობა საკუთარ მედლის გარდა ისიცაა, რომ მას კარგა ხანს მოუწია სერიოზული ტრავმის მკურნალობამ, დიდ შეჯიბრებაში ფაქტობრივად პირდაპირ ოლიმპიადაზე ჩაერთო და აი, შედეგიც.

ჩაჩუას ორ ევროპულ ვერცხლსა და ან უკვე ოლიმპიურ ბრინჯაოს მომავალში უმაღლესმა ჯილდომაც უნდა დაუმშვენოს გვერდი.

აუცილებლად!

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

54 კგ

ფინალი

სიმ კვონ ჰო (კორეა) — ლაზარო რივასი (კუბა) 8:0

მესამე ადგილისთვის

კანგ იონგ გიუნი (ჩრდილოეთ კორეა) — ანდრიი კალაშნიკოვი (უკრაინა) 7:0

58 კგ

ჯგუფური ეტაპი. ალი აშკანი (ირანი) — **კოބა გულიაშვილი** (საქართველო) 7:0

გულიაშვილი ჯგუფიდან ვერ გავიდა

63 კგ

ფინალი

ვარტარეზ სამურგაშევი (რუსეთი) — ხუან ლუის მარენი (კუბა) 3:0

მესამე ადგილისთვის

**აკაკი ჩაჩუა** (საქართველო) — ბეატ მოტცერი (შვეიცარია) წმინდა გამარჯვება

76 კგ

ფინალი

მურატ კარდანოვი (რუსეთი) — მეტ ჯეიმს ლინდლენდი (აშშ) 3:0

მესამე ადგილისთვის

მარკო ილი-პანუკსელა — დავიდ მანუკიანი (უკრაინა) 4:2

85 კგ

ჯგუფური ეტაპი. **მუხრან ვახტანგაძე** (საქართველო) — რაატბეკ სანათბაევი (ყირგიზეთი) 2:1

ვახტანგაძე გავიდა მეოთხედფინალში

97 კგ

ფინალი

მიკაელ ლიუნგბერგი (შვედეთი) — დავით სალდაძე (უკრაინა) 2:1

მესამე ადგილისთვის

გარეთ ლოუნი (აშშ) — კონსტანტინოს თანოსი (საბერძნეთი) 3:1

მეხუთე ადგილისთვის

**გენადი ჩხაიძე** (საქართველო) — სერგეი მატვიენკო (ყაზახეთი) 1:1(მსაჯების გადაწყვეტილებით გაიმარჯვა ჩხაიძემ)

ფრენბურთი

# ფავორიტები დარჩნენ

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**რუსეთი 3:0 ჩინეთი**

**აშშ 3:2 კორეა**

**ბრაზილია 3:0 გერმანია**

**კუბა 3:0 ხორვატია**

28 სექტემბერი

**ნახევარფინალი**

**რუსეთი — აშშ**

**ბრაზილია — კუბა**

**გუშინ** სიდნეიში ფრენბურთელთა ქალებმა მეოთხედფინალები გამართეს. ოქროს მედლების სამივე კანდიდატმა — რუსეთმა, ბრაზილიამ და კუბამ იოლად გააღწია საუკეთესო ოთხეულში. აშშ-ს და კორეას შორის კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ამერიკელებმა მხოლოდ უკანასკნელ ხელში გამოგლიჯეს მოწინააღმდეგეს გამარჯვება (16:14).

ელენა გოდინამ და მისმა თანაგუნდელებმა ჩინელ დიაცებთან თითოეული პარტია, მართალია, მხოლოდ ორორი ქულის სხვაობით მოიგეს, მაგრამ ეს იოლად შეძლეს. კვლავინდებურად ბრწყინვალედ ითამაშეს ბრაზილიელებმა, რომლებმაც სიდნეიში მხოლოდ ერთი პარტია დათმეს 6 თამაშში (3:1 აშშ-სთან). მათ ამჯერად გერმანელები დაამარცხეს (25:22, 25:18, 25:17). სამხრეთამერიკელთა რიგებში საუკეთესო ლეილა ბაროსი და ვირნა დიასი იყვნენ. ბრაზილია ახლა ნახევარფინალში კუბას შეხვდება, რომელმაც ხორვატიას სძლია.

**გაიოზ თალაკვაძე**



ბადეზე ტანაზიდულ კუბელ ანა ივის ფერნანდესს ხორვატული ბლოკი რას გაუძლებდა?!

ველორბოლა

# ჩემპიონი მწვრთნელის გვარით

**სიდნეიში** საგზატკეცილო ველორბოლა ქალთა შორის ფინალური სპრინტით ჰოლანდიელმა ლეონტიენ ზაილაარდმა მოიგო. წვიმიან ამინდში 30 წლის მრბოლმა თავისი მეორე ოქრო მოიპოვა ავსტრალიაში. რამდენიმე დღის წინ იგი ტრეკზეც გამოირჩა, სადაც გამოდევნებით რბოლაში იპირველა. ასე რომ, ზაილაარდს უკვე სამი მედალი დაუგროვდა, რადგან ტრეკზე ქულებზე რბოლისას ვერცხლის ჯილდოს დაეუფლა. ატლანტაში გაჩემპიონებულმა ფრანგმა ჟანი ლონგომ, რომელიც 41 წლისაა, ფინიშის ხაზი გამარჯვებულის შემდეგ 6 წამში გადაკვეთა და 26-ე ადგილი დაიკავა.

შარშან იტალიის ქალაქ ტრევიზოში ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონობის მომგებმა, ოღონდ მაშინ ვან მოორსელის გვარით მოასპარეზე ჰოლანდიელმა გზა საშუალოდ 38,51 კმ/სთ სიჩქარით გაიარა და ის ერთადერთი მნიშვნელოვანი ტიტული მოიპოვა, რომელიც მის კოლექციას აკლდა. საკუთარ მწვრთნელ მიკაელ ზაილაარდზე დაქორწინებული ლეონტიენი 1990 წელს ტრეკზე, 1991 და 1993 კი გზატკეცილზე გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ტრეკის ოლიმპიურ ოქროზე და ტრევიზოს შესახებ კი უკვე მოგახსენეთ.

„ჩვენ ყველაზე ძლიერი გუნდი გვყავდა — განაცხადა ზაილაარდმა პოდიუმიდან ჩამოსვლისას და ჰოლანდიის დროშის ფერებად შეღებილ ფრჩხილებზეც დაიხედა — მირიამ მელხერსმა სპრინტერები ალმართებისას დაღალა, შანტალ ბელტმანმა კი რბოლის დასაწყისი ჩვენთვის სასურველი ტემპით წარმართა".

ველოსიპედისტებმა 17,1-კილომეტრიანი წრე შვიდჯერ გაიარეს (119,7 კმ). პელოტონში მსოფლიოს საუკეთესო მრბოლებს მოეყარათ თავი. ზაილაარდის გარდა იქ იყვნენ ესპანელი ხოანა სომარიბა, რომელმაც წლეულს „ტურ დე ფრანსი" და „ჯირო" მოიგო, მსოფლიოს თასის გამარჯვებული, ლიტველი დიანა ზილიუტე, მისი თვისტომი, შარშანდელი ვერონას მსოფლიოს ჩემპიონი ედიტა პუსინსკაიტე და სხვები.

რბოლა ძალიან დაძაბულად წარიმართა. საქმე იმანაც გაართულა, რომ მესამე წრისას მოულოდნელად გაწვიმდა. სველ გზაზე ბევრი მრბოლი მოსრიალდა და შეჯიბრს გამოეთიშა. სამმა პატარა ალმართმა წარმატებული შეტევის განსახორციელებლად არ იკმარა და პელოტონის მთავარმა ნაწილმაც ფინიშს მთლიანობაში უწია. გაქცევა კი მაინც ბევრმა სცადა: ჯერ ავსტრალიელმა გოდრიმ, რუსმა ზაბიროვამ და მელხერსმა, მერე სომარიბამაც შეუტია ბოლო წრეზე, თან არაერთხელ. ფინელებიც აქტიურობდნენ. უკანასკნელ ალმართზე ჰანკა კუპფერნაგელმა გაზარდა სიჩქარე, მაგრამ სასურველი შედეგი ვერც მან მოიმკო.

ფინალურ სპრინტში კი ყველაზე უკეთეს პოზიციაზე ზაილაარდი იმყოფებოდა, რომელიც მელხერსმა მშვენივრად გამოაქანა.

და გათხოვებამდე ველოსამყაროში ვან მოორსელად ცნობილმა ჰოლანდიელმაც სიდნეიში მესამე მედალი მოუტანა თავის ქვეყანას.

ოქრომ ზაილაარდი ხუმრობის ხასიათზე დააყენა და სამთო ველოსპორტშიც ხომ არ მეცადა ბედიო, იკითხა. ვითომ მერეღა გაახსენდა, რომ სამთო ველოსპორტის ტურნირი უკვე ჩატარებულია და ქომაგები დაამშვიდა, მაგ დისციპლინაში არცთუ ისე მაგარი ვარო.

**გაიოზ თალაკვაძე**

ქალები

119,7 კმ

**1. ლეონტიენ ზაილაარდი (ჰოლანდია) — 3სთ 06წთ 31წმ; 2. ჰანკა კუპფერნაგელი (გერმანია); 3. დიანა ზილიუტე (ლიტვა) — ორივეს იგივე დრო**

ფეხბურთი



კამერუნელი პატრიკ მბომა (№10) და ჩილელი პაბლო კონტრერასი

REUTERS სიდნეიდან

# საკონტინენტთაშორისო ფინალი

ვაჟები

**ნახევარფინალი**

**კამერუნი 2:1 ჩილე**

**0:1 აბანდა (78ს.კ), 1:1 მბომა (84), 2:1 ლორენი (89პ)**

**ესპანეთი 3:1 აშშ**

**1:0 ტამუდო (16), 2:0 ანგულო (25), 2:1 ვაგინასი (42პ), 3:1 ხოსე მარი (87)**

**მესამე ადგილისთვის**

29 სექტემბერი

**აშშ — ჩილე**

**ფინალი**

30 სექტემბერი

**ესპანეთი — კამერუნი**

**იყო** და არა იყო რა, იყო ჩილელთა ოლიმპიური ოცნება, იყო ყმაწვილებში გარეული ივან სამორანო და მელბურნის სტადიონი, სადაც კამერუნის ნაკრებმა თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე გამარჯვების პენალტი დაარტყა — ქატო იქა, ფქვილი აქა, კამერუნი ფინალში, ჩილე — შინ.

არადა მატჩი დაძაბული გახლდათ. 78-ე წუთამდე გოლი ვერც ერთმა გუნდმა ვერ გაიტანა, ხოლო 78-ზე აფრიკელმა პატრის აბანდამ მეტოქის გუნდში შეცვლაზე შესული სებასტიან გონსალესის დარტყმულ და მეკარისგან ასხლეტილ ბურთს საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი.

მაგრამ კამერუნი არ გატყდა და ექვს წუთში ანგარიში გაათანაბრა — პატრიკ მბომამ საჯარიმოს კიდიდან დაარტყა ზუსტად. ბოლოს კი ლორენმა პენალტით გამოჭედა ჩილელთა მარცხი.

კიდევ ერთი ფინალისტი გახლავთ ესპანეთი, რომელიც რვა წელიწადში მეორედ გავიდა ოლიმპიადის ფინალში. საამისოდ ესპანელებმა სიდნეიში ამერიკელებს სძლიეს.

პირველ 40 წუთში ევროპელთა თვალსაჩინო უპირატესობა ანგარიშშიც აისახა — 2:0, მაგრამ ამის შემდეგ ისინი ოდნავ მოდუნდნენ და შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე მოწინააღმდეგეს პენალტის დარტყმის საშუალება უბოძეს — სხვაობა შემცირდა.

ამის შემდეგ ესპანელების მოდუნება შეუძლებელი გახდა. მათ მატჩის მიწურულს, საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრეღა ამოისუნთქეს, როდესაც შეხვედრის გმირმა, ხოსე მარიმ ერთხელაც დალაშქრა ოკეანის გაღმელთა კარი.

ამრიგად შაბათს, ფინალში ესპანეთი და კამერუნი დაუპირისპირდება ერთმანეთს.

ხოლო თავიდან ამერიკელების კარში გოლის გატანას მხოლოდ 16 წუთი დასჭირდა. ეს ასე მოხდა: ხოსე მარიმ — დავამტკიცეთ, რომ მატჩის გმირი იყო — მარჯვენა ფრთაზე ჩინებული გარღვევის შემდეგ საჯარიმოშიც კარგად ჩააწოდა, სადაც, შორეულ ძელთან ტამუდომ გაიშვირა მარჯვენა ფეხი და ბურთი ბრედ ფრიდელის ბადეში შეაგდო.

25-ე წუთზე მეორე გოლის წამომწყებიც ხოსე მარი გახლდათ, მან აიალას მოგერიებული ბურთი იხელთა, დაჯაბნა მცველი დენი კელივი და პასი ანგულოს გადააწოდა. ანგულო ჯერ ფრენკი ჰეიდუკს გაუმკლავდა, ხოლო შემდეგ კარშიც ზუსტად დაარტყა.

ესპანელთა ბატონობას რომ შეხედა ამერიკელთა მწვრთნელმა კლაივ ჩარლზმა 38-ე წუთზე ერთბაშად ორი ფეხბურთელი შეცვალა და ამის შემდეგ, ერთი შეხედვით უკვე დამარცხებული გუნდი გამოიცვალა. ანგულომ საკუთარ საჯარიმოში ჰეიდუკი დასცა, რის გამოც დაინიშნა პენალტი. მისი დარტყმულია მეოთხედფინალში, იაპონელთა კარში ბოლოწამის პენალტის გამტანმა პიტ ვეგანასმა ითავა და სხვაობა შეკვეცა.

შესვენების შემდეგ ესპანელებს კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი შეემთხვათ: კაპიტანმა ტონი ველამასანმა შეჯიბრებაში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ახლა ფინალს გამოსტოვებს.

მეორე ტაიმში დატვირთვა ძირითადად მოედნის ცენტრს დააწვა: ამერიკა, ბუნებრივია, გაქვითვისთვის ხელსაყრელი მომენტის შექმნას ცდილობდა, თუმცა საბოლოოდ ბურთი მაინც საკუთარ კარში იხილა: მარცხნიდან ტამუდომ ჩააწოდა, ხოლო ხოსე მარიმ იგი ბადეში მარტივად გაახვია.

**ბაჩუნა ძიძია**

ძალოსნობა

ვაჟები. მძიმე წონა

**1. ჰოსეინ რეზაზადე (ირანი) 472,5; 2. რონი ველერი (გერმანია) 467,5; 3. აშოტ დანიელიანი (სომხეთი) 465,0...17. ვალერი სარავა (საქართველო) 385,0. სულ 22 მონაწილე**

წყალში ხტომა

ვაჟები. 3 მ. ტრამპლინი

**1. სიონგ ნი (ჩინეთი) 708,72; 2. ფერნანდო პლატასი (მექსიკა) 708,42; 3. დმიტრი საუტინი (რუსეთი) 703,20**

ბალახის ჰოკეი

ვაჟები

A ჯგუფი

**დიდი ბრიტანეთი 2:1 გერმანია**

**პაკისტანი 2:0 ჰოლანდია**

**მალაიზია 1:1 კანადა**

B ჯგუფი

**ავსტრალია 2:1 კორეა**

**პოლონეთი 1:1 ინდოეთი**

ნახევარფინალი

28 სექტემბერი

**პაკისტანი — კორეა**

**ჰოლანდია — ავსტრალია**

ვაჟები

A ჯგუფი

**იტალია 6:5 ავსტრალია**

**ყაზახეთი 9:5 სლოვაკეთი**

**რუსეთი 8:5 ესპანეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 30:23 | 7 |
| იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 30:25 | 7 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 25:27 | 4 |
| ყაზახეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 34:33 | 3 |
| ავსტრალია | 4 | 1 | 1 | 2 | 31:29 | 3 |
| სლოვაკეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 25:38 | 0 |

B ჯგუფი

**ხორვატია 4:4 იუგოსლავია**

**ჰოლანდია 10:7 საბერძნეთი**

**უნგრეთი 10:9 აშშ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 4 | 3 | 1 | 0 | 31:13 | 7 |
| ხორვატია | 4 | 3 | 1 | 0 | 31:23 | 7 |
| უნგრეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 40:29 | 6 |
| აშშ | 4 | 1 | 0 | 3 | 33:36 | 2 |
| ჰოლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 27:44 | 2 |
| საბერძნეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 19:36 | 0 |

წყალბურთი



REUTERS სიდნეიდან

რუსეთის ნაკრების ქართველმა ბომბარდირმა რევაზ ჩომახიძემ (თეთრ ქუდში) ესპანელებს სამი გოლი გაუტანა

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

12 სექტემბრიდან სიდნეიში მუშაობას შეუდგა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.
თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე, თბილისის დროით 17.30-დან 19 საათამდე.
ტელეფონი: (612) 8 11 35 445

## დღის გმირი

26 სექტემბერი

# ლეონტიენ ზაილაარდი

### ჰოლანდია, ველორბოლა



გუშინ ლეონტიენ ზაილაარდს წესით ძალიან კარგი დრო უნდა ეტარებინა. აბა სულ ბორბლებზე ფიქრი ჩემს მტერსო, თავად თქვა. წინ კი მორიგი მიზანია — ინდივიდუალურ რბოლაში ოქროს მოგება.

ქალწულობაში ვან მოორსელს მწვრთნელმა და ქმარმა მიკაელ ზაილაარდმა ისეთი სასარგებლო რჩევები მისცა, რომ ჰოლანდიელმა ველომრბოლმა აქამდე მოპოვებულ ორ სიდნეურ მედალს (ტრეკზე გამოდევნებით რბოლაში ოქრო, ხოლო ქუჩებზე რბოლაში ვერცხლი) გუშინ გზატკეცილზე კიდევ ოქრო დაამატა.

ცნობისათვის: ზაილაარდი 90-იანი წლების დასაწყისში მედალს მედალზე იგებდა, შემდეგ გასუქდა და ერთხანობა ველოსიპედზე ალარც შემჯდარა, ახლა კი თავად ხართ მოწმე, როგორც ასპარეზობს.

## ჩოგბურთი

# მამლუქი

**მონიკა სელეშისა** და ელენა დოკიჩის შეხვედრაში ტრიბუნებზე აშშ-ისა და ავსტრალიის დროშები ფრიალებდა და იანკებისა და ოზების ომახიანი გამამხნევებელი შეძახილები ისმოდა. ოლიმპიური ბრინჯაოს მოსაპოვებლად სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული დიაცების ცქერისას ცოტას თუ გაახსენდებოდა, რომ არც ერთი იყო ამერიკელი და არც მეორე მწვანეკონტინენტელი, ორივენი ბედკრული იუგოსლავიის შვილები იყვნენ.

ფლორიდაში, ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში გამოწრთობილი სელეში მამამ, კაროლმა პატარაობიდან მოაშორა იუგოსლავიას. მონიკამ აშშ-ის მოქალაქეობა კარგა ხანია, მიიღო და ახალი სამშობლოს სახელით ჯერ კიდევ ატლანტაშიც იბრძოდა.

დოკიჩების ოჯახი კი ბელგრადიდან ცხრა მთას მიღმა შედარებით გვიან, ქვეყანაში სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებამ გახიზნა. მოკლედ, თანამემამულეები მშობლიური იუგოსლავიის გარანტირებული მედლისთვის კი არა, უცხოტომელთა სასახელოდ შეიბნენ.

სელეშს ნახევარფინალში ვინუს უილიამსთან დამარცხებამ გული ძალიან დაწყვიტა, მაგრამ საერთოდ უმედლოდ დარჩენის საფრთხემაც გვარიანად შეაფუცხუნა. ასაკით ლამის 10 წლით უმცროსი დოკიჩი მონიკამ სრულებით არ დაინდო და ჩვეულ ჭყვიტინში, ბასრკუთხიანი დარტყმების შესანიშნავად გამოყენებით 59 წუთში, 6:1, 6:4 გაანადგურა.

„ცხოვრებაში არანაირი მედალი არ მომიგია, ამიტომ დაჯილდოების ცერემონიალს მოუთმენლად ველი. დღეს თამაშის ხასიათზე სულ არ ვიყავი, მაგრამ რას იზამ, სულ ოქროს ხომ ვერ მიიღებ, ბრინჯაოც კარგია“ — განაცხადა გამარჯვებულმა.

ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირის მონაწილეები გუშინ წვიმამ გატანჯა. თავსხმის გამო მატჩები დაგვიანებით — გმილზე სამი საათით გვიან დაიწყო და არაერთხელ შეწყდა, ვაჟთა წყვილების შეხვედრა ბრინჯაოს მედლისთვის კი საერთოდ ვერ დასრულდა.

სამაგიეროდ, გაირკვა ერთეულებში ფინალისტთა ვინაობა. ტომი ჰაასმა და ევგენი კაფელნიკოვმა, რომლებიც ცუდ ფორმაში ყოფნის გამო ერთი ხანობა ავსტრალიაში ასპარეზობას არც აპირებდნენ, თავიანთი მეტოქეები იოლად დაამარცხეს და ხუთშაბათს გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან.

„თუ ოქროს მედალს მოვიპოვებ, ამ სეზონს კარიერაში ყველაზე წარმატებულად ჩავთვლი. ეს ჩემი ბოლო შანსია, შეიძლება 4 წლის შემდეგ პროფესიონალებში ისევ გამოვდიოდე, მაგრამ ფავორიტებს შორის, ალბათ, აღარ ვიქნები“ — ეს კაფელნიკოვის სიტყვებია.

**ავთანდილ სგანიძე**



REUTERS სიდნეიდან

მონიკა სელეში

### ქალები

ერთეულები.
მატჩი მესამე ადგილისთვის
მონიკა სელეში (3, აშშ) — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 6:1, 6:4

წყვილები. ნახევარფინალი
სერენა უილიამსი და ვინუს უილიამსი (აშშ) — ელს კალენსი და დომინიკ ვან რუსტი (ნ, ბელგია) 6:4, 6:1; კრისტი ბუგერტი და მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) — ოლგა ბარაბანშიკოვა და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:3, 6:2

### ვაჟები

ერთეულები. ნახევარფინალი
ტომი ჰაასი (გერმანია) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:3, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (ნ, რუსეთი) — არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) 6:4, 6:4

წყვილები.
მატჩი მესამე ადგილისთვის
ალექს კორეჩა და ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — დევიდ ადამსი და ჯონ-ლაფნი დე ჯაგერი (სამხრეთ აფრიკა) 2:6, 6:4, 3:2 — გადაიდო წვიმის გამო

## დოპინგი

# რადუკანმა ოქრო დაკარგა, ექიმმა — ოთხი წელი

**დიდი** ბედნიერება ელვის უმალ დაემსხვრა რუმინელ ტანმოვარჯიშე ანდრეია რადუკანს. მისი მეჩვიდმეტე დაბადების დღეც, კვირას რომ ზარზეიმით უნდა გადაეხადათ, ალბათ ნაღვლიანი იქნება: რადუკანს პატიოსნად მოპოვებული ოლიმპიური ოქროს მედალი ჩამოართვეს. ხტომებში რუმინელი მეორე ადგილზე გავიდა, მრავალჭიდში კი რუმინელთა ნაკრებმა დანარჩენი მსოფლიო საერთოდ უმედლოდ დატოვა: რადუკანის მომდევნო ადგილი სიმონა ამანარმა დაიკავა, მესამე — მარია ოლარუმ. რუმინელებმა გუნდურ ასპარეზობაშიც ოქრო მოიპოვეს, მათ შორის, ცხადია, რადუკანმაც.

მოწმენდილ ცაზე დოპინგ-ტესტისას დაიქუხა. ყველა ადრეული გასინჯვიდან რუმინელი პირნათლად გამოსულიყო, ამჯერად კი ორგანიზმში აკრძალული ნივთიერება, ფსევდო-ეფედრინი აღმოუჩინეს და გაოგნებულს მედალი ჩამოართვეს. ყველაფერი პრეპარატ ნუროფენის ორი აბის ბრალი ყოფილა, რომელიც ექიმმა, იოახიმ ოანამ წინდაუხედავად (ცოდვას ნუ ჩავიდენთ, ნუ ვიფიქრებთ, ექიმმა ეს შეგნებულად გააკეთაო, მსგავსი არაფერი გვსმენია) გადააყლაპა პაციენტს, რათა ეს უკანასკნელი გაციებისგან დაეცვა. ექიმი ოთხწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, ხოლო ყოვლად უდანაშაულო რადუკანის დაწყნარებას მრავალნაირად ცდილობენ: ხტომებში მოპოვებული ვერცხლის მედალი შეუნარჩუნეს, გუნდური ოქრო დაუტოვეს, დისკვალიფიკაციაზე საერთოდ ზედმეტად ჩათვალეს ლაპარაკი და ნუგეშისცემაც არაერთხელ გაისმა, თუმცა ოლიმპიზმის მამები ერთხმად აცხადებენ, რომ დოპინგთან ბრძოლა მკაცრი და შეუქცევადი პროცესია, გამონაკლისი არ დაიშვება.



REUTERS სიდნეიდან

ანდრეია რადუკანს ერთი ოქროთი ნაკლები შერჩა

ახლა მრავალჭიდში ოქრო ამანარისაა, ვერცხლი — ოლარუსი. გამოთავისუფლებული ბრინჯაოს მედალი ჩინელ სუან ლუის ერგო, ხოლო რადუკანმა გუშინ აპელაცია გაამზადა და წართმეულის დაბრუნება სპორტის სასამართლოში ითხოვა. სამი მოსამართლე სიდნეიში დღეს შეიკრიბება და საქმეს გაარჩევს. რადუკანს დაკარგულის დაბრუნება გაუჭირდება, მის წინააღმდეგ მკაფიო სამხილი არსებობს, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური დირექტორი, ფრანსუა კარსარი, სამედიცინო კომისიის წარმომადგენელი, დოქტორი ჟაკ როგი და თვით ანიტა დეფრანცი, სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტობის გამოკვეთილი კანდიდატი ის ხალხია, ვისი უკომპრომისო აზრის შესახებ ზემოთ უკვე გითხარით.

**დავით გულუა**

## კრიმინალი

# უგანდელს მრუშობა 20 ათასი დაუჯდა

**ჯო ატუაირე** სიდნეის ოლიმპიადაზე უგანდიდან ჩავიდა. იმ ქვეყანაში ცურვა სპორტის ნომერ პირველი სახეობა არ არის და საერთოდ, არც სპორტია ცხოვრების მოწინავე სფერო, ამიტომ ატუაირემ აუღელვებლად, ლაღად იცურა და პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლო ადგილი დაიკავა. ეს 16 სექტემბრის ამბავია, ხოლო შედეგიდან გამომდინარე, უგანდელს სხვა დღეები თავისუფალი ჰქონდა და 22 წლის ჯანმრთელმა ახალგაზრდამ თავისი ქვეყნისგან ცოტა განსხვავებული სიდნეის მონახულება განიზრახა. გარეუბან ლიდკომბში (სიდნეის დასავლეთი ნაწილია) იგი 17 წლის გოგონას შეხვდა და მისი გაუპატიურება სცადა, რაზეც გოგონამ მიმართა, ვისაც ჯერ არს და ატუაირე გასკვანჩეს. კამპალელი ყმაწვილის გამოსახსნელად გუშინ 20 ათასი ავსტრალიური დოლარი (11 ათასი $) თავდებში დაიდო, ხოლო სასამართლო მოსმენა 19 ოქტომბერს შედგება.

**დავით გულუა**

## ხელბურთი

# ტალანტი ესპანეთის ტვინია

### ვაჟები

მეოთხედფინალი

შვედეთი 27:23 ეგვიპტე

რუსეთი 33:22 სლოვენია

იუგოსლავია 26:21 საფრანგეთი

ესპანეთი 27:26 გერმანია

### ნახევარფინალი

29 სექტემბერი

შვედეთი — ესპანეთი

რუსეთი — იუგოსლავია

**ხელბურთელთა** ტურნირზე საპლეიოფო, ანუ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყო — წაგებული ხომ მედლების შანსს კარგავს. „პავილიონში“ გუშინ კაცები შეიბნენ.

ყველაზე დაძაბული და დრამატული გერმანია-ესპანეთის დაპირისპირება გამოდგა. თამაში თანაბრად კი დაიწყო, მაგრამ შუა ტაიმში მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა. გერმანელები ვერაფერს უხერხებდნენ ტალანტ დუშებაევისა და მისი თანაგუნდელების შეტევებს — 6:10. მაგრამ სწორედ ამ დროს მსაჯებმა ესპანელთა „ტვინი“ დუშებაევი ორი წუთით გააძევეს უხეშობისთვის და ვიდრე ტალანტი სასჯელს იხდიდა, მოწინააღმდეგემ მშვენივრად გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა — 8:10. გერმანელებმა ტანმაღალ შვარცერის, ბაუერისა და ვეტერან როოსის ზუსტი სროლების შემდეგ არამარტო წამოეწიენ მეტოქეს, შესვენებამდე ორი წუთით ადრე წინაც გავიდნენ — 12:10. ტაიმის ბოლომდე ორივე კარში კიდევ თითო გოლი გავიდა.

მეორე ნახევარი გერმანელი ხელბურთელების შტურმით დაიწყო. დაცვაში ისინი პრაქტიკულად უშეცდომოდ მოქმედებდნენ, იერიშისას კი 211-სანტიმეტრიანი გიგანტის — ცირბესა და მისი კოლეგების ტყორცნები ადვილად აღწევდა მიზანს — 19:16. მაგრამ სწორედ მაშინ მოეშალათ საათივით აწყობილი მანქანა — რვა წუთის განმავლობაში ერთი გოლის გატანაც ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, მეტოქეს მეორე სუნთქვა გაეხსნა. მასიპმა ზედიზედ სამი შვიდმეტრიანით ანგარიში გაათანაბრა, რამდენიმე წუთში კი ორტეგას, გუიხოსას და დუშებაევის მცდელობით კვლავ ესპანელები დაწინაურდნენ — 22:19. ცირბემ და როოსმა ანგარიში კვლავ გააყაიმეს — 23:23, მერე — 25:25. ორი წუთიღა რჩებოდა, როცა ისევ გერმანელები იყვნენ წინ — 26:25, თანაც მეტოქეს ერთ-ერთი საუკეთესო მასიპი გაუგდეს, მაგრამ ესპანელებმა ამ ურთულეს ვითარებაშიც შეძლეს ანგარიშის გაქვითვა, საფინალო სასტვენამდე 5 წამით ადრე კი გუიხოსამ გამარჯვებისა და ნახევარფინალის გოლი გაიტანა.



REUTERS სიდნეიდან

ესპანეთის მეფის სიძეს და ნაკრების კაპიტანს ინიაკი ურდანგარინს გერმანელი კლაუს-დიტერ პეტერსენი ეუხეშება

**გია ახალაძე**

## საბერძნეთი

მე-2 ტური: პანიონიოსი — პანათინაიკოსი 0:2; ეთნიკოსი — იონიკოსი 1:0; არისი — პანილიაკოსი 1:0; ათინაიკოსი — აეკ 0:3; ირაკლისი — პანაჰაიკი 2:0; იანინა — პაოკ 1:3; ოფი — ოლიმპიაკოსი 1:2; ქსანთი კალამატა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| აეკ | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| არისი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| პაოკ | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ქსანტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ირაკლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| იონიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ეთნიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:6 | 3 |
| კალამატა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პანილიაკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პანიონიოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| პანაჰაიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ოფი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| იანინა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ათინაიკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## ჩეხეთი

მე-8 ტური: დრნოვიცე — ტეპლიცე 3:1; ბოჰემიანსი — ლიბერეცი 0:0; ბლშანი — ქიჭკოვი 0:1; პლზენი — ბანიკი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 6 | 6 | 0 | 0 | 17:2 | 18 |
| ლიბერეცი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:6 | 17 |
| სინოტი | 7 | 3 | 4 | 0 | 12:4 | 13 |
| სიგმა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| ბოჰემიანსი | 8 | 2 | 5 | 1 | 10:6 | 11 |
| სლავია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 11 |
| დრნოვიცე | 8 | 3 | 0 | 5 | 10:14 | 9 |
| ქიჭკოვი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:13 | 9 |
| ბანიკი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:11 | 9 |
| ტეპლიცე | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| პრჟიბრამი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| პლზენი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:15 | 7 |
| ბლშანი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| იაბლონეცი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| ბრნო | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

## ავსტრია

მე-12 ტური: შტურმი — რაპიდი 1:1; აუსტრია — ადმირა 0:0; ზალცბურგი — ლინცერი 4:1; ტიროლი — ბრეგენცი 2:0; რიდი — გრაცერი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 12 | 7 | 4 | 1 | 24:7 | 25 |
| რაპიდი | 12 | 7 | 4 | 1 | 25:11 | 25 |
| გრაცერი | 12 | 6 | 3 | 3 | 22:16 | 21 |
| ზალცბურგი | 12 | 6 | 2 | 4 | 16:15 | 20 |
| ტიროლი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:13 | 18 |
| რიდი | 12 | 4 | 4 | 4 | 19:17 | 16 |
| შტურმი | 12 | 4 | 2 | 6 | 19:18 | 14 |
| ბრეგენცი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:21 | 12 |
| ლინცერი | 12 | 2 | 2 | 8 | 10:28 | 8 |
| ადმირა | 12 | 1 | 3 | 8 | 9:28 | 6 |

## უნგრეთი

### X ტური

### A ჯგუფი

დუნაფერი — შოპრონი 4:1; ნიირშეგი — ჰონვედი 3:1; დიორ ეტო — ფერენცვაროში 0:3; ჰალადაში — ტატაბანია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 9 | 5 | 4 | 0 | 22:8 | 19 |
| ტატაბანია | 10 | 5 | 4 | 1 | 18:13 | 19 |
| დიორ ეტო | 10 | 5 | 1 | 4 | 14:14 | 16 |
| შოპრონი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:19 | 13 |
| ფერენცვაროში | 10 | 3 | 3 | 4 | 17:18 | 12 |
| ჰონვედი | 9 | 2 | 5 | 2 | 12:11 | 11 |
| ნიირშეგი | 10 | 3 | 0 | 7 | 7:14 | 9 |
| ჰალადაში | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |

### B ჯგუფი

პეჩი — დებრეცენი 1:0; ვაშაში — ზალაეგერსეგი 0:0; უიპეშტი — ვიდეოტონი 0:0; ნადიკანიჟა — მტკ გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 9 | 6 | 3 | 0 | 19:5 | 21 |
| უიპეშტი | 10 | 5 | 3 | 2 | 25:12 | 18 |
| დებრეცენი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:14 | 14 |
| ვიდეოტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | 14 |
| ვაშაში | 10 | 3 | 4 | 3 | 13:9 | 13 |
| ზალაეგერსეგი | 10 | 2 | 6 | 2 | 8:14 | 12 |
| ნადიკანიჟა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:22 | 8 |
| პეჩი | 10 | 1 | 2 | 7 | 5:17 | 5 |

## ლიტვა

31-ე ტური: კაუნასი — ატლანტასი 5:3; დაინავა — ჟალგირისი 1:3; ბანგა — ეკრანასი 0:3; პოლონია — კარედა 1:2; ნევეჟისი — ინკარასი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 30 | 23 | 6 | 1 | 95:17 | 75 |
| კაუნასი | 28 | 19 | 8 | 1 | 86:16 | 65 |
| ატლანტასი | 29 | 18 | 2 | 9 | 57:33 | 56 |
| კარედა | 31 | 15 | 9 | 7 | 47:35 | 54 |
| ეკრანასი | 30 | 15 | 7 | 8 | 45:24 | 52 |
| ნევეჟისი | 30 | 9 | 12 | 9 | 25:37 | 39 |
| დაინავა | 31 | 7 | 8 | 16 | 31:59 | 29 |
| პოლონია | 31 | 6 | 6 | 19 | 25:70 | 24 |
| ინკარასი | 31 | 3 | 6 | 22 | 21:83 | 15 |
| ბანგა | 31 | 1 | 6 | 24 | 16:71 | 9 |

## რუსეთი

### XXV ტური

**ცსკა 4:0 ანჟი**

1:0 კულიკი (16), 2:0, 3:0 სემაკი (21, 53), 4:0 ლუნინი (90)

**როტორი 2:2 ნ. ნოვგოროდი**

1:0, 2:0 ესიპოვი (80პ, 85), 2:1 ფოფხაძე (87პ), 2:2 საპუგა (89)

**ფაკელი 1:0 დინამო**

1:0 სადირონოვი (89)

**კრილია 0:0 ჩერნომორეცი**

**ლოკომოტივი 0:3 ტორპედო**

0:1 გაშკინი (12), 0:2 კაზაკოვი (64), 0:3 გაშკინი (67პ)

**ურალანი 0:2 ზენიტი**

0:1 პოპოვიჩი (72), 0:2 იგონინი (79)

**ალანია 2:0 როსტსელმაში**

1:0 თედეევი (67), 2:0 ავერიანოვი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 26 | 19 | 1 | 6 | 60:27 | 58 |
| ლოკომოტივი | 25 | 15 | 7 | 3 | 33:15 | 52 |
| ანჟი | 25 | 13 | 5 | 7 | 35:25 | 44 |
| ტორპედო | 26 | 12 | 7 | 7 | 35:27 | 43 |
| ჩერნომორეცი | 25 | 11 | 9 | 5 | 38:20 | 42 |
| ზენიტი | 25 | 11 | 7 | 7 | 32:21 | 40 |
| დინამო | 25 | 11 | 7 | 7 | 37:31 | 40 |
| სატურნი | 25 | 9 | 8 | 8 | 25:25 | 35 |
| ცსკა | 25 | 9 | 5 | 11 | 30:32 | 32 |
| ალანია | 25 | 8 | 7 | 10 | 27:32 | 31 |
| როტორი | 25 | 7 | 8 | 10 | 31:45 | 29 |
| როსტსელმაში | 25 | 4 | 13 | 8 | 18:22 | 25 |
| ფაკელი | 25 | 5 | 9 | 11 | 21:40 | 24 |
| კრილია | 25 | 6 | 5 | 14 | 22:40 | 23 |
| ნ. ნოვგოროდი | 25 | 3 | 8 | 14 | 14:33 | 17 |
| ურალანი | 25 | 2 | 6 | 17 | 16:39 | 12 |

## თურქეთი

მე-6 ტური: დენიზლი — რიზე 0:0; ერზურუმი — ქოჯაელი 1:0; ტრაბზონი — გენჩლერბირლიგი 2:0; ფენერბაჰჩე — იოზგათი 3:1; ადანა — ანთალია 1:1; გაზიანთეფი — იეთფა 4:0; ბურსა — სამსუნი 0:2; გალათასარაი — ისთანბული 1:1; ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 6 | 5 | 1 | 0 | 16:4 | 16 |
| გალათასარაი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:4 | 13 |
| ტრაბზონი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| გენჩლერბირ. | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 13 |
| ფენერბაჰჩე | 6 | 4 | 0 | 2 | 14:9 | 12 |
| გაზიანთეფი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:6 | 11 |
| ანთალია | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| სამსუნი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | 11 |
| იოზგათი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ერზურუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:15 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 6 | 2 | 1 | 3 | 7:12 | 7 |
| ადანა | 6 | 1 | 3 | 2 | 11:10 | 6 |
| რიზე | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| დენიზლი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ისთანბული | 6 | 1 | 2 | 3 | 3:11 | 5 |
| იეთფა | 6 | 0 | 2 | 4 | 8:16 | 2 |
| ბურსა | 6 | 0 | 2 | 4 | 4:15 | 2 |
| ქოჯაელი | 6 | 0 | 0 | 6 | 3:14 | 0 |

## რუმინეთი

მე-7 ტური: ბაკეუ — დინამო 1:1; რაპიდი — უნივერსიტატეა 1:1; პეტროლული — ჩაჰლაული 2:1; სტიაუა — ფორესტა 2:1; გაზ მეტანი — ბრაშოვი 0:1; ოცელული — გლორია 2:0; ნაციონალი — ასტრა 2:0; არჯეში — როკარი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 7 | 5 | 2 | 0 | 18:11 | 17 |
| უნივერსიტატეა | 7 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 14 |
| ოცელული | 7 | 4 | 1 | 2 | 12:9 | 13 |
| პეტროლული | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 13 |
| ბრაშოვი | 7 | 4 | 1 | 2 | 4:2 | 13 |
| არჯეში | 7 | 4 | 0 | 3 | 9:11 | 12 |
| ბაკეუ | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 11 |
| როკარი | 7 | 3 | 1 | 7 | 14:13 | 11 |
| დინამო | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| ფორესტა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | 10 |
| რაპიდი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 8 |
| ნაციონალი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:11 | 7 |
| ასტრა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | 7 |
| გლორია | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | 5 |
| გაც მეტანი | 7 | 1 | 1 | 5 | 6:9 | 4 |
| ჩაჰლაული | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | 2 |

## უკრაინა

### თასის მერვედფინალი

სოკოლი (ზოლოჩივი) — მეტალურგი (მარიუპოლი) 0:2; ზაკარპატიე (უჟგოროდი) — შახტარი (დონეცკი) 1:2; სპარტაკი (სუმი) — ტავრია (სიმფეროპოლი) 3:2; ლვოვი — ჩერნომორეცი (ოდესა) 2:0; ცსკა (კიევი) — ნივა (ტერნოპოლი) 2:0; დნიპრო (დნეპროპეტროვსკი) — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 3:1; პოლისია (ჟიტომირი) — მეტალურგი (დონეცკი) 0:1; მეტალისტი (ხარკოვი) — კრივბასი (კრივოი როგი) 0:2

*მეოთხედფინალები გაიმართება 2 ნოემბერს*

# სარბიელი

# სპორტული ლატარია

### იტალია. სერია B

27 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 003 | პიაჩენცა-სიენა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 004 | ვენეცია-კოზენცა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 23.45 | 005 | ანკონა-სამპდორია | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 23.45 | 006 | ტრევიზო-ტორინო | 2,7 | 2,5 | 2,8 |

### ინგლისი. ლიგის თასი. II ეტაპი

27 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 027 | როვერსი-ევერტონი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 23.45 | 028 | კოლჩესტერი-შეფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 029 | ქოვენთრი-პრესტონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 030 | ფულემი-ჩესტერფილდი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 23.45 | 031 | უენსდი-ოლდემი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 032 | ვესტ ჰემი-უოლსოლი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. მე-3 ტური

27 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 509 | სპარტაკი-სპორტინგი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.45 | 510 | გალათასარაი-რეინჯერსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 511 | მონაკო-შტურმი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 512 | ვალენსია-ლიონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 513 | ლევერკუზენი-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 514 | არსენალი-ლაციო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 515 | სპარტა-შახტარი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 516 | ოლიმპიაკოსი-ჰერენვენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

### უეფას თასი. პირველი ეტაპი. მეორე მატჩები

28 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 523 | ვისლა-სარაგოსა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 524 | ლიბერეცი-ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 525 | პარმა-პობედა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 19.30 | 526 | ტორპედო-ლოზანა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 527 | დინამო (მოსკ.)-ილელექტრომი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 528 | მაკაბი-ვიტესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 529 | იორგრიტე-რაპიდი (ვენა) | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 530 | ნეფტოხიმიკი-ლოკომოტივი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 531 | აპოელი-ბრიუგე | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 21.30 | 532 | რომა-გორიცა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 21.30 | 533 | აკადემისკი-სლავია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.30 | 534 | გაზიანთეფი-ალავესი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.30 | 535 | ამიცა-ალანია | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 536 | ბეითარი-პაოკ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 537 | ბოავიშტა-ვორსკლა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 538 | დინამო (ზაგრები)-სლოვანი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 539 | ჰიკ-სელტიკი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 22.00 | 540 | ნანტი-კრივბასი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 541 | ცრვენა ზვეზდა-ლესტერი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 22.30 | 542 | ბრანი-ბაზელი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.30 | 543 | ირაკლისი-გენიონი | 1,65 | 3,1 | 5,0 |
| 22.45 | 544 | ვერდერი-ანთალია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 545 | მტკ-ცსკა (სოფია) | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 546 | ოფი-ნაპრედაკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 547 | აეკ-ვაშაში | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 548 | ფეიენოორდი-დუნაფერი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 549 | ოსიეკი-ბრონდბიუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.15 | 550 | აიაქსი-გენტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 551 | გენკი-ციურიხი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.30 | 552 | ჰერფიოლგე-აიკ | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.30 | 553 | ფიორენტინა-ტიროლი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.45 | 554 | სენტ გალენი-ჩელსი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 23.45 | 555 | რიეკა-სელტა | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 24.00 | 556 | რაიო ვალეკანო-მიოლდე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 24.00 | 557 | ინტერი (მილანი)-რუხი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 24.00 | 558 | ლივერპული-რაპიდი (ბუქ.) | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 00.15 | 559 | ესპანიოლი-ოლიმპია | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 01.00 | 560 | ჰართსი-შტუტგარტი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 01.00 | 561 | ბენფიკა-ჰალმსტადი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 562 | პორტუ-პარტიზანი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### ოლიმპიადა. ფეხბურთი. ქალები.

მე-3 ადგილი და ფინალი

28 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.00 | 403 | ბრაზილია-გერმანია | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 14.00 | 404 | აშშ-ნორვეგია | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### ოლიმპიადა. კალათბურთი. კაცები. 1/4 ფინალი

28 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 09.00 | 405 | რუსეთი-აშშ | 10,0 | 12,0 | 1,02 |
| 11.00 | 406 | ავსტრალია-იტალია | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 14.00 | 407 | იუგოსლავია-ლიტვა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 16.00 | 408 | კანადა-საფრანგეთი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

### ოლიმპიადა. კალათბურთი. ქალები. 1/4 ფინალი

27 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 09.00 | 409 | პოლონეთი-ავსტრალია | 7,5 | 12,0 | 1,05 |
| 11.00 | 410 | კორეა-საფრანგეთი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 14.00 | 411 | რუსეთი-ბრაზილია | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 16.00 | 412 | აშშ-სლოვაკეთი | 1,01 | 15,0 | 15,0 |

### ოლიმპიადა. ხელბურთი. ქალები. 1/4 ფინალი

28 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 08.30 | 417 | კორეა-ბრაზილია | 1,02 | 10,0 | 10,0 |
| 10.30 | 418 | ავსტრია-უნგრეთი | 4,0 | 8,0 | 1,15 |
| 13.30 | 419 | საფრანგეთი-დანია | 4,0 | 8,0 | 1,15 |
| 15.30 | 420 | ნორვეგია-რუმინეთი | 1,05 | 8,0 | 7,5 |

### ოლიმპიადა. ფრენბურთი. კაცები. 1/4 ფინალი

27 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.30 | 421 | არგენტინა-ბრაზილია | 5,0 | —- | 1,1 |
| 09.00 | 422 | რუსეთი-კუბა | 1,2 | —- | 3,5 |
| 09.00 | 423 | იუგოსლავია-ჰოლანდია | 1,7 | —- | 1,7 |
| 09.00 | 424 | იტალია-ავსტრალია | 1,01 | —- | 15,0 |

### ოლიმპიადა. წყალბურთი. კაცები

27 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 435 | იუგოსლავია-უნგრეთი | 2,3 | 4,4 | 1,4 |
| 04.45 | 436 | სლოვაკეთი-რუსეთი | 7,5 | 6,0 | 1,05 |
| 08.30 | 437 | ჰოლანდია-ხორვატია | 10,0 | 8,0 | 1,01 |
| 09.45 | 438 | იტალია-ყაზახეთი | 1,02 | 8,0 | 10,0 |
| 13.15 | 439 | საბერძნეთი-აშშ | 2,8 | 5,0 | 1,3 |
| 14.30 | 440 | ავსტრალია-ესპანეთი | 2,3 | 5,0 | 1,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ელგუჯა ბერიშვილი
სიდნეიდან

# სპორტული ალქიმია საქართველოში: მიეცი ჯართი, მოითხოვე ოქრო

## შტანგა, რომლითაც გიორგი ასანიძე ვარჯიშობს, სიდნეის ოლიმპიადის მონაწილეებს სპორტულ მუზეუმში თუ უნახავთ



გიორგი ასანიძე ატაცში საუკეთესო იყო

**სიდნეი**, დარლინგ ჰარბორი — მონორელსით შემოზღუდული და ცათამბჯენებით შემოჯარული. ათასი კაფერესტორანი, ატრაქციონი, ღია ესტრადა, აბორიგენული ფოლკლორი, ქუჩის მასხარები და მუშაითები, მოედნის ცენტრში უზარმაზარი ტელეფონი და დაუვიწყარი ოლიმპიური ბატალიები. მოკლედ, სეირი არნახული და ტაშ-ფანდური განუწყვეტელი... თითქოს არაფრით გამორჩეული 23 სექტემბრის საღამო. ისევ ზღვა ხალხი — აქაურები და საიდან არ ჩამოსულები. ბილეთების სალარო ოკუპირებულია, მაგრამ ამაოა მცდელობა თავგანწირული: ყველა ბილეთი გაყიდულია. ოთხიათასიან Convention Centre-ში დღეს თავისუფალი ადგილი არ იქნება. გულშემატკივართათვის განკუთვნილ სექტორს მეტწილად ბერძნები შეავსებენ. ცხადია, ქართველებიც არიან, მაგრამ იმათთან რას მოვლენ. ცალუღელა ქართული დროშა, აბა, როგორ გამოჩნდება ბერძნულის უსიერ ტყეში.

ბერძნები, ცხადია, პიროს დიმასის მორიგ ოლიმპიურ ბენეფისზე შეიკრიბნენ, ქართველები — გიორგი ასანიძის პრემიერაზე. თუმცა, ამათ გარდა დღევანდელ სპექტაკლს კიდევ რვა პერსონაჟი ჰყავს — სულ ნარჩევი ბიჭები. აგერ, ირანელი შაჰ ნასირინია — ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორი, ბრძოლის ჟინით ანთებული; გერმანელი მარკ ჰუსტერი — მსოფლიოს ჩემპიონი (1994), ევროპის ორგზის (1998, 1999) ჩემპიონი, ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი, გამოცდილი და შეუპოვარი; ხრისტოს სპირუ, კიდევ ერთი ბერძენი — წლევანდელი სეზონის ლიდერთაგანი, დიმასის დუბლიორი. მაგრამ დიმასი აცხადებს, რომ დღეს დუბლიორი არ დასჭირდება: „მე მოვიგე წინა ორი ოლიმპიადა, მესამე ოქროს სიდნეიდან წავიღებ". კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს უმიზნებს გიორგი ასანიძეც: „ვფიქრობ, ჩემი პრეტენზია უსაფუძვლო არ არის, სხვა შედეგი მარცხის ტოლფასი იქნება". ახლა ჰუსტერს მოუსმინეთ: „ოქრო მეც არ მაწყენდა. ამის მერე ტელევიზიაში, სპორტულ მიმომხილველად ვიმუშავებ". ამათ არც ირანელი ჩამორჩა: „შარშან აზიისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მოვიგე, კოლექციაში ოლიმპიური ოქრო მაკლია".

მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვებია და მეტი არაფერი, არსებობს ციფრებიც, იგივე ფაქტები — ანგარიშგასაწევი და საყურადღებო. მაგალითად, საკვალიფიკაციო ცხრილი, სადაც დიმასი პირველია — 392,5 კგ. შემდეგ მოდიან ასანიძე, სპირუ და ნასირინია (390-390), გაავსტრალიელებული სერგო ჩაკოიანი (385) და ჰუსტერი (382,5). არსებობს სპორტსმენის პირადი წონის ფაქტორიც, ზოგჯერ გადამწყვეტი... დარბაზში, ფიცარნაგის თავზე, სადემონსტრაციო ტაბლოზე უკვე გამოუკრავთ აწონვის შედეგები: დიმასი — 84,06 კგ, ჰუსტერი — 84,22, ასანიძე — 84,70, ნასირინია — 85,0 და ა.შ. დიმასი აქაც „ლიდერობს". კენჭისყრის შედეგებიც ვნახოთ: ფავორიტთაგან ჰუსტერი იწყებს, მერე — ნასირინია, სპირუ, ასანიძე. დიმასი ბოლოა, მაშასადამე, ყველაზე ხელსაყრელი ტაქტიკური პოზიციაც მისია. ჯერ შეჯიბრება არ დაწყებულა, დიმასი კი „ლიდერობს". ოღონდ ეგ არის, მსოფლიოს რეკორდსმენთა შორის მისი გვარი არ ჩანს. აკვრაში რეკორდი ჩინელ იონგ ჰანგს ეკუთვნის (218,0), ატაცში — ასანიძეს (181,0), წლეულს, აპრილში, ევროპის ჩემპიონატზე დაამყარა.

ატაცი ასანიძის კოზირია. აქ მაქსიმუმს ეცდება, რათა ორჭიდის ჯამში იმარჯვოს.

მაგრამ ვინ უწყის, რა „ჩაიფიქრა" ფორტუნამ, როგორ სცენარს შემოგვთავაზებს, ან ვინ გამოიცნობს უხილავი რეჟისორის ოინებს. მთელი ეს დრამა აგერ, ჩვენს თვალწინ გათამაშდება და სულ რაღაც საათნახევარს გასტანს.

...პირველივე სიურპრიზი სტარტზე: ნასირინიამ საწყისი წონა (175,0) ვერ დაძლია, მარჯვენა იდაყვი დაიშავა და ტურნირს გამოეთიშა. ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი ელვისებურად გაქრა ბრძოლის ველიდან.

ასანიძე: „ირანელი ყველაზე საშიშ მეტოქედ მიმაჩნდა. ამდენი შრომა ერთბაშად წყალში ჩაეყარა. ამგვარი რამ ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება შეემთხვეს. რას იზამ, სპორტია... თითქოს მოვდუნდი, ყურადღება გამეფანტა. ასეთ დასაწყისს ნამდვილად არ ველოდი".

ასანიძე 175-ით იწყებს, მაგრამ წონა თავსუკან გაურბის. ესეც ახალი სიურპრიზი. ვანო გრიქუროვი (მწვრთნელი): „თავიდან 177,5-ით დაწყებას ვგეგმავდით, მაგრამ გადავიფიქრეთ. დილით გიორგის ვკითხე, შენ რას ფიქრობ, როგორ აჯობებს-მეთქი. იქნებ 175 ჯობია, ოლიმპიური თამაშებია, რისკს ხომ არ მოვერიდოთო. ასეც შევთანხმდით. მისთვის ეს წონა არაფერია, ამიტომაც თამამად მივიდა, ვერ გამოზომა".

დიმასს უარესი ემართება — დროში ვერ ეტევა და პირველი ცდა (175,0) იმასაც უფუჭდება. დიმასი: „დარბაზში ჩემი უამრავი გულშემატკივარი იყო. შტანგასთან რომ დავდექი, ვილაცამ იყვირა... გავბრაზდი, ნერვები მომეშალა და დრო სულ გადამავიწყდა". ამასობაში ჰუსტერმა 172,5 აიტაცა და დაწინაურდა. ასანიძემ 175,0 მეორე ცდაზე დაიმორჩილა, დიმასს კი არაფერი გამოუვიდა. ბოლო ცდა სამივე ფავორიტისთვის წარმატებულია: ასანიძე — 180,0, ჰუსტერი — 177,5, დიმასი — 175,0.

გრიქუროვი: „7,5-იანი უპირატესობა არ გამოვიდა, მაგრამ 5 კილოც კარგი ფორაა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც პირველი მისვლა გაგვიფუჭდა და ტაქტიკური გეგმა სახელდახელოდ შევცვალეთ".

მოკლედ, ატაცი ასანიძემ მოიგო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. აქ თითოეულ წონაში მხოლოდ მედლების ერთი კომპლექტი თამაშდება — ორჭიდის შედეგთა მიხედვით. მთავარი ამბები ჯერ კიდევ წინ არის. 15-წუთიანი შესვენების შემდეგ აკვრა იწყება. ჰუსტერის სამივე ცდა წარმატებულია — ჯერ 205,0, მერე — 210, ბოლო — 212,5, ორჭიდის ჯამში — 390,0. ასანიძე 210,0-ზე მიდის და წონას ადვილად იმორჩილებს. საქმე ჩინებულად მიდის, მაგრამ რას იზამს დიმასი? ცხადია, რისკზე არ წავა. ისიც 210,0-ს უკვეთავს და ადვილად ძლევს.

მეორე ცდაზე ასანიძის შტანგა კიდევ 5 კილოგრამით მძიმდება — 215,0. ოფიციალურ შეჯიბრებაზე ამხელა წონას არასოდეს შეჭიდებია. უფრო ზუსტად — არასოდეს დაუძლევია. დღეს ამ ცდაზე ოლიმპიური ოქროს ბედი ჰკიდია. მკერდამდე იოლადააქვს, მაგრამ მეტისთვის ძალა არ ჰყოფნის. ჩემს გვერდით იურიკ სარქისიანი ზის — ცნობილი სომეხი ძალოსანი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ხუთი ოლიმპიადის მონაწილე. შვიდი წელია, ავსტრალიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის სახელით გამოდის: „ასანიძე ამ წონის ლიდერია, ყველაზე უკეთ მომზადებული. ვარჯიშებზე ვაკვირდებოდი, მაგარი ბიჭია. ახლა ცოტას ნერვიულობს, აკვრის პირველ ნაწილში ყველაფერი სწორად გააკეთა, მაგრამ მერე იჩქარა, კარგად არ შეემზადა. მაინც მგონია, რომ ჩემპიონი გახდება".

ასანიძესაც მოვუსმინოთ: „თავიდან პრობლემა არ მქონია, შტანგა წინა წონაზე უფრო მემჩატა, მაგრამ მერე ერთბაშად დამაწვა და ამიტომაც ვიჩქარე, არ გამთიშოს-მეთქი. ვერ ავქაჩე, ტრავმირებულმა მარჯვენამაც მიმტყუნა".

დიმასის ცდა იმავე 215,0-ზე წარმატებულია. გაუჭირდა, მაგრამ მაინც აილო. სამივეს 390,0 დაუგროვდა. დარჩა თითო ცდა. ჯერჯერობით დიმასი ლიდერობს (ნაკლები პირადი წონის ხარჯზე), ჰუსტერი მეორეა (ასევე პირადი წონით), მაგრამ ცდა აღარ აქვს, ასანიძე — მესამე.

...ბოლო მისვლაც არ გამოდის — შტანგა არ ემორჩილება. ყველაფერი გადაწყვეტილია: დიმასი ჩემპიონობას ზეიმობს, ჰუსტერი ბედნიერია ვერცხლის მედლით, ასანიძისთვის ბრინჯაო ძალზე ცოტაა: „ყველამ იცოდა, რომ მზად ვიყავი უმაღლესი შედეგისთვის. კიდევ როდის მექნება ასეთი შანსი? ჩემი ბრალია ყველაფერი, მე წავაგე, მე ვერ ავწიე წონა. დიმასმა კლასით მაჯობა და ამას არც ვმალავ. უდიდესი გამოცდილების სპორტსმენია. ატაცში თითქმის გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ მაინც გამოძვრა... განა არ ვიცი, რომ ოლიმპიური მედალი პატარა საქმე არ არის, მაგრამ ჩემპიონი მაინც ჩემპიონია. ჩვენ ეს მიზანი გვქონდა, მაგრამ არ გამოვიდა. ჩემს თავზე არაფერს ვამბობ, ბატონი ვანოს ამხელა შრომა მენანება. ის მეტის ღირსი იყო. ამდენი წელი თავს მევლებოდა, შვილივით მივლიდა".

დაჯილდოების ცერემონიალზე ლამის დაინგრა დარბაზი. საბერძნეთის დელეგაციამ პირველი ოქრო აიღო, დიმასმა — მესამე. მას მილიონი დოლარი და მთელი საბერძნეთი ელის: „ყველაზე მეტად აქ, სიდნეიში გამიჭირდა. ამიტომაც განსაკუთრებით ძვირფასია ეს მედალი. პირველი ბერძენი ვარ, ვინც სამი ოლიმპიური ოქრო მოიგო, მაგრამ ვეცდები ამ შედეგის გაუმჯობესებას. ამის გაკეთება ოთხი წლის შემდეგ შინ, ათენში მომიწევს".

ჰუსტერი: ატაცში მიღებული ტრავმის შემდეგ არ მეგონა, ამდენს თუ შევძლებდი. დღეს ვერცხლის მედალი მაქსიმუმია ჩემთვის. ბოლომდე ვიბრძოლე და ახლა ფრიად კმაყოფილი და ბედნიერი ვარ".

მედლები დარიგდა, ადგილები განაწილდა, მაგრამ რამდენიმე კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. ეს კითხვები უმთავრესად ასანიძის გამოსვლას ეხება, უფრო კონკრეტულად — აკვრისას არჩეულ ტაქტიკას.

რატომ შეუკვეთეს 215,0 და არა 212,5? რამდენად გამართლებული იყო ასეთი რისკი, როცა ოლიმპიური ოქროს ბედი წყდებოდა?

ვანო გრიქუროვი: „მწვრთნელი შეჯიბრებას კულისებიდან უყურებს და არა ტრიბუნიდან. აქ სულ სხვა ვითარებაა და რიგით გულშემატკივარს ამის გაგება გაუჭირდება. ჩვენ გადაწყვეტილებას ვიღებთ როგორც შეჯიბრებამდელი, ასევე ტურნირის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციით. გიორგიმ რამდენიმე თვის წინ, პოლონეთში 217,0 აკრა, ახლა კი 220,0-ისთვისაც მზად იყო. ამას ყველა ხედავდა და ამიტომაც უფრთხოდნენ. ჩემი ჩანაწერები რომ ნახოთ, გაოცდებით — ასეთ დონეზე სპორტსმენი არასოდეს მომზადებია, თვით კახიაშვილიც კი. ამიტომაც, ბუნებრივია, ოქროს ვგეგმავდით და ამ გეგმის მიხედვით ვმოქმედებდით. აქ ყველაფერი გასათვალისწინებელია: სპორტსმენის ქცევა, რეპლიკა, ჟესტი... როცა დავრწმუნდი, რომ დიმასი მზად იყო 217,5-ის ასაწევად, ამის შემდეგ შევუკვეთე 215,0 მეორე ცდაზე. სამწუხაროდ, გიორგი ვერ განეწყო და ამის გამო ვერ აილო წონა. თუ რაიმე შეცდომაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს ატაცზე ითქმის... ალბათ, 177,5-ით უნდა დაგვეწყო. ასე აჯობებდა. ისე, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა კარგად ჩანს. არა მგონია, ჩემზე მეტად ვინმეს ნდომებოდა გიორგის ჩემპიონობა".

ამ თემაზე საუბარი და კამათი, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდება და ამაში გასაკვირი არაფერია. მე უფრო ის მიკვირს, ჩვენს პირობებში, მშიერ-მწყურვალ ქვეყანაში, ამხელა სპორტსმენი როგორ გაიზარდა. მხოლოდ ერთი ფაქტი: პოტენციური ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლოზისდროინდელი შტანგით ემზადებოდა და როცა ამის საშუალება იყო, პოლონეთში უწევდა სიარული. სწორედ იმიტომ, რომ საქართველომ შტანგისთვის სამი ათასი დოლარი ვერ გაიმეტა.

გიორგი ასანიძემ თავისი გააკეთა — ვაჟკაცურად და ღირსეულად.

ჩვენ რა გავაკეთეთ?



სიდნეის ოლიმპიადის გერმანელი ვიცე-ჩემპიონი მარკ ჰუსტერი, ბერძენი ჩემპიონი პიროს დიმასი და ქართველი პრიზიორი გიორგი ასანიძე



ქართული ძალოსნობის მატარებელი: გიორგი ასანიძე, მწვრთნელი ვანო გრიქუროვი და ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე

# კახი

**კახი კახიაშვილი და სტივ რედგრეივი. ორი კაცი. ორი კაცური კაცი. ორი უდიდესი სპორტსმენი. ერთმა საკუთარი ქვეყნის სიმუხთლეს აჯობა, მეორემ — საკუთარი ორგანიზმისას. დღეს ორივე მრავალ ოლიმპიადაზე გამარჯვებულია.**




**ბოლო** ოლიმპიადებიდან ყველაზე მშვიდად და სრულად ბარსელონისა ვნახე. ხომ გახსოვთ, რა დრო იყო: 1992 წელი, დაქცეული ქვეყანა... იმხანად ჩვენში გაზეთები მეტწილად კვირაში ერთხელ-ორჯერ გამოდიოდა და ამ საქმით დაკავებულ ხალხს სულაც არ გვჭირდებოდა ყოველ დილით დაძაბული სახით სამსახურში გავარდნა. ერთი სიტყვით, ტელევიზორის ჩასართველად დრო მქონდა.

იმ დღეს, ბედად, ტელევიზორი ძალოსანთა შეჯიბრების დროს ჩავრთე და გეგმაც ამერია, სავარძელში მშვიდად მოკალათების და ოლიმპიური ამბების „დათვალიერების" ნაცვლად, მოულოდნელად, ჭკუაზე შეშლილ გულშემატკივრად ვიქეცი. იმწუთას ვინმეს რომ ეკითხა, ძალოსნობის ცქერა ჯობია თუ ფეხბურთისაო, დაუფიქრებლად ძალოსნობას ვუპასუხებდი — ჯობია ის, სადაც შენიანი იმარჯვებს.

კახი კახიაშვილი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!

მაგრამ ვინ არის კახი კახიაშვილი? საიდან ამოტივტივდა ეს ჟღერადი გვარსახელი? უცნაურია — კახი კახიაშვილი. მაშინ, როდესაც მე შემეძლო მეთქვა ვინ არის უამრავი, დღეს მივიწყებული, სამხედროზე უფრო მძარცველის გარეგნობის მეავტომატე, ვერაფერს მოგახსენებდით კაცზე, რომელიც ტყვია-წამალ-ტრასირების გაგანია ტკაცა-ტკუცის დროს სადღაც დარბაზებში შტანგას წევდა.

...გავიდა რამდენიმე თვე. საქართველოში გაზეთები კვლავ კვირაში ერთხელ-ორჯერ გამოდიოდა. „სარბიელის" რედაქციამ კახიაშვილთან ინტერვიუ და შიგადაშიგ ძალოსნობის ამბებზე წერა დამავალა. მოკლედ, ძალოსნობა „ჩემი" სახეობა გახდა, ამიტომაც, ბუნებრივია, დარბაზში სტუმრობას მოვუხშირე.

დარბაზი... ჩამოტყავებული, გაქუცული და საცოდავი. ზამთარში ყინავს — კბილს კბილზე მარტყმევინებს. ერთ ადგილას ბიჭებს ღუმელი დაუდგამთ. როგორია გაყინულ ჰაერში კუნთების გახურება, ვარჯიში და ოფლად დაღვრა. სხეულის და ჰაერის ტემპერატურა მეტ-ნაკლებად დაახლოებული არ უნდა იყოს?

კახიაშვილი ვარჯიშზე ტროლეიბუსზე ჩამოკიდებული მიდიოდა — აბა, ქალაქში მგონი სულ ერთი ცალი დაგორავდა და ყველა შიგ ხომ ვერ შეეტეოდა. დარბაზს რომ მიაღწევდა, ვაკის პარკში ავიდოდა, ზევით, სადღაც ტყეში. იქ მეგობრებთან ერთად მორებს და შეშას იპოვნიდა, შეკრებდა, ჩამოიტანდა, ღუმელს შეუკეთებდა და იწყებოდა ვარჯიში.

მერე, თითქოს, დელისის მეტროსთან ბინა მისცეს, მაგრამ შიგ ლტოლვილები შეცვივდნენ. ღელავდა, დედაჩემს რა ვუყო, ასეთ პირობებში როგორ ვაცხოვროო. დედის ჯანმრთელობასთან ერთად თავისიც აეჭვებდა — ამ ყინვაში ვარჯიშს ორგანიზმი დიდხანს ვერ გაუძლებს, დავსნეულდები, არადა ჩემი საქმე შტანგის აწევაა...

ღელავდა ოლიმპიური ჩემპიონი. ღელავდა მისი მწვრთნელი ვანო გრიქუროვიც, თავისი საქმით გატაცებული ადამიანი. არც მისი ბედი გახლავთ შეგირდისაზე ნაკლებ საინტერესო, თუმცა ეს სხვა დროს იყოს. ახლა, კახის დავუბრუნდეთ.

მოულოდნელად ერთი ამბავი ატყდა, კახიაშვილი საბერძნეთში მიდის, ბერძნების სახელით უნდა გამოვიდეს, ის საქართველოს სტოვებს... და ხომ იცით, ამას რა მოსდევს ხოლმე. უნდა წავიდეს? მერე სამშობლო? სამშობლოს მედლები არ უნდა?

კი მაგრამ, დარბაზს რომ გათბობა უნდა? კახიაშვილს რომ დასნეულება არ უნდა? დედაზე ზრუნვა რომ უნდა?

***სახელმწიფომ ერთი დარბაზი ვერ გაათბო.***

***სახელმწიფომ ერთი ბინა ვერ გამოყო.***

***სახელმწიფომ ერთი ხელფასი ვერ დანიშნა.***

და ვისთვის? ოლიმპიური ჩემპიონისთვის, რომელიც კიდევ მრავალ მედალს მოიხვეჭდა და ამით, ალბათ, იმავ სახელმწიფოს სასარგებლოდ რაღაც-რაღაც ილუზიებს შექმნიდა.

ოლიმპიური ჩემპიონი (სამგზის ჩემპიონზე აღარაფერს ვიტყვი) იმას ნიშნავს, რომ ეს კაცი დედამიწის ზურგზე რომელიღაც დარგში ყველას ჯობია.

ბატონო სახელმწიფოვ, თქვენ თქვენს დარგში რომელ ადგილზე ბრძანდებით? ის არა ხართ, ერთი დარბაზი რომ ვერ გაათბეთ?

ან იქნებ სამშობლოში სახელმწიფო არ იგულისხმება და მხოლოდ ის ქარაფია სამშობლო, რომელზეც სიმღერის თანახმად ჯიხვი ხტის? თუ ასეა, მაშინ ჯიხვს ვკითხოთ, სჭირდებათ თუ არა მას და ქარაფს ოლიმპიური ოქრო ძალოსნობაში.

...გავიდა წლები. 1997-ის აგვისტოში მივლინებით ათენს გავემგზავრე მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის გასაშუქებლად და ერთგან, სადილად, ვიღაც ღვაწლმოსილი ბერძენი და ერთიც ამერიკელი ჟურნალისტის გვერდით მოვხვდი სუფრასთან. გაიბა მუსაიფი. ამერიკელმა რატომღაც იკითხა პილმენი ქართული საჭმელი თუ არისო და ამას მოჰყვა: ქართველი, ბერძენი, თბილისი, ათენი, კახიაშვილი...

— წარმოშობით ქართველია — ვერ უარჰყო ღვაწლმოსილმა და დასძინა — ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონია.

— ბარსელონის და ატლანტის — შევუსწორე

ამ საუბრიდან ორიოდ დღეში მე და „დრონის" რედაქტორი გიორგი ჩოჩიშვილი კახიაშვილის კომფორტული მანქანით ათენის ქუჩებში მივსრიალებდით. იცით, როგორ განსხვავდებოდა ეს მანქანა იმ ტროლეიბუსიგან, ჩამოკიდებული ოლიმპიური ჩემპიონი გაყინული დარბაზისკენ რომ მიჰყავდა? იცით, იმ საბრალო, გაწამებული ხალხისგან განსხვავებით, ტროლეიბუსში რომ შეეტენა თუ ვერ შეეტენა, რა მოწიწებით და აღფრთოვანებით ესალმებოდნენ ათენელები თავიანთ გმირს?

— შეიძლება თქვენთან სამახსოვრო ფოტოს გადაღება?

— ავტოგრაფი შეიძლება?

— ეს ბოთლი რესტორნის ხარჯზე იყოს. ინებეთ.

იმ საღამოს ინტერვიუ ჩამოვართვით. რაღაცეები რომ არ განმეორდეს, მაშინდელ საუბარს და „სარბიელში" გამოქვეყნებულ წერილს აღარ მივუბრუნდები. არც იმას გავიხსენებ, რომ ბერძნებისგან აკაკიოს კახიაშვილისად მონათლული ჩვენი კახი კახიაშვილი მაინც გულდაწყვეტილი მეჩვენა — არ მინდა მასზე წერილს სენტიმენტალური ნოტა შეერიოს, მითუფრო, რომ ბევრი ვერ მიხვდება, რატომ უნდა დაწყდეს კარგი მანქანის პატრონს რაიმეზე გული.

იმ საღამოს მერე მას აღარ შევხვედრივარ.

...კვირას, ბედად, ტელევიზორი ძალოსანთა შეჯიბრების დროს ჩავრთე, მაგრამ გეგმა არ ამრევია. მწამდა, რომ თუ 94 კილოგრამიანი ათლეტების შეჯიბრების ნახვას მოვახერხებდი, კახიაშვილის მორიგ გაჩემპიონებას „დავათვალიერებდი." სანერვიულო რა იყო? თქვენ კახის დარბაზი გაუთბეთ და...

**ილია ბაბუნაშვილი**

# ინგლისელი ჟარაჩოხელი

## რომელმაც ხუთჯერ იმშობიარა

**წლის** ბოლომდე ჯერ შორია, მაგრამ ორშაბათს „უილიამ ჰილის" ბუქმეიკერებმა ბრიტანეთის წლის საუკეთესო სპორტსმენობაზე ფსონების მიღება შეწყვიტეს. ყველაფერი ცხადია: „უემბლის" გამოსათხოვარ მატჩში ოუენმა გერმანელებს 10 გოლიც რომ გაუტანოს, ჯონათან ედვარდსი კი მიწაზე ფეხის სამიოდ დარტყმით მთელ სტადიონს გადააფრინდეს, საუკეთესო მაინც სტივ რედგრეივი იქნება.

7 მილიონი ინგლისელი მისჩერებოდა ტელევიზორს. აქედან 6 მილიონ 500 ათასს აქამდე არასდროს ენახა ნიჩბოსანთა შეჯიბრი. სამეფოს პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერიც ამათ შორის იყო. იგი ფეხზე ამდგარი შესცქეროდა უმესაჭეო, ოთხადგილიანი და ცალმოსასმელიანი ნავებით ნიჩბოსანთა ფინალს, ტელერეპორტაჟის დამთავრებისას კი თქვა, ეს წარმოუდგენელიაო. ლონდონიდან შორს, სიდნეიში, ოქროს მედალი გმირს თვით პრინცესა ანამ მიართვა.

მარლოუ, პატარა ინგლისური ქალაქი, სადაც 1962 წლის 23 მარტს დაიბადა სტივ რედგრეივი, თავისი უცნობილესი მოქალაქის დასახვედრად ემზადება. სხვათა შორის, ავსტრალიიდან დაბრუნებულ ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონს (სეულის ბრინჯაო, აბა, აქ რა მოსატანია) შინ დახვდება ვარდები, რომელთა ახალ ჯიშს „რედგრეივ როუზ" დაარქვეს და შამპანური „გოლდენ რედგრეივ". როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ბრიტანეთის იმპერიის ორდენით უკვე დაჯილდოებულ ნიჩბოსანს მოკლე ხანში რაინდობასაც, ანუ სერის წოდებასაც მიანიჭებენ.

ვინ არის სტივ რედგრეივი? ორი სიტყვით, კაცია კაცური, ვისაც „წუნა და წრუწუნა" არასდროს უნახავს, მაგრამ „ნიახური ხომ არ ვარ, ქვეყანაზე მეორედ მოვიდეო" მისი ცხოვრების კრედოდ ქცეულა. ზოგადად კი, ნიჩბოსანი სტივ რედგრეივი არის ხუთგზის ოლიმპიური და ცხრაგზის მსოფლიოს ჩემპიონი.

ესეც არაა მთავარი. ბევრია ამა თუ იმ დიდ შეჯიბრთა ამდენ და იმდენგზის ჩემპიონი, მაგრამ... როგორც ბრიტანელი ექიმი, თავად ოლიმპიური ჩემპიონი (1984 წლის, რედგრეივთან ერთად) რიჩარდ ბაჯეტი ამბობს, ყოველი შეჯიბრის დამთავრების მერე სტივ რედგრეივი მხოლოდ ტკივილს, აუტანელ ტკივილს გრძნობს: „ამას ჩვეულებრივი კაცი ვერ გაიგებს. ეს მხოლოდ მშობიარობის ტკივილს შეედრება".

„ღვთის გულისათვის, ამ საშინელებაში ნუღარ გამატარებთ" — მხოლოდ ეს აზრი უტრიალებდა რედგრეივს, როცა ატლანტაში თავისი მეოთხე ოლიმპიადა მეოთხე ოქროს მედლით დააგვირგვინა. ცოტა ხანში კი დღემდე მოარული ფრაზაც წარმოთქვა: საკმარისია. თუ კიდევ ნავთან მისულს მნახავთ, მესროლეთ.

— ის სიტყვები ყოველდღე მიბრუნდებოდა, მაგრამ გამოწვევაც დიდი იყო. არ შემეძლო, შეჯიბრებისთვის ტელევიზორით ან თუნდაც ნაპირიდან მეცქირა. მე იქ, ნავში უნდა ვიყო და გავიმარჯვო — სიდნეიში გამგზავრებამდე ასე თქვა.

და გაიმარჯვა. მეხუთედ მეხუთე ოლიმპიადაზე.

...მახსოვს, როცა ინგლისურმა გაზეთებმა მიუნხენის „ბაიერნის" წამატებულ დროში დამმარცხებელი მანჩესტერელი ფეხბურთელები გმირებად შერაცხეს, „თაიმზში" ვიღაცამ მკითხველმა ასეთი წერილი გააგზავნა: არა მგონია, ეს სწორი იყოს — გმირი ისაა, ვინც რაიმე მეტად განსაკუთრებულს უანგაროდ სჩადის, ფეხბურთელები კი ამისთვის სათანადო ანაზღაურებას იღებენ.

გასამრჯელო არც სტივ რედგრეივს აკლია. მას კარიერის მანძილზე უფრო მეტი ფული აქვს ნაშოვნი, ვიდრე დევიდ ბექემს. იგი არასდროს დამდგარა იმ პრობლემის წინაშე, როცა რაიმეს მისაღწევად პირველ რიგში სამშობლოდან შორს გადახვეწა იყო აუცილებელი. და მაინც, ის გმირია.

ერთხელ ავტოავარიაში მოჰყვა. აღარავის ეგონა, სპორტს თუ დაუბრუნდებოდა, მაგრამ...

ერთხელაც, მაღაზიაში მყოფს, შემთხვევით მთელი ვიტრინა თავზე ჩამოეფშვნა და ხელები დაუსერა. რა ნიჩაბი, რის ნიჩბოსნობაო, ამბობდნენ, მაგრამ...

სამი წლის წინ ექიმებმა დიაბეტი აღმოუჩინეს. მორჩა, დამთავრდაო, მაგრამ...

მაგრამ სტივ რედგრეივი ყოველდღე (უქმეების ჩათვლით) დილის შვიდ საათზე დგება, დღეში ექვსი საათი ვარჯიშობს, მდინარეზე ნავით 25 მილს გადის და 4 700 კალორიას კარგავს. თან დღეში ხუთჯერ ინსულინს თავისი ხელით იკეთებს.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, დიაბეტიანი კაცი ფაქტობრივად ყოველდღე დარბის მარათონს და 2 კილომეტრზე გადააქვს 1080 მძიმე ქვა. ეს ექიმებმა გამოითვალეს.

სხვებმა ისიც გამოითვალეს, რომ ერთი დისტანციის გაცურვისას რედგრეივი 1000 ვატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ანუ შესაძლებელი რომ იყოს, სამსაათიანი ვარჯიშით იგი სიდნეის ოლიმპიურ სტადიონს გააჩახჩახებდა.

...ცხადია, კახი კახიაშვილისგან განსხვავებით, მას არასდროს აკლებდნენ გამოფიტული ორგანიზმის აღსადგენად საჭირო 6 ათას კალორიას.

**ბიბა ძოგბახიძე**



**ჩემი ოქროები ჩემთან** სტივ რედგრეივი მეუღლე ელიზაბეტ-ენთან, უფროს ქალიშვილ ნატალისთან, ვაჟიშვილ ზაკთან და შუათანა სოფისთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი სიტყვა ახალ ტრასაზე: ყველაFERRARI

**კვირას** ინდიანაპოლისის სახეცვლილ ტრეკზე მალაიზიური ამბავი განმეორდა — სადებიუტო, გახსნის რბოლაში ერთმა გუნდმა, რაც კი შესაძლებელი იყო, ყველაფერი დახვეტა. ისევე, როგორც შარშან „სეპანგზე", ამჯერადაც კვალიფიკაციაც და რბოლაც (ამასთან დუბლით) „ფერარიმ" მოიგო.

თუმცა თავიდან მცირე ისტორიული ცნობა.

მთელ დუნიაზე უძველესი, ინდიანაპოლისის ავტოდრომი 90 წლის წინ აიგო ადგილობრივი მანქანების გამოსაცდელად. წრის სიგრძე ორნახევარი მილია, ოთხ კილომეტრზე ოდნავ მეტი. ტრასა ოვალური, უმარტივესი ფორმისაა — ორ უგრძეს, კილომეტრიან სწორს ორი მომცრო მონაკვეთი აერთებს. ესე იგი, სულ ოთხი მოსახვევია, რაც უზარმაზარი სიჩქარის განვითარების საშუალებას იძლევა. ზუსტად ათი წლის წინ ინდი500-ის გამარჯვებული ჰოლანდიელის, არი ლინდიკის „ლოლამ" 800-კილომეტრიანი დისტანცია სარეკორდო 299 კმ/სთ საშუალო სიჩქარით დაძლია. ფანტასტიკური მაჩვენებელია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იქაური ბოლიდები ევროპულზე სულ მცირე, ასი ცხენის ძალით უფრო მეტ სიმძლავრეს ავითარებს ტურბოძრავების ხარჯზე.

აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშება ცხრა წლის შემდეგ აღდგა. ბოლო ეტაპი 1991 წელს ფინიქსში, „აისბერგის" ტრასაზე, ლეგენდარულმა აირტონ სენამ მოიგო. კალენდრიდან ამერიკული ეტაპის გაქრობის მიზეზი კი ოკეანის გაღმა ფორმულისადმი განელებული ინტერესი გახდა — რბოლები 30 000 მაყურებელს ძლივს იკრებდა. ამდენად, სამეფო რბოლების შტატებში დაბრუნების სულის და ფულის ჩამდგმელი, ინდიანაპოლისის ავტოდრომის მფლობელი ტონი ჯორჯი დიდ რისკზე წავიდა. ტრეკის ძირეულად, საფორმულო სტანდარტების შესატყვისად გადასაკეთებლად მან საკუთარი ჯიბიდან რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გაიღო — წრის გასართულებლად ოვალის შიდა ტერიტორიაზე ორი კილომეტრის სიგრძის 12-მოსახვევიანი ჩახლართული მონაკვეთი გაჩნდა. გარდა ამისა, რამდენიმე ულტრათანამედროვე ნაგებობაც აიგო, პირველ რიგში რვასართულიანი მართვის ცენტრი. არავინ უწყოდა, რამდენად გაამართლებდა გრანდიოზული ჩანაფიქრი. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი კეთილად დასრულდა და სიახლემ სამეფო რბოლებისთვის არნახულ, 250-ათასიან აუდიტორიას მოუყარა თავი, ჯორჯს შეუძლია, მშვიდად იძინოს — აშშ-ის დიდ პრიზს რამდენიმეწლიანი „სიცოცხლე" განაღდებული აქვს.



REUTERS

მიხაელ შუმახერმა დევიდ კულჰარდის გასწრებით ეტაპიც მოიგო და ლიდერობაც დაიბრუნა

ახალი ტრასა ჩინებული გამოვიდა ფართო, უხიფათო მონაკვეთებით. გასწრება უამრავი იყო, მეტადრე ურთულეს პირველ მოსახვევში, ავარია კი ერთიც არ მომხდარა. მოკლედ, ტრეკი ყველას მოეწონა — მოგებულსაც და წაგებულსაც.

ისტორიული რბოლა კი ფალსტარტით დაიწყო. პირველ პოზიციაზე იდგა მიხაელ შუმახერი, ვისთვისაც ეს კარიერაში 30-ე პოული გახდა. მის შემდეგ დევიდ კულჰარდისა და მიკა ჰაკინენის „მაკლარენები" გამწკრივდა, უკან — მეორე „ფერარი". კულჰარდმა შუქნიშნის წითელი ნათურების ჩაქრობამდე ოდნავ ადრე დაძრა მანქანა, რის გამოც ადვილად შეძლო შუმის გასწრება და ქარავანს სათავეში მოექცა. გერმანელი პრაქტიკულად ყოველ მოსახვევში ცდილობდა შურისძიებას, მაგრამ დევიდი გასწრების საშუალებას არ აძლევდა. თუმც მალე მოსახდენი მაინც მოხდა — მეშვიდე წრეზე უგრძესი სასტარტო სწორის ბოლოს „ფერარი" ოდნავ წინ გავიდა, თუმცა მოსახვევში მეტოქეები ერთდროულად შევიდნენ. იქ კი შუმის ხელიდან აღარ გაუშვია შანსი და უზუსტესად გათვლილი მანევრით შოტლანდიელი უკან ჩამოიტოვა. რაკი კულჰარდმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა, მაშინვე თანაგუნდელი გაატარა წინ და მას გადაულოცა ლიდერთან ჭიდილი.

წვიმის შემდეგ ჯერ კიდევ სველ ტრასაზე რბოლა პილოტებმა საწვიმარი საბურავებით დაიწყეს. ასფალტი თანდათან გაშრა და ერთიმეორის მიყოლებით ყველა „სლიკებზე" გადავიდა. ჯერ ჰაკინენმა შეცვალა და ცოტა საწვავიც ჩაიმატა. ამასობაში კულჰარდს განაჩენი გამოუტანეს და ათწამიანი სასჯელის მოსახდელად ბოქსებს მიაშურა. რაკი ასეთ შემთხვევაში მექანიკოსებს ბოლიდთან მიკარებაც კი ეკრძალებათ, შოტლანდიელს მომდევნო წრეზე ისევ მოუწია ბოქსებისკენ გასეირნება — 6 წამში „სლიკებიც" მოირგო და მცირე დოზით ბენზინიც მიიღო. ზედიზედ ორმა პიტსტოპმა იგი, ცხადია, ძალიან აზარალა და ერთბაშად მე-15 ადგილზე გადაისროლა. ამით მისი პირველობის საკითხი პრაქტიკულად გამოირიცხა და ჰაკინენიც მარტო დარჩა ორი „ფერარის" წინააღმდეგ.

მე-15 წრეზე შუმახერის უპირატესობამ ჩემპიონთან 40 წამს მიაღწია, რის შემდეგაც ლიდერი მშვიდად ეახლა მებოქსეებს. კონკურენტებს შორის სხვაობა შვიდ წამამდე შემცირდა და ფინელმაც მკვეთრად უმატა ტემპს — ყოველ წრეზე თითქმის წამით ამცირებდა ჩამორჩენას, მით უფრო, რომ წონამომატებული „ფერარი" უწინდელივით სწრაფი ვერ იყო. ჰაკინენმა 25-ე წრეზე ოთხ წამამდე დაიყვანა სხვაობა, მაგრამ ასეთ ფეთიან ჯირითს „მერსედესის" ძრავამ ველარ გაუძლო და ცეცხლი გაუჩნდა. მიკას „მაკლარენი" ბოლო 13 რბოლაში პირველად გამოვიდა მწყობრიდან.

ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, გამარჯვებულიც გაირკვა, რადგან შუმახერის მომგები ტრასაზე აღარავინ დარჩა. ბარიკელოს დიდი ჯაფა დაადგა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენთან ბრძოლაში. 50-ე წრემდე გერმანელი იყო წინ, მეორე ადგილის ბედი კი იტალიელი მექანიკოსების ოსტატობამ გადაწყვიტა. ისინი რუბინიოს უსწრაფესად, შვიდ წამში მოემსახურნენ და ბრაზილიელიც მეტოქის ცხვირწინ დაბრუნდა.

ფინიშამდე 15 წრით ადრე, როცა შუმი თანაგუნდელს ნახევარ წუთზე მეტს უგებდა, შტაბიდან სათანადო ბრძანებაც მიიღო, რომ მანქანას გაფრთხილებოდა და ტემპი შეენელებინა. ასეც მოიქცა, თუმცა რამდენიმე წუთში გუნდიცა და ქომაგებიც გვარიანად ანერვიულა — ბალახში გადასული „ფერარი" ადგილზე დაუტრიალდა, მაგრამ იოლად შეძლო საჭის დამორჩილება და საათნახევრიანი რბოლის უსიამოვნებაც მისთვის ამით ამოიწურა.

ამრიგად, „ფერარიმ" და შუმახერმა ტრიუმფალური ფურცლები ჩაწერეს კვირას დაწყებულ ინდიანაპოლისის საფორმულო ისტორიაში. სატურნიროცხრილში კი ისეთი ვითარებაა, რომ მიხაელი მომავალ, იაპონურ ეტაპზე ჰაკინენს ორი ქულით თუ აჯობებს, ვადამდე გახდება სამგზის ჩემპიონი.

**ირაკლი ნიკოლაძე**

## რბოლის შედეგები

### აშშ-ის დიდი პრიზი

24 სექტემბერი. ინდიანაპოლისი

დისტანცია — 73 წრე — 306.235 კმ

1. **მ. შუმახერი** (ფერარი) 1:36.30,883 (190,229 კმ/სთ) 10 ქულა
2. **ბარიკელო** (ფერარი) 1:36.43,001 6 ქულა
3. **ფრენცენი** (ჯორდანი) 1:36.48,251 4 ქულა
4. **ვილნევი** (BAR) 1:36.48,818 3 ქულა
5. **კულჰარდი** (მაკლარენი) 1:36.59,696 2 ქულა
6. **ზონტა** (BAR) 1:37.22,577 1 ქულა
7. **ირვინი** (იაგუარი) 1:37.41,998
8. **დინიცი** (ზაუბერი) ჩამორჩა 1 წრით
9. **ჰაიდფელდი** (პროსტი) 1 წრით
10. **ვურცი** (ბენეტონი) 1 წრით
11. **ჰერბერტი** (იაგუარი) 1 წრით
12. **ჟენე** (მინარდი) 1 წრით

#### საუკეთესო წრე

**კულჰარდი** 1.14,711 (201.994 კმ/სთ)

#### რბოლას გამოეთიშნენ

| | |
|---|---|
| **ალეზი** (პროსტი) | გაიარა 64 წრე |
| **მაცაკანე** (მინარდი) | 59 |
| **რ. შუმახერი** (უილიამსი) | 58 |
| **დე ლა როსა** (ეროუსი) | 45 |
| **ფიზიკელა** (ბენეტონი) | 44 |
| **ვერსტაპენი** (ეროუსი) | 34 |
| **ჰაკინენი** (მაკლარენი) | 25 |
| **სალო** (ზაუბერი) | 18 |
| **ბატონი** (უილიამსი) | 14 |
| **ტრული** (ბენეტონი) | 12 |

## სტარტზე განლაგება

- 20 ჟენე მინარდი 1.17,161
- 21 მაცაკანე მინარდი 1.16,809
- 14 ალეზი პროსტი 1.16,471
- 8 ჰერბერტი იაგუარი 1.16,225
- 19 დე ლა როსა ეროუსი 1.16,143
- 7 ირვინი იაგუარი 1.16,098
- 15 ჰაიდფელდი პროსტი 1.16,060
- 11 ფიზიკელა ბენეტონი 1.15,907
- 17 სალო ზაუბერი 1.15,881
- 18 ვერსტაპენი ეროუსი 1.15,808
- 23 ზონტა BAR 1.15,784
- 12 ვურცი ბენეტონი 1.15,762
- 9 რ. შუმახერი უილიამსი 1.15,484
- 16 დინიცი ზაუბერი 1.15,418
- 22 ვილნევი BAR 1.15,317
- 5 ფრენცენი ჯორდანი 1.15,067
- 10 ბატონი უილიამსი 1.15,017
- 6 ტრული ჯორდანი 1.15,006
- 4 ბარიკელო ფერარი 1.14,600
- 1 ჰაკინენი მაკლარენი 1.14,428
- 2 კულჰარდი მაკლარენი 1.14,392
- 3 მ. შუმახერი ფერარი 1.14,266

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | אב | אב | אב | ה | ג | אב | | אב | | | | ד | ד | אב | אב | | | טט |
| 2 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | | | ד | ד | אב | ד | ב | ד | ד | אב | ד | אב | אב | ד | ت | | | אט |
| 3 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | | | ה | אב | ד | ה | אב | | אב | ד | ה | ה | ד | | ג | | | דד |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | ד | | ד | | ה | ד | ד | ד | ה | ה | אב | ד | ت | ت | ד | | | וו |
| 5 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | ה | ג | | ד | ד | | | | ג | | | ג | ה | ה | ت | | | גה |
| 6 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | ג | ד | | | | ג | ה | ה | | | | | | | | | | טב |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | ד | | ג | | | | | ד | ד | | | | | | ד | | | הב |
| 8 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | | ה | | | ב | | | | | | | ב | ב | | ה | | | בב |
| 9 ბატონი უილიამსი, ბრიტანეთი | | ב | | ג | | | | | | ג | ד | | ג | | | | | אב |
| 10 ტრული ჯორდანი, იტალია | | ד | | ב | | | | ב | ב | | | | | | | | | ד |

სალო (ზაუბერი, ფინეთი) 6, ვერსტაპენი (ეროუსი, ჰოლანდია) 5, ირვინი (იაგუარი, ბრიტანეთი), ზონტა (BAR, ბრაზილია) 3, დე ლა როსა (ეროუსი, ესპანეთი), ვურცი (ბენეტონი, ავსტრია) — 2

| | ავსტრალია | ბრაზილია | სან-მარინო | დ.ბრიტანეთი | ესპანეთი | ევროპა | მონაკო | კანადა | საფრანგეთი | ავსტრია | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | აშშ | იაპონია | მალაიზია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | זב | אב | דב | ה | ד | דב | ד | זב | ה | ה | אב | ' | ד | אב | זב | | | דהב |
| 2 მაკლარენი | | | אב | זב | זב | אב | בב | ד | זב | ד | אב | הב | דב | ד | ג | | | דדב |
| 3 უილიამსი | ה | ד | | ו | ד | | | | ג | ג | ד | ג | ד | ה | ت | | | הד |
| 4 ბენეტონი | ג | ד | | | | ג | ה | ה | | | | | ت | ג | ت | | | אג |
| 5 ჯორდანი | | 7 | | ב | ב | | | ב | ב | | | ב | ב | ت | ה | | | ב7 |

BAR 17, ეროუსი 7, ზაუბერი 6, იაგუარი 3 ქულა. მაკლარენს დაკლებული აქვს 10 ქულა

## კრივი

*6 ოქტომბერს ვარიანელი მოკრივე გიორგი კანდელაკი პროფესიულ რინგზე მეჩვიდმეტე სარეიტინგო ბრძოლას გამართავს. შეხვედრა თბილისში მოეწყობა — ასე გადაწყვიტა ევროპის პროფესიული კრივის ფედერაციის კონგრესმა და ბრძოლის ჩატარების უფლება საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციას გადაულოცა. გიორგი კანდელაკს პროფესიონალად გახდომის მერე საქართველოში სამჯერ უკრივია, ერთხელ ბათუმში და ორჯერ თბილისში, სამჯერვე იოლად უმარჯვია, თუმცა შინ ჩატარებული შეხვედრებისას ორმაგად ვღელავო — ალალად გვითხრა კანდელაკმა გუშინწინ რესტორან „ორიენტში" მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელზეც გიორგისთან ერთად მისმა სიმამრმა, პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ ყანჩაველმაც გვიმასპინძლა. სიძე-სიმამრმა თბილისური შეხვედრის წინა ამბებზე დაწვრილებით გვიამბეს და ჩვენც იქ ნანახსა და მოსმენილს მოკლედ გაუწყებთ:*

# კანდელაკის მეჩვიდმეტე გამოცდა

## მელოუნი — ელიადისი: ლონდონში ჩხუბი იყო. კანდელაკი — ვუდსი: თბილისში ჩხუბი იქნება

**უპირველესად** მეტოქეზე ვთქვათ. მას შემდეგ, რაც გიორგი კანდელაკი ევროპის კრივის ფედერაციის რეიტინგში მეექვსე ადგილზე აღზევდა, კონტინენტზე ძლიერი მოკრივის სახელი დაიგდო. ჰოდა, ახლა პრომოუტერ-მენეჯერები მეტოქეებად უფრო გამოცდილ და ტიტულიან მოკრივეებს ურჩევენ. ჩვენებურის ამჟამინდელ მოწინააღმდეგეს, ამერიკელ ქლეველინ ვუდს პროფებში ორმოცჯერ უჩხუბია და ოცდაჩვიდმეტჯერ გამარჯვება მას დარჩენია. ბოლო ბრძოლაში იგი ათრაუნდიან შეხვედრაში ქულათა მცირე სხვაობით დამარცხებულა ამ ბოლო დროს მომძლავრებულ უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან. თბილისური კრივი რვარაუნდიანი იქნება და მას, სავარაუდოდ, ფრანგი პოლ ლეგლანი განსჯის. ამერიკელი შეხვედრის წინა დღეს გვესტუმრება და ტრადიციული პრესკონფერენცია — აწონვა ხუთშაბათს, 16 საათზე მოეწყობა.



გიორგი კანდელაკი

თბილისის სპორტის სასახლის რინგზე კანდელაკ-ვუდსის ჩხუბის გარდა, ეგრეთ წოდებულ „გამახურებელ ბრძოლებს" ვიხილავთ. პროფესიონალებში მორიგ შეხვედრებს გამართავენ რამაზ ბებნაძე, პაატა ვარდუაშვილი და ილია ტლაშაძე, გოჩა რუსია კი პირველად გაიქნევს მუშტს. არ გადაწყვეტილა მათე კოლუაშვილის ბედი, რომლისთვისაც ჯერ მეტოქე ვერ შეურჩევიათ. ბებნაძეს, ვარდუაშვილს, ტლაშაძეს და რუსიას კი რუს მოკრივეებთან მოუწევთ ძალის დამტკიცება. სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებელი კრივის თანმხლებ ტრადიციულ სანახაობასაც იხილავს. საქართველოს პროფესიული საბრძოლო ლიგის „რინგსის" მებრძოლები ზაზა ტყეშელაშვილი, ამირან ბიწაძე და ბაკურ გოგიტიძე, შესაბამისად, ესპანელ, რუს და არგენტინელ „გლადიატორებს" დაუმტვრევენ თავ-ყბას.

ახლა კანდელაკისა და 6 ოქტომბრის ბრძოლის მზადების ამბებზეც ვთქვათ. გიორგი ვარიანში ვარჯიშობს ავთო შოშიაშვილის ხელმძღვანელობით. მალე ლონდონიდან ბულგარელი მწვრთნელი მიხაილ ტაკოვიც ჩამოვა მენეჯერ ფილიპ ფონდიუსთან ერთად. სახელოვანი პრომოუტერი ფრენკ მელოუნი კი ამჯერად, ალბათ, ვერ გვესტუმრება. ლენოქს ლუისის ბანაკში თურმე განხეთქილებაა. მელოუნი და მსოფლიოს ჩემპიონის სპონსორი, ბერძენი პანოს ელიადისი ერთმანეთს გაბუტვიან და ახლა ორივე ლუისს შესცქერის. ცხადია, ის გაიმარჯვებს ვისაც მოკრივე გადახედავს მოწყალე თვალით. კანდელაკიც, რა თქმა უნდა, მოუთმენლად ელის მელოუნ-ელიადისის დავის დასასრულს, თუმცა ახლა მისი ყურადღება, რასაკვირველია, მომავალი ბრძოლისკენაა მიმართული.

თუ სიძე საკრივო დარბაზში ღვრის ოფლს, სიმამრი ბრძოლის საორგანიზაციო საქმეებითაა დაკავებული. ჩვენში, მოგეხსენებათ, მაღალი დონის სპორტული შეჯიბრის ხეირიანად მოწყობისთვის ჯიბეში ორიოდ გროში კი არა, „ბევრი ფული" უნდა გედოს. — კანდელაკ-ვუდსის შეხვედრის ჩატარებისთვის 62 000 $ გახდა საჭირო. ყანჩაველი ამდენს ვერ გასწვდა და სპონსორების ძებნას შეუდგა. იპოვა კიდეც. ფირმები „ომეგა" „კოკა-კოლა" და „ყაზბეგი". „ომეგა" ბუკლეტებისა და ბილეთების დაბეჭდვით შეეწია საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციას. ჰო, მართლა, ბილეთი 5 და 10 ლარიანია. თუ ამდენი ჯიბეში მოგეპოვებათ და პროფესიული კრივის ცქერის სურვილიც გაქვთ, გეტყვით, 6 ოქტომბერს სპორტის სასახლეში კანდელაკი ამერიკელ ვუდსს ხუთ საათზე უპირებს ცემას.

**სოსო ქოთორეიშვილი**

## რაგბი

# კობახიძემ ბათუმელებს ურტყა

| | |
|---|---|
| მესამე წრე. V ტური | თბილისი, 26 სექტემბერი |

**ყოჩები 23:22 (11:3) დათვები**

**ყოჩები:** კიკუაშვილი, ხოსროშვილი, ფირიაშვილი (ჩიქავა), ხურცილავა, თედორაძე (გუშარაშვილი), ცხვედიანი, ჭელიძე (გ. ხაბეიშვილი), კობახიძე, გიორხელიძე, ჯანელიძე, კ. მხეიძე, ტრაპაიძე, კაჭარავა, იმნაძე, კობერიძე
1 ლ — თედორაძე 6 ს — კობახიძე (6)
**დათვები:** ნინიძე, გურეშიძე, ლლონტი (აბდალაძე), ფხაკაძე, რეხვიაშვილი (ბერიძე), გოგისვნიძე, სვნიძე, ლიპარტელიანი, გიორგაძე, მაჩიტიძე, ხონელიძე, ტყაბლაძე, ჯანაშია (დავლაძე), სვინტრაძე, ჩუბინიძე
3 ლ — ლიპარტელიანი, ტყაბლაძე, ჩუბინიძე
1 ს — მაჩიტიძე 2 გ — მაჩიტიძე (2)
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: მ. კოროშინაძე

**ტურის** ცენტრალურ მატჩად „ყოჩები" — „დათვები", ჩემპიონატის ფავორიტების დაპირისპირება ითვლებოდა. „ყოჩებს" წლეულს ბათუმლებზე გამარჯვება ჯერ არ ეზეიმათ და ცხადი იყო, ნავსის გატეხვას გუშინდელ მატჩში შეეცდებოდნენ. სტუმრები დედაქალაქს ერთ-ერთი ლიდერის, ემზარ ძაგნიძის გარეშე ეწვივნენ, უმცროსი „ბეყე" ვარჯიშზე დაშავებულა და „ყოჩებთან" გუნდს ვერ დაეხმარა, მისი უფროსი ძმა ნუგზარი კი „დათვებს" სათადარიგო სკამიდან შეეშველა, რადგან მაღალი სიცხის გამო თამაში ვერ შეძლო. უკეთეს დღეში არც მასპინძლები იყვნენ. მალხაზ ჭეიშვილი ახლა ახალი გუნდის შექმნის პროცესშია, მაგრამ თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუშინდელ მატჩში თავი არ დაზოგეს და ღირსეულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

შეხვედრის დასაწყისშივე ცხადი გახდა, მასპინძლები „დათვებს" არაფერს დაუთმობდნენ, სტუმრებმა კი თამაში ვერ ააწყვეს, რაც ალბათ ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იყო. მიუხედავად ამისა, ანგარიში მაინც ზღვისპირელებმა გახსნეს. მაჩიტიძემ მეტოქეს უხეში თამაში არ აპატია და საჯარიმო დარტყმიდან ოვალური ბურთი ძელებს შორის გაატარა. თუმც ყოჩმა კობახიძემ ასევე ჯარიმიდან წონასწორობა მალევე აღადგინა და აქედან მოყოლებული მატჩის პირველი ნახევარი თბილისელთა იერიშით გაილია. „ყოჩებს" სულ მცირე, ორჯერ შეეძლოთ ლელოს გატანა, მაგრამ ხან მეტოქის მცველები თამაშობდნენ საიმედოდ, ხანაც ბოლო მომენტში მასპინძლები სცოდავდნენ. აქედან რომ არაფერი გამოვიდა, კობახიძემ ისევ საჯარიმოთი დააწინაურა თავისიანები, ხოლო ექსბათუმელმა თედორაძემ, მეტოქის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეძლო ზღვისპირელთა სალელოე მოედნის დალაშქვრა და ყოჩების უპირატესობა კიდევ უფრო განამტკიცა.

მატჩის მეორე ტაიმი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. სტუმრები ხშირად ჯარიმდებოდნენ, კობახიძის გასროლილი კი ზუსტად მიზანში ხვდებოდა. ცხადი იყო, ბათუმლებს რაღაც უნდა შეეცვალათ, გამოსავალი კი სწრაფად გათამაშებულ კომბინაციებში იპოვეს, რამაც სულ მალე შედეგიც გამოიღო. ჯერ ბათუმელთა ახალწვეულმა ზვიად ლიპარტელიანმა, ხოლო შემდეგ ტყაბლაძემ შეძლეს მეტოქის დალელოება, მაჩიტიძემ ორივე ლელო გარდასახა და ამ მატჩში მეორედ „დათვები" დაწინაურდნენ. თითქოს ზღვისპირელებმა მატჩში გარდატეხა შეიტანეს, მაგრამ ყოჩმა კობახიძემ ზედიზედ ორჯერ ზუსტად შეასრულა საჯარიმო და წინ კვლავ მასპინძლები გავიდნენ. ამის შემდეგ „დათვებმა" ტემპს უმატეს, გააქტიურდნენ სტუმართა გარემარბები და ერთ-ერთი შეტევისას ჩუბინიძემ ყოჩთა მარჯვენა ფლანგზე მეტოქის რამდენიმე მცველს ჩაუქროლა და ბურთი მასპინძელთა სალელოე მოედანში დადო. მაჩიტიძემ ვერ გარდასახა — 20:22. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთიღა რჩებოდა, „ყოჩები" მატჩის გადარჩენას შეეცადნენ და მთელი გუნდით მეტოქეს შეუტიეს. ბათუმლებმა წესების დარღვევით შეაჩერეს მასპინძელთა იერიში და კობახიძემ ამჯერადაც ზუსტად გაისროლა. ამის შემდეგ უკვე სტუმრები გადავიდნენ გააფთრებულ შეტევებზე, მაგრამ „ყოჩები" თავს საიმედოდ იცავდნენ, ორიოდ წუთში კი საფინალო სასტვენიც გაისმა.

**ბაჩო სვანიძე**

| | |
|---|---|
| მესამე წრე. V ტური | თბილისი, 26 სექტემბერი |

**უნივერსიტეტი 6:27 (6:17) ლოკომოტივი 1**

**უნივერსიტეტი:** წიკლაური, ჯალალონია (გ. ჩქარეული), კობიაშვილი (კუთარაშვილი), გუჯარაიძე, მჭედლიშვილი, დ. ჩქარეული, სუჯაშვილი, გუნდიშვილი, დანელია, მოდებაძე (ქუმსურიძე), ო. ელოშვილი, მჟავანაძე, ბარამიძე, კ. ელოშვილი, კობახიძე
2 ს — მოდებაძე (2)
**ლოკომოტივი 1:** ჩადუნელი, ჯაველიძე, ბერიაშვილი, მამაიაშვილი, მოგელაძე, კახიანი, ცხომელიძე, უდესიანი, სარიშვილი, ბერიძე (სუთიაშვილი), ძნელაძე, ცხადაია, ბლანია, ბუგიანიშვილი, ასათიანი (კოტრიკაძე)
4 ლ — ბერიაშვილი (2), უდესიანი, მოგელაძე
1 ს — ძნელაძე 2 გ — ძნელაძე (2)
მსაჯი: გ. ჯაველიშვილი
მეთვალყურე: მ. კოროშინაძე

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 1 | 11 | 10 | 0 | 1 | 261-142 | 4 | 44 |
| დათვები | 12 | 9 | 0 | 3 | 236-138 | 6 | 42 |
| ყოჩები | 11 | 6 | 0 | 5 | 212-226 | 1 | 25 |
| ასკ | 12 | 3 | 1 | 8 | 175-242 | 1 | 13 |
| უნივერსიტეტი | 12 | 0 | 1 | 11 | 152-295 | 0 | 1 |

პ — პრემიალური ქულა
ასკ-ს დაკლებული აქვს ერთი ქულა

## ჩოგბურთი

# არის ასეთი ტურნირი

**CARTU BANK LADIES OPEN**
თბილისი. ქართუ ბანკის ქალთა პირველობა. თიხნარი. საპრიზო 25 000 $

**ორშაბათს** ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე რიგით უკვე მეოთხე, ტრადიციული ქალთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. საპრიზო ფონდი იგივე დარჩა — 25 ათასი დოლარი, ოღონდ მცირე ცვლილება განიცადა თავად ტურნირის სახელმა. „ქართუ&თბილისის ღია პირველობის" ნაცვლად ამჯერად მას „ქართუ ბანკის ქალთა პირველობა" ჰქვია.

წინა წლებთან შედარებით ტურნირის შემადგენლობა ცოტა მოისუსტებს. ამის მიზეზი რამდენიმე ჩოგბურთელის ნაგვიანევი უარია. შარშანდელმა ფინალისტებმა — ჯულია აბემ და ტატიანა პუჩეკმა, ბელარუსმა ნადეჟდა ოსტროვსკაიამ და საკმაოდ ცნობილმა კანადელმა, ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალისტმა მორინ დრეიკმა ბოლო წუთს გადათქვეს თბილისში ჩამოსვლა.

არ იასპარეზებს ტურნირზე ბოლო წლების საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი ქალი ნინო ლუარსაბიშვილიც, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება.

ჩვენც ისლა დაგვრჩენია, საბჭოეთის ყოფილი მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ გრძელფეხება სტუმრებში ელენა დემენტიევას, ნადეჟდა პეტროვასა და ანასტასია მისკინას მსგავსი მომავალი ვარსკვლავები ამოვიცნოთ.

როგორც ყოველთვის, ქართველ ჩოგბურთელთა მცირერიცხოვანი ლეგიონიდან თითქმის ყველა პირველივე წრეში გავარდა. საკვალიფიკაციო ტურნირზე შესანიშნავად თამაშისა და ზედიზედ სამი მეტოქის დამარცხების შემდეგ ნანა უროტაძემ ვერაფერი დაუპირისპირა „იღბლიან წაგებულ", 15 წლის რუს მარიანა იუფეროვას 1:6, 2:6. თამარ კიკალეიშვილს კი ბედმა მხოლოდ იმაში გაუღიმა, რომ ძირითად ბადეში მოხვდა. სამწუხაროდ პირველივე წრეში ჩვენებური მეხუთედ განთესილ, ძლიერ ავსტრიელ ივლინ ფოტს შეხვდა და 1:6, 1:6 წააგო.

სამაგიეროდ, გულშემატკივრებს იმედი არ გაუცრუა კიდევ ერთმა თბილისელმა, 18 წლის მაკა ჩახნაშვილმა. მან უცნაური გვარისა და კლასიფიკაციაში გაცილებით მაღალი ადგილის პატრონ ბულგარელ მარია გეზნენგესთან პირველი ხელი დათმო, მაგრამ მერე თამაშში გარდატეხა შეიტანა და საკმაოდ იოლად იმარჯვა 3:6, 6:3, 6:1.

ჩახნაშვილის მომდევნო მეტოქე რუსი ლუდმილა ნიქოიანი იქნება. მან პირველ წრეში ბელარუს ირინა კორიანოვიჩს აჯობა 7:5, 6:3.

**პირველი წრე:** მარიანა დიას-ოლივა (1, არგენტინა) — გალინა ფოკინა (რუსეთი) 6:3, 0:6, 6:0; ანასტასია როდიონოვა (8, რუსეთი) — ელენა ვოროპაევა (რუსეთი) 6:4, 7:6 (7:3); იულია ბეიგელზიმერი (უკრაინა) — დესისლავა ტოპალოვა (3, ბულგარეთი) 6:3, 4:6, 6:2; მარია გოლოვიზნინა (რუსეთი) — შელი სტივენსი (ახალი ზელანდია) 6:1, 6:3; ევა დირბერგი (2, დანია) — მარია პენკოვა (ბულგარეთი) 6:2, 6:1; ოლგა ლაზარჩუკი (უკრაინა) — კატრინ ვერლე (გერმანია) 3:6, 7:5, 6:3; გულნარა ფატახეტდინოვა (რუსეთი) — ირინა ნოსენკო (უკრაინა) 6:2, 7:6 (7:1).

**ავთანდილ სვანიძე**



მაკა ჩახნაშვილი

სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი უფროსი კოლეგა, ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ამაგდარი თაობის გამორჩეული წარმომადგენელი
**ოთარ ნოზაძე**
და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

სიდნეის ოლიმპიადაზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა მწუხარებით შევიტყვეთ, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი სპორტული ჟურნალისტი, ძველი ლელოელი
**ოთარ ნოზაძე**
და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ეს ესპანელი ესტიარტეა

ამ მკლავში ესპანური სისხლი ჩქეფს, ესტიარტეების გვარისა. მკლავს წყლის წვეთები კი იმიტომასხია, რომ ესტიარტე მანუელი წყალბურთელია და ძალიან დიდიც, ოღონდ იმ დღეს, ეს ფოტო რომ გადაუღეს, მისმა ნაკრებმა რუსებთან 5:8 წააგო.

ახლა იკითხავთ, საიდან მიხვდით მკლავი მართლა მანუელ ესტიარტესი რომ არისო. საიდან ბატონებო და იქიდან, რომ ჩვენს მანუელს წესად აქვს ყოველი დიდი შეჯიბრის მოგება სვირინგით აღიბეჭდოს სხეულზე. ხომ მიხვდით, ზევით ატლანტის ოლიმპიური ოქროა, ქვევით — პერტში მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატი. თუ დააკვირდებით, თავისუფალი ადგილები ჯერ კიდევ არის, ასე, რომ...

# გაზაფხულდა

ავსტრალიაში ახლა, ჩვენებურად მარტის ბოლოა, მაგრამ კარგი ამინდები დაუჭერია. აი, მაგანი გულშემატკივარი ჩოგბურთის კორტის გარეთ როგორ ისვენებს.





# ჩემპიონი

ქალბატონი დოტ დილოუ 90 წლისა გახლავთ და სიდნეის ოლიმპიადაზე 80 წელზე უფროსთა ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონი გახდა. კიდევ მივაწეროთ რამე?



# ამაო ყვირილი

მისტერ ჯერი ადამ ქუილერმა პლასტმასის ჭიქა აიღო, ძირი გამოუხვრიტა და რუპორად გამოყენება სცადა. უყვიროდა ამერიკელი მწვრთნელი 10 ათას მეტრზე მორბენალ თავის შეგირდებს ასე ქენით, ისე ქენითო, მაგრამ ამაოდ: ოქრო ეთიოპელ ჰაილე გაბრსელასიეს ერგო, ვერცხლი კენიელ პოლ ტერგატს, ხოლო ბრინჯაო კვლავ ეთიოპელ ასეფა მეზგებუს.

ალბათ, აჯობებდა მისტერ ქუილერს ლითონის ჭიქა მოეძებნა.

# დედის გული

ნეტავ ეს ბავშვი მშობლებმა დანიიდან ავსტრალიამდე გზაზე აჩანჩალეს? გაფიცებთ ყველაფერს, თქვენ იზამდით ამას?

არადა ფაქტია, პატარა ვიკინგი ქალთა ხელბურთს უცქერს და მისმა დანიამ ავსტრალიას რომ მოუგო, (32:12) გაუხარდა.






# ჩეს ფრიალი

ერნესტო ჩე გევარას ისტორია ის გახლავთ, რომ არგენტინელი ვიჟმაჟი სადაც ტყვია გავარდებოდა, იქით გარბოდა. რომ გაიგო კუბაში ფიდელ კასტრო გადატრიალებას აწყობსო, მივიდა და მთავარ კაცადაც იქცა, რისთვისაც ფიდელმა მერე მინისტრობა უბოძა, ოღონდ მინისტრს კაბინეტი უნდა, „ჩე" კი ტყე-ღრეში სიკვდილს ეძებდა და ბოლივიაში იპოვნა.

თუმცა კუბელ სოციალისტებს ის დღემდე ძალიან უყვართ. აი, ფაქტიც: მაგან ქომაგს მისი პლაკატი აღუმართავს და თავისი ქვეყნის კალათბურთელ ქალთა ნაკრებს კანადელთა წინააღმდეგ აქეზებს.

და სწორედაც იქცევა — კუბამ მოიგო — 67:58.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge